სპეციალური ნომერი, 2017

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
გიორგი მაჩაბელი,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ეკა ქევანიშვილი, ზურა აბაშიძე,
ლევან ლორია,
თორნიკე ჭელიძე,
დიანა ანფიმიადი,
ინა არჩუაშვილი, ლუკა ბაქანიძე,
მიშა ბახსოლიანი,
ნათია როსტიაშვილი,
ცოტნე ცხვედიანი,
ბესო ხვედელიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:
FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

WWW.TPDC.GE

ნატო ინგოროყვა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, საინფორმაციო საგანმანათლებლო რესურსების, ჟურნალ „მასწავლებლის“ და ინტერნეტგაზეთ „mastsavlebeli.ge“ ფარგლებში, ქართველი მწერლებისთვის ლიტერატურული კონკურსი : „საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე“ გამოაცხადა .

კონკურსის მიზანია, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია და მხარდაჭერა.

კონკურსის ფარგლებში, სპეციალური ჟიურის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: ლევან ბერძენიშვილი – ლიტერატურათმცოდნე, ლიტერატურის კრიტიკოსი;ზვიად კვარაცხელია – მწერალი, გამომცემლობა „ინტელექტის“ მთავარი რედაქტორი; დავით გაბუნია – მწერალი, მწერლის სახლის წარმომადგენელი; მარიამ კორინთელი – ლიტერატურათმცოდნე, გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“, დამაარსებელი; ნესტან კვინიკაძე – მწერალი, ტელეკომპანია „რუსთვი 2“-ის ლიტერატურული გადაცემის წამყვანი და პროდიუსერი.

ჟიურიმ განიხილა შემოსული 62 საკონკურსო მოთხრობა და თითოეულმა წევრმა შეაფასა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

კონკურსის მხარდამჭერია ლიბერთი ბანკი და კონკურსის სამი გამარჯვებული (I, II, III ადგილი) დააჯილდოვა შესაბამისი ფულადი პრემიით.

გამარჯვებულები დაჯილდოვდენ მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის მიმდინარეობისას, საზეიმო მიღებაზე და ფულად პრემიასთან ერთად საჩუქრად გადაეცათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საჩუქარი პერსონალური პორტატიული კომპიუტერები.

კონკურსის მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით ლიბერთი ბანკს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტს. კონკურსის პარტნიორებს: გამომცემლობა „ინტელექტს“, გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“, „პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციას“ და ჟიურის წევრებს.

ეკა ქევანიშვილი
3 | მე არ ვარ, მასწ!

ზურაბ აბაშიძე
8 | საშტატო ერთეულები

ლევან ლორია
12 | კურუმ, კურუმ...

თორნიკე ჭელიძე
22 | ჯავახეთის ღლიური

დიანა ანფიმიადი
29 | კავშირი

ინა არჩუაშვილი
34 | დედუკა ბექაური

ლუკა ბაქანიძე
42 | ისროდნენ, მასწ!

მიშა ბახსოლიანი
45 | ჯართულის მასწავლებელი

ნათია როსტიაშვილი
48 | ჩემი საქმე წასულია, მარუს

ცოტნე ცხვედიანი
56 | ცხენების გაშვება

ბესო ხვედელიძე
61 | დილეტანტი

ეკა ქევანიშვილი

მე არ ვარ, მასწ!

მოდიოდა და ხელს დილის წვიმისგან ჯერ კიდევ სველ ზამბახებს აყოლებდა. ზამბახები მორიგეობით იზნიქებოდნენ წელში და ისევ სწორდებოდნენ, შერჩენილ წვეთებს იბერტყავდნენ. ხუთი წლის წინ დარგო ისინი გეგეს ქეთომ. ქეთო ეუბნებოდა, როცა სკოლაში ამ გზით წახვალ, მათი მელნისფერი სინათლე გაგაცილებსო. გეგეს ეცინებოდა, მელნისფერი სინათლე რაღაა. ქეთოსთვის ბებია არასდროს დაუძახია. გეგეს ქეთო იმ წელს მოკვდა, როცა ზამბახები პირველად აყვავდნენ - ხალიჩა ჩაიტანა მდინარეზე გასარეცხად, ფეხი დაუცდა და თავი ქვას დაარტყა - იქვე მოცურავე გეგეს ჩააკვდა ხელში. იმ დღის მერე გეგემაც დაივიწყა მდინარის გზა. გეგეს ქეთოს გეგესი უსიტყვოდ ესმოდა. როცა გეგემ პირველად დედამისის შარფი მოიხვია ყელზე და დედამისის მაღალ ქუსლებზე შედგა, ქეთო კარის ღრიჭოდან უყურებდა. მერე სამალავიდან გამოვიდა და მის გვერდით დადგა, სარკის წინ. გეგეს რომ სახე აელეწა და გაქცევა დააპირა, ხელები შემოხვია და გულში ჩაიკრა. ჩუ, უთხრა.ჩუ. ადამიანები ვართ. ჩუ. გეგე სად არისო და, გეგეს ქეთოს ეცოდინებაო. გეგე თუ მოგვეხმარებაო და, ეგ გეგეს ქეთოს ჰკითხეთო. არ მოკვდეო, ბოლოს რომ უყვირა. მაშინაც ასე უპასუხა, ჩუ. ჩუ. ადამიანები ვართო.

მოდიოდა გეგე სკოლაში ზამბახების მელნისფერი სინათლის გავლით და სძულდა მთელი კლასი. სძულდა ლუბა დამრიგებელიც. თავისი თამბაქოსფერი ბერეტით.

ლუბა

35 წელია ქალი ვასწავლი და, ასეთი არავისთვის არაფერი შემიმჩნევია. არა, ქალაჩუნები როგორ არა ყოფილან სკოლაში, მაგას რა დამავიწყებს, დედაა. სულ რომ დედამათების კალთას გამოკერებულები დადიოდნენ და მეგობრობითაც ბიჭებისკენ არ იხედებოდნენ, სულ მაგათი ზლუქუნი ისმოდა სკოლაში და მაგათი წვინტლების მოწმენდაში ვიყავი. თან როგორ მეზიზღებოდა! 25 წლისა მივედი პირველად სკოლაში და უცებ ამდენი ბავშვი, რა გასაკვირია. მაგრამ წლები რომ გავიდა და ეს ვითომ ქალაჩუნები მოვიდნენ დაბერილი ღიპებით და ცოლ-შვილებით, ლუბა მასწავლებელო, ხელში ატაცებებით და პატივისცემებით... ერთმა ისეთი შარფი მაჩუქა, ქაშმირის! მაშინ კი მიხაროდა. და ეს. ეს რაღაც სხვა შემთხვევაა. მოვა, დაჯდება ისე, თითქოს სიპ ქვაზე იჯდეს და ზის. თმასაც ისე გადაიწევს ხოლმე, ჰაეროვნად, ქალივით. თან ამ ბოლო დროს რაღაც საეჭვოდ ჩამოეზარდა შუბლზე. არ იჭრის. დირექტორმა დაიბარა, უთხრა და არ იჭრის მაინც. გულში ათასნაირი აზრი გამკრავს ხოლმე. იმნაირი ხომ არ არისო, იმ დღეს ანეტამაც ეგ მითხრა. ისე, კი სწავლობს რაც უყვარს. შეძვრება ხოლმე ქიმიის ამოცანებში და თავს ვერ ააწევინებ. რეაქციები აინტერესებს. რა რას ერევა და შერევისგან რა მიიღება. გეგეეე, გეგეეე, ვეძახი, ის კიდე გამალებული წერს. რას ეტყვი. მამამისი დიდი კაცია. გვიყიდის და გაგვყიდის. ვერც ეტყვი რამეს, ვერც ჰკითხავ. ვაი, და, სახლში მიიტანოს ენა. არადა, აშკარაა, რაღაცა ვერა აქვს წესრიგში. ანეტას პირზე რა დაკავდება და იმ დღეს ამბავი მოიტანა, სოფლის ბოლოში რომ ძველი სახერხია, იქ შენიშნეს უცხო მანქანასთან იდგაო და მერე მამამისი მივარდნილა საიდანღაც. რას აკეთებდა ნეტა იმ მანქანაში თუ მანქანასთან. არ მინდა რამე ვიფიქრო, მაგრამ ფიქრს რომ ვიწყებ, გული მერევა და სულ მინდა მწარედ შემოვარტყა. მაგრამ ამ შემორტყმასაც მიზეზი ხომ უნდა ჰქონდეს. კლასში არაფერს აშავებს. მარტო ზის და იყურება სადღაც. ან შენ გაკვირდება. ჰკითხავ რამეს.

თითქოს ხანგრძლივი ძილ-ბურანიდან გამოერკვაო, მაგრამ მაინც გპასუხობს. ისე კი, 13 წლის ბიჭის პირობაზე, ჭკვიანზე მეტიცაა. აი, ალეკოზე ჭკვიანიცაა, დემნაზეც, ირინაზეც. მაგათ ყველა ოლიმპიადა მოიგეს, ეს კიდევ, არსადაც არ გადის. დედამისი რასა ფიქრობს ნეტა, დედამისი. ყოველდღე ახალი კაბით რომ გამოდის სახლიდან. დღეს გამოვკითხავ ერთი გაკვეთილს. თხრობის დროსაც უცნაურად წელავს სიტყვებს. არა, მგონი, არც არაფერი მეჩვენება.

გეგე

მამაჩემმა მითხრა, შეშა დაჩეხე, კუნთები გაგიმაგრდება, ბიჭო. უჩასაც კი შეუძლია დაჩეხოს, სულ ეგ აკეთებს სახლის საქმეებს, მაგრამ მამაჩემმა მაინც ეგრე მითხრა. მე ვუთხარი, ტყუილად რატო დავჩეხო, სანამ მე ერთ კუნძს გავაპობ, უჩა ერთი კვირისას დაჩეხავს. გაბრაზდა. როცა გაბრაზდება ხოლმე, გვერდზე გადაფურთხება იცის. ვიცი, მაგას რა უნდა. მაგას უნდა მე ვიყო ვაჟკაცი. მაგას უნდა, მე მაგარი გამოსაჩენი შვილი ვყავდე და რვა შვილიშვილი გავუჩინო. ეგრე უნდა. თვითონ მე და ჩემი და ჰყავს მარტო. და ჩემგან უნდა გვარის გადარჩენა და გაგრძელება. უჩას გააგრძელებინოს. ყველამ იცის, რომ უჩა მაგისია. ოღონდ დედაჩემისგან არა. ისე, კი ვიცი, რომ ხანდახან კაცური საქმეები უნდა ვაკეთო. მაგრამ დედაჩემთან მიჯდომა მიყვარს ხოლმე უფრო, თუ სახლშია და ხანდახან მურაბას ადუღებს ან რამე. დედაჩემმა მითხრა, რა კაცის საქმეა მურაბის მოდუღება. მიდი, მამაშენს მოეხმარე, მოაჯირები შეღებე. შენი დაც მყოფნის. გაყო უცებ – კაცის და ქალის საქმე და მე კიდე, ისე მინდოდა მისი ფერადი ძაფებით სავსე კალათასთან მივმჯდარიყავი და რამე მომექსოვა. დედაჩემი როცა ქსოვს, მე მთბილა. მაგრამ ყოველთვის, როცა მის ნივთებს ხელს ვკიდებ, დედაჩემი ამბობს, საქმეს მიხედე, გეგე. და საქმის ძებნას ვიწყებ, მაგრამ ის საქმე საჩემო არ არის. გეგეს რომ დამიძახებს ხოლმე, ეგეც არ მომწონს. ქალებს უფრო ლამაზი სახელები ჰქვიათ. მე მარია მომწონს.

***

ეგ არ იზამს. ტყუპებმა თქვეს. ფუფლოა რა. ტრაწიანი. ირინამაც თქვა, დემნამაც გაიმეორა. არ წამოვა მაგაზე, შეეშვით. რო ჩაგვიშვას? ვინა, მაგან? საიდან მაგდენი გამბედაობა. ჩვენით ვქნათ. წებოს მოტანა ისაკაძეს დაავალეს. დიდ დასვენებაზე სკამი კარგად გაჟღინთეს და ლუბას შემოსვლას დაელოდნენ. ლუბას ის ლურჯი კაბა ეცვა, სამშაბათობით რომ იცვამდა, როცა კერძო გაკვეთილები ჰქონდა მეორე სოფელში. ალეკო ამბობდა, იქ ნაღდად ვიღაც ყავსო, იქო. და ხორხოცებდნენ. ლუბას იღლიაში ჟურნალი ჰქონდა ამოჩრილი. თითებში ცარცს ატრიალებდა. მშვიდად დაჯდა. თავისი თამბაქოსფერი ბერეტი, ზამთარ-ზაფხულ რომ ეხურა, მაგიდაზე დადო და ჟურნალი გადაშალა.

აბესაძე!

ვარ, ლუბა მასწ.

ბათიაშვილი!

აქ ვარ.

დაძაბულები მისჩერებოდნენ სკამს და ლუბას უკანალს. ლუბა არ ინძრეოდა. სიის კითხვას განაგრძობდა.

ქორიძე გეგეეე. გააგრძელა ბოლოში.

გეგემ თავი აწია და თვალებში შეხედა.

ვარ, მასწ. უთხრა.

ლუბა ცოტა ხანს მიაშტერდა, მერე დაფისკენ შეტრიალდა და, ირინა, გამიწმინდე. თქვა. და ადგომა დააპირა. მაგრამ ვერ ადგა. სკამიანად წაბარბაცდა და ლურჯი კაბა ჩამოეწელა. ლუბა გაწითლდა. რატომღაც ისევ გეგესკენ იყურებოდა. გეგემ კი, რა ლამაზია თქვენი კაბა, მასწ. უცებ წამოაყრანტალა. და აი, მაშინ იყვირა. ყველანი წამოცვიდნენ და გარეთ გავარდნენ. მარტო გეგე იჯდა თავის ადგილას და ლუბას უსმენდა. ლუბა კი კიოდა.

მარია

მომწონს ჩემი ახალი სახელი. ჯერ არავინ მეძახის, მაგრამ მერე რა. პარასკევიც მიყვარს, როცა ესენი ღამის ბაზარში მიდიან. ვიცი, სად უდევს დედაჩემს აცეტონი და ფრთხილების ლაქი. ორსაათიანი ბედნიერება. წავისმევ ხოლმე და თვალებთან ვიტრიალებ ხელებს. მერე მეც ვტრიალებ სარკესთან. ჩემი დის შაბიამნისფერი კაბაც მომწონს. ცოტა გრძელია, მე მოკლეები მირჩევნია, და თეთრი გეტრები. ფეხები ლამაზი მაქვს. ცოტა დიდი ცხვირი მაქვს, მაგრამ მაგას ეშველება. შარფი ვითომ გრძელი თმაა. ვარდისფერი მექნებოდა. ეგრევე ვარდისფერი მექნება, როცა მექნება. თუ მექნება. ლიფის აღების მეშინია. ვაითუ, ვერ გავიხსნა და შევიკრა დროულად. თან ჩემ დას დიდი ძუძუები აქვს და მე რა, ბრტყელი ვარ. მარია. მარია. ვბრუნავ, ვტრიალებ. ვიმეორებ ჩუმად. ვბრუნავ. ვტრიალებ. გონებაში დიდ, კრემიან ტორტებს ვრთავ და ვაფორმებ. კონდიტერი შემიძლია გამოვიდე და თუ რამე, ამით ვირჩინო თავი. ხანდახან ჩემი დის ბიკინებსაც ვიცმევ. მაგრამ ჩემს ტრუსიკზე, ზემოდან. ისე - მრცხვენია. თან სულ იმ დღეზე ვფიქრობ, „ის“ რომ სახერხთან დავინახე. თითქოს ყველაფერს მიხვდა. მაგრამ მე არ ჩავჯექი, მაშინ შემეშინდა. თუ კიდე მოვა, შეიძლება წავყვე. აქ მაინც რაღაცნაირად მიყურებენ. ალბათ, ხვდებიან. „იმან“ მითხრა. რა ლამაზი ხარ, გოგო. არადა, გეგეს შარვალი მეცვა. გეგეს ბოტასები. გეგე ვიყავი. „იმან“ კი, გოგოო. მიცნო.

ლუბა

ამის გაკეთებული არ იქნებოდა, ზედ ეწერა, მაგრამ ჯავრი მაინც გეგეზე ვიყარე. არავინ დაასახელა. ერთი გვარი არ წამოსცდა, ვინ ქნა. შე გარყვნილო, ვუყვიროდი, შე ქათამო. შე უკულმართო. რაც პირზე მადგებოდა. მარტოები ვიყავით, მერე ფიზიკის მასწავლებელი შემოვიდა. გეგე წამოხტა და გაიქცა. ემოციაც ვერ გამოხატა კაცურად, ეგრევე წირპვლა დაიწყო. აბა, ალეკოს და დემნას ცრემლს ვერ

გადმოაგდებინებ და ეს კიდევ. კაბა მოისპო. იმ დღეს გაკვეთილიც ჩამივარდა. მაგას კი აღვადგენ, არა უშავს და ფულსაც გადამიხდიან. კაბას რა ეშველება თორე. სულ სამი წესიერი კაბა მაქვს. უნდა დავსაჯო ესენი. 3 5 წელია ვასწავლი და ასეთი რამე არავის გაუბედავს. მაგრამ ამას რა ეშველება. რა. დედამისს რომ დაველაპარაკო? გუშინაც, დავხედე, ხატავს რაღაცას. ტორტებს ხატავს. ბიჭი და ტორტებს ხატავდეს და ზედ ასვამს ვარდებს და ბულბულებს. ნიკომაც თქვა, უცხო მანქანებს უჩერდება სოფლის გზაზეო. მოშორებით. დედამისს ხომ არ დაველაპარაკო. ეკლესიაში წაიყვანს, ექიმთან წაიყვანს. რამეს უმკურნალებს. აბა, ტორტები როდემდე უნდა ხატოს. მე მოვალე ვარ ვუთხრა. მაგას თუ უშველიან, ახლა უშველიან. თუ იმნაირად ჩამოყალიბდა, რაღა ეშველება. ნეტა, დედამისის თავში ჩამახედა. მამამისის მაინც მეშინია. სამსახური არ დამაკარგინოს. დედამისის ბრალი იქნება ისედაც. მაგას გამოეპარებოდა ეს ამბავი.

გეგე

ტელევიზორში ფილმი აჩვენეს. მამაჩემმა შუაში გამორთო. მოვასწარი დამენახა, სარკის წინ როგორ ირთვებოდა მთავარი გმირი და გამაჟრჟოლა. ღამის პეპელა ერქვა ზედმეტსახელად. ჯერ პომადა წაისვა, მერე პარიკი დაიხურა. ტყავის ქვედაბოლოს რომ ირგებდა, გამორთო. გარყვნილები. თქვენი დედაც... და გამორთო. ჩემმა დამ სულელივით სიცილი დაიწყო. კაცი ქალის კაბას რატო იცვამდა? თან ცხრაჯერ იკითხა. დედაჩემმა ჯერ წაუყრუა. მერე – ავადაა, დედიკო, ეგ ბიჭი, უპასუხა. უჩა რას იტყოდა, არ ვიცი, საღამოობით არც მოდის ხოლმე. თავის ფარდულში რჩება, გარეთ. აქ მირჩევნიაო. მე მგონი, დედაჩემი არ უშვებს ბოლომდე. იყავი, მაგრამ შენი ადგილი იცოდე. ერთხელ უთხრა.

ჩართე რა. თითქოს მე კი არა, ვილაც სხვამ მოითხოვა. მამაჩემმა თავი სწრაფად მოატრიალა ჩემკენ.

რაში გაინტერესებს?

დაძაბული მომენტი იყო. ვუთხარი. მეტი ვერაფერი მოვიფიქრე.

დაძაბული მომენტი კი არა, გარყვნილებას აჩვენებენ ასე საქვეყნოდ. ხმას აუწია. ჩემმა შვილმა რომ ეს ქნას, თავს მოვაჭრი.

ჩემი მოჭრილი თავი წარმოვიდგინე და გავჩერდი. მამაჩემი გავლენიანი კაცია. ასე ამბობენ. ჩემზეც აქვს გავლენა - გავჩერდი. ჯერ მე თვითონაც ვერ გამიგია რა ხდება ჩემ თავს. იქნებ მართალია. უჩას რომ ვკითხო, მაგრად დამცინებს ალბათ. მაგრამ რატომ მინდა ხოლმე ხელებზე დედაჩემის სურნელოვანი ხელის კრემი შევიზილო. რატომ ვფიქრობ ამდენს „იმაზე“?

***

ლუბას ეჩქარებოდა. მოკლე გზით წასვლა გადაწყვიტა. თუ დამატებით გაკვეთილებს არ ჩაატარებდა, თავისი ხელფასი არაფერზე ეყოფოდა. ვერც ფულს შეუგზავნიდა დათოს ციხეში. ეგ ერთი ჰყავდა. შვიდი წელია, რაც იჯდა. ამიტომ, კერძოდ დადიოდა. მოედანი გადაჭრა, საქარე ზოლს მიუახლოვდა და ის იყო, გზაზე უნდა დამდგარიყო რომ ავტობუსს დალოდებოდა, ასაწევად გამზადებული ხელი გაუშეშდა - გეგე დაინახა. არა. ჯერ მანქანა დაინახა და მერე გეგე მანქანაში. მერე სხვაც დაინახა. ხელებით ლაპარაკობდნენ. მერე იმ სხვამ გეგეს სახე მიუახლოვა და. ლუბა ხეს ამოეფარა. ათი წუთი უყურა, თან აინტერესებდა. ბოლომდე უყურა. შუბლი დაუსველდა. მერე მიმართულება შეცვალა და გეგეს სახლისკენ აიღო გეზი. უკვე მეორედ აცდენდა კერძო გაკვეთილს თავისი მიზეზით. გულში დააკონკრეტა - გეგეს მიზეზით.

მარია

ეზოში, გრძელ სკამზე ისხდნენ, როცა დავბრუნდი. ჯიბეში ნაჩუქარი სამაჯური მედო. „იმას“ უკვე ოთხჯერ შევხვდი. იცის, როგორ გამაგებინოს, რომ აქაა. ჩვენი ენა გვაქვს - უსიტყვო. ბაზრის დღეებში ბევრი მანქანა ირევა, ამიტომ შეხვედრა უფრო ადვილია. მთავარია, მე ვხედავდე, როგორ ჩერდება კონკრეტულ ადგილას ხუთი წუთით და მერე „იქ“ მიდის. მერე მეც მივდივარ. აქაური არ არის. დამპირდა, რომ ორ წელში თან წამიყვანს.

რამე მოხდა? სხვისი ხმა ამომივიდა ყელიდან. უკვე ვიცოდი, რომ იცოდნენ.

რა მოხდა კი არა. უცებ წამოხტა მამაჩემი, მხრებში მწვდა და მიწაზე დამაგდო. შე მართლა ნაბიჭვარო. ჭარხალივით წითელი იყო. მახრჩობდა და ჭარხალზე ვფიქრობდი.

მოკლავ ეგრე. მოკლავ. ეყოფა. ჩავკეტოთ ცოტა ხანი. მე დაველაპარაკები. დედაჩემიც უხეშად მოიშორა. აქამდე არასდროს გაუწევია მასზე. მეზობლები გვიყურებენ, ხმა გადის, სირცხვილია. ხალხი რას იტყვის. ჩუმად უყვიროდა -მოგუდული ხმით. წამომაყენა და ძალით შემაგდო ჩემს ოთახში.

გაგიჟდი? სულ გაგიჟდი? ეს როგორ გააკეთე? მთელი სოფლის დასანახად. თავში როგორ მოგივიდა? რაზე ფიქრობდი? ხვალ მამაოსთან წავიდეთ. არა, ხვალ კი არა, ჯერ აქ ეგდე. და მერე წავიდეთ. აქედან ფეხი არ გამოადგა. რა დაგაკელით? მოკვდება მამაშენი.

ხელით სამაჯურს ვაწვალებდი. ვინ დამინახა? ვფიქრობდი.

ღუბა

სკოლაში იმ ამბიდან მეხუთე დღეს მოვიდა. თავის ადგილას კი დაჯდა, მაგრამ მაგის გვერდით სკამი მაშინვე გათავისუფლდა. აღარავის მოუნდა მასთან დაჯდომა. აქ არაფერი დაიმალება. მე კი ვუთხარი დედამისს, რაც ვნახე, მაგრამ ანეტასთვის და სხვა ენაჭარტალებისთვის არ მითქვამს და საიდან გაიგეს, არ ვიცი. ალაგ-ალაგ ფხუკუნი დაიწყეს.

გეგეს გვერდით ადგილი რატომ არის ცარიელი? ვითომ სხვათაშორის ვიკითხე.

მაგის გვერდზე რა მინდა. ჩაილაპარაკა აბესაძემ. სასტიკი ხმა ჰქონდა.

გეგე არავის უყურებდა. გაკვეთილების მერე დაველაპარაკები. ალბათ, ძალიან დასაჯეს. მაგრამ მოვალე ვიყავი, მეთქვა. გაკვეთილი ავხსენი. გეგე ისევ არავის უყურებდა. ზარი რომ დაირეკა, უკანა მერხიდან ორად გაკეცილი ფურცელი ესროლეს. ყველა მას მისჩერებოდა. გეგე კი არავის უყურებდა. ფურცელი არც გაუხსნია. არ უნახავს რა ეწერა. ადგა და კლასიდან გავიდა. ხომ არ შევცდი. გავიფიქრე. ბავშვები ხორხოცებდნენ. უცებ ჩემი დათკა გამახსენდა,. სკოლაში რომ მიაძახეს, უკანონო. უკანონო. შეშინებული რომ მოვარდა და მთხოვდა ამეხსნა, რატომ ეძახდნენ ასე. მაშინ დირექტორი ჩავრიე და ვინ არ და მაგით დამთავრდა, მაგრამ მაინც მწარედ მახსოვს ეგ დღე. დათკა რომ გეგესნაირი ყოფილიყო? რას ვიზამდი? უარესი არ ქნა? კაცი მოკლა. გეყოფათ – უცებ ვიყვირე. აბესაძე! მომიტანე ის ფურცელი! დროზე! კარგით რა, მასწ. მერხიდან აიზლაზნა. ვერ ხედავთ, რა ქნა? უხალისოდ მომაწოდა. „ქეთინო“ – ეწერა. ხომ არ შევცდი. ისევ გავიფიქრე.

გეგე

ქეთო მაინც იყოს ცოცხალი. ეს დამპალი ლუბა. უჩამ მითხრა, რომ ეგ იყო მოსული. წითელთმიანი ია რომ გადმოვიდა ჩვენს კლასში იმას ვერ იტანდა სამი თვე და მე როგორ ამიტანდა. სისხლს უშრობდა. სანამ იას დედა არ მოვიდა, ისიც თავისი შვილივით ჟღალთმიანი და მაგიდაზე მუშტი არ დაურტყა, არ გაჩერდა. მაგრამ ჩემები ეგეთები არ არიან. მუშტს მე თუ დამარტყამენ. მაგრამ ლუბას მაგიდას არა. თითქოს მე მინდოდეს. თითქოს ჩემით გადავწყვიტე რამე. აღარ მივალ სკოლაში. არც ხვალ და არც მერე. 14 წლის გავხდები სამ დღეში და საერთოდაც გავიქცევი. სად, შე საცოდავო, სად? დედაჩემმა თქვა. წამომცდა და ვუთხარი. იცი, რომ არ გაცოცხლებენ? შენ გაქცევა კი არა, მკურნალობა გინდა! მკურნალობა არ მინდა, დედა. სიყვარული მინდა. ქეთო მინდა. მეზობლები უფრო ხშირად შემოდიოდნენ. ახლა გამოელია ყველას ფქვილი და მარილი და ზოგმა წყალი აავსო და ზოგმა შესასვენებლად შემოიარა. თვალს ჩემი ფანჯრებისკენ აპარებდნენ. სოფელი ფუთფუთებდა. ყველამ რომ იცოდა, ისეთი საიდუმლოს ქონით ღელავდა. ვიცოდი, ყველას პირზე ვეკერე.

პირველად შემეშინდა ხალხის.

მარია

„ის“ მომენატრა. ჯერჯერობით ერთადერთია, ვინც სინამდვილეში იცის ვინ ვარ და რა მინდა. არ გამოჩენილა. ხმა სოფელში უცებ გავარდება ხოლმე, ქვეწარმავალივით სწრაფად მიცოცავს. ალბათ, გაიგო. როცა აქედან წავალ, პირველივე დღეს თეთრეულის მაღაზიაში შევალ და სალათისფერ ბიკინებს ვიყიდი. კიდევ, ვერცხლიფერი ტოპები მომწონს. ჭიპს რომ ოდნავ ფარავს. მზეზე ისე ბრწყინავს. თმას გავიზრდი და ცალ მხარეს ავიპარსავ. და მერე ვარდისფრად შევიღებავ. არავინ გეგეს აღარ დამიძახებს და საერთოდაც, ისეთ ადგილას, წავალ, სადაც არავინ იქნება ნაცნობი. თუ დედას მოუნდება, ჩამოვალ ხოლმე და ვნახავ. მამაჩემს, ალბათ, არასოდეს მოუნდება. თუ ფული მოვაგროვე, პატარა საკონდიტროს გავხსნი. მარია ერქმევა. საკონდიტრო „მარია“. კარგად ჟღერს მგონი.

***

ათამდე ადამიანი მიიწევდა გეგეს სახლისკენ. ასე პანაშვიდებზე დადიან ხოლმე სოფელში. ვიღაც ერთი წინ, გვირგვინით ხელში და დანარჩენები ჯგუფ-ჯგუფად. ეს უგვირგვინო ჯგუფი იყო. რაღაც საერთო გადაწყვეტილებით მოდიოდნენ. მტკიცე სახეებით. წინ მამაო მოუძღოდათ. ჭიშკართან შეჩერდნენ. დაიძახეს. ჯერ ხმადაბლა. მერე ისევ. ეზოს სკამზე ყველა ვერ დაეტია. სახლიდან გამოუტანეს. მამაოს სავარძელი მიართვეს. მან დაიწყო. გეგე ფარდის უკან იდგა. სიტყვები გაფანტულად ესმოდა. კი მამაო, დიახ, მამაო. ვცდილობთ, მამაო. გვინდა, მამაო. დაუძახეთ. გეგე, ძირს ჩამოდი. არ ჩამოვალო? ჩამოვათრევ მე მაგის... ბოდიში, მამაო. ახლავე. მე ავალო. ააცილეს. მერე მამაოს ხელი გეგეს თავზე ედო და დიდხანს ბუტბუტებდა. გეგეს სიტყვები არ ესმოდა, მხოლოდ ხელს გრძნობდა და ზუზუნს ყურებში.

საკუთარი თავი გამოულოცა.

გეგე

აქედან უნდა გადავიდეთ, დედამ უთხრა. სირცხვილი და თავის მოჭრა იქნება აქ ცხოვრება. უნდა ავიყაროთ და გავყიდოთ ეს სახლიც და

გადავიდეთ.კიდევ მოვლენ, უთხრა. შემდეგზე უფრო მეტნი იქნებიან. სკოლაშიც არ დადის. იმ დღეებში არც მამაჩემი გასულა სახლიდან. არც სხვა ვინმე. პირველად ხდებოდა, როცა ჭიშკარიც არ გაღებულა. ყველანი სახლში ვიყავით და ჩურჩულით ვლაპარაკობდით. უჩა თავს მარიდებდა. ჩემმა დამ გახუმრება სცადა და თავისი კაბა მომადო ტანზე, ვითომ მომაზომა. უხეირო ხუმრობა იყო. არ გაგვეცინა. სუფრასთან არ დავინახო, მამაჩემმა თქვა. არავინ არაფერს მეკითხებოდა. ერთი კითხვაც არ დაუსვამთ. ბავშვია, დედაჩემმა უთხრა. გაუვლის. ბავშვია, ხომ არ უნდა მოვკლათ ამის გამო.

მოვკლავ. თქვა მამაჩემმა.

ლუბა

რამ ჩამართვევინა ის ფილმი. მაგრამ გამორთვით კი ვეღარ გამოვრთე. ანეტამ დარეკა, მოვალო. თავის ტკივილი მოვიმიზეზე. ხანდახან მარტო ყოფნაზე მეტად არაფერი მიყვარს. და ჩემთვის კინოს ყურება. თან, რაც დათო არ არის, მივეჩვიე კიდეც მარტო. ანეტა თუ მოვიდა, დაჯდება და ლაპარაკობს, ლაპარაკობს. მე მალე ვიღლები და ეგ არასოდეს. ვიცი, ახლაც გეგეზე სალაპარაოდ უნდოდა მოსვლა. დაიწყოო. ეს ბიჭი, გმირი, ჩვეულებრივი ბიჭი იყო, სიგარეტს ეწეოდა, ჩხუბობდა, წვერიც კი ჰქონდა. მაგრამ ღამე სხვა ადამიანად იქცეოდა ხოლმე. ღამის პეპელას ეძახდნენ. მოკლედ, მსუბუქად იქცეოდა. მაგრამ საწყალი კი იყო, ყველა მაგას სცემდა და ლანძღავდა. დედამისს ამ ამბავს უმალავდა, გაგიჟდებაო. დედამისი კიდევ გოგოებს ურჩევს, რძალი უნდა, შვილიშვილი უნდა. ბოლოს, ერთ ღამით კლავენ. და ისე ჩაცმულს მიუყვანენ დედამისს და ის იძახის, ეს ჩემი შვილი არ არისო. და სადღაც გარბის. ეგრე მთავრდება. თითქოს, არც არავინ მარხავს. თვალები დავისიე ტირილით. ისევ ვფიქრობდი, რამე ხომ არ შემეშალა, გეგეზე. ეგებ ამ დღეებში მოვიდეს სკოლაში და დაველაპარაკები.

მარტო დავისვამ და ისე.

***

აბესაძე!

ვარ, ლუბა მასწ.

ბათიაშვილი!

აქ ვარ.

ყველამ შეატყო, რომ ლუბა გაკვეთილზე არ იყო. მექანიკურად კითხულობდა სიას.

გეგემდე მივიდა.

ქორიძე. თქვა.

ეგ დღესაც არ არის, მასწ.

მაგან აქ ფეხი როგორღა უნდა მოადგას, მასწ.

ფხუკუნი ატყდა.

ლუბამ ჟურნალი დახურა და კლასს შეხედა. ყველას ერთად.

20 წყვილი თვალი უყურებდა მოლოდინით. გეგე უნდა დავაბრუნოთ. უცებ თქვა. საშინლად მოვიქეცით. საშინლად მოვიქეცი.

საშინლად ის მოიქცა. რატომ იცავთ, მასწ. სიჩუმეში უცებ დემნას ხმა გაისმა. ხო, ის. მამაჩემმა თქვა, რომ ყველას გაგვრყვნის. ირინა აყვა. ხო, თვითონ ბიჭია და გოგოობა მოუნდა. თვითონაა ეგეთი. თქვენ, მასწ, კარგად მოიქეცით, უარესის ღირსი იყო. აქ არ შემოვუშვებთ. წაეთრიოს. და ალეკო და ტყუპები და აბესაძე და ბათიაშვილი და ყველა ერთად აყაყანდა. ლუბა წამოხტა, თავის თამბაქოსფერ ბერეტს ხელი დასტაცა და კლასიდან გავარდა. არასოდეს, არავის უნახავს ის ასეთი. მტირალიც ერთხელ ნახეს, როცა შვილი ციხეში ჩასვეს. მიდიოდა და ლუბების მთელი ჯარი მიყვებოდა გვერდით. ყველა რაღაცას ურჩევდა. ზოგი, ისევ ძველი ლუბას აზრზე იყო, ზოგი ნანობდა, ზოგს გეგეს სურვილების ამოხსნა სურდა. ერთი ლუბა მხოლოდ იმას ამბობდა, რომ მილიარდობით ადამიანში ყველა ისეთია, როგორიც არის და იმ ლუბას ამ აზრამდე მისვლაში ალაგ-ალაგ წაკითხულ-გაგონილ-ნანახი ეხმარებოდა. იყვნენ ისეთი ლუბებიც, რომლებსაც, უბრალოდ, სინდისი ქენჯნიდა და ძალიან უნდოდა თავის გადარჩენა, ვაითუ, გეგეც ღამის პეპელასავით მოკვდეს. ვაითუ, რამე დაუშავონ. ასე თავისი ბევრი თავით გარშემორტყმულმა გაიარა გეგეს ქეთოს დარგული ზამბახებიანი გზა. ჩაუარა, როგორც ჩვეულებრივ ყვავილებს, მათი მელნისფერი სინათლე არ შეუნიშნავს და გეგეს სახლს მიადგა.

ფარდები ჩამოშვებული იყო. ჭიშკარი დაკეტილი. მაინც გადაიხედა ეზოში.

ლუბა, გეგეს ეძებ? ორი დღის წინ წავიდნენ. მეზობელი აესვეტა დაბარებულივით. არაფერი უკითხავს, თავისით აგრძელებდა მოყოლას. არ იცოდი? გეგე წაიყვანეს სამკურნალოდ. საწყალი ბიჭი. რა არ უქნეს, რა არ უთხრეს, მამაო ხო მოუყვანეს. ერთი სიტყვა ვეღარ ამოათქმევინეს. მაგისთვის, ალბათ, ეგრე სჯობდა. სოფლისთვისაც, არა, ლუბა? არადა, რა კარგი ოჯახი იყო, რა კარგი და აგე. მეზობელმა ხელი გაიშვირა ჭიშკრისკენ.

ლუბას არაფერი უთქვამს, მხოლოდ მზერა გააყოლა მის გაშვერილ ხელს და ჭიშკარზე წითელი საღებავით მიწერილი „იყიდება“ გაარჩია.

მერე იქვე, ქვაზე ჩამოჯდა, თამბაქოსფერი ბერეტი კალთაში ჩაიდო და ატირდა.

ზურაბ აბაშიძე

საშტატო ერთეულები

სკოლა რომ დავამთავრე, მამაჩემმა ჩაგვსვა თავის ვოლგაში მე და ჩემი და და ასე გვითხრა, თბილისში მიმყავხართ, სახელმწიფო გამოცდა უნდა ჩააბაროთო, ფული თუ იქნება გადასახდელი, გადაგიხდითო, ჩემს დას ერთი წლის დამთავრებული ჰქონდა სკოლა, სახლში არ გააჩერეს, კომუნისტების დრო იყო, გაუშვეს სამუშაოდ ლენინგრადში, ასე თქვეს, უსაქმოდ არავის დავტოვებთო. თბილისში ჩავედით თუ არა, მამაჩემმა გადარეკა, ჩვენი ნათესავი იყო გათხოვილი სართიჭალაში და იქ გავჩერდით ორი ღამე, მესამე დღეს გამოცდა გვქონდა, არ ვიცოდით რა უნდა გვეწერა, უნდა გვეწერა საერთოდ თუ ზეპირად უნდა ჩაგვებარებინა, ძალიან ვნერვიულობდით, აღმოჩნდა რომ საწერი გვქონდა, დავსხედით მე და ნარი, თავი არ აგვილია ფურცლიდან, რაც ვიცოდით, ყველაფერი დავწერეთ, ჩვენს სკოლაში ხუთოსნები ვიყავით, მარა იქ აღმოჩნდა რომ არაფერი ვიცოდით, სოფლიდან ჩასული გოგოები ვიყავით, რას დავწერდით. მომდევნო კვირას პასუხები გამოაცხადეს, ნარიმ ორი ქულა მიიღო, მე სამი ქულა, ჩავირიცხე ინსტიტუტში, სატყეოზე, იმ ღამეს ნარიმ თავი ვერ ასწია ბალიშიდან, ტიროდა მთელი ღამე, მეც ვტიროდი. რეკავდნენ და რეკავდნენ, ცინარამ მოსდო მთელს სანათესაოს, ჟუჟუ თბილისში მოეწყოო, ისე მიხაროდა, ისე მიხაროდა. დიდი სუფრა დაგვახვედრეს რომ ჩამოვედით, ყველა ჩემი კლასელი დამხვდა, ნათესავი, ახლობელი, ბადრიც იმ საღამოს გამომიტყდა სიყვარულში, ჩემს კლასელ თინიკოს გამოატანა წერილი, ვზივარ სუფრის თავში, მამიკოს გვერდით, და უცებ ხელებში სალფეთქი ჩამიკუჭა თინომ, გავხსენი, მიყვარხარო ეწერა, მიეჩხაპნა ბადრის, ის იყო, იმის მერე აღარც უთქვამს არაფერი ბადრის, მარტო წაკითხული მქონდა რომ ვუყვარდი.

რაცხა ჯანდაბა და სიკვდილი ნოუთმუქები შემეიტანეს სკოლაში, პირველ კლასელებს დუურიგეს, ხანდახან გახსენით და უუხსენით აქედანო, მერე ინტერნეტის მოდერი მომიტანეს, კედელზე ჩამოკიდეო, ვდგავარ სკამზე, ვხლაფორთობ, ვკიდავ ამ მოდერს და უცებ მოყანყალდა სკამი, ჩამოვვარდი და დევეცი ერთ ბაღანას, გასკდა ტირილით, ვეფერე, არ იტირო-მეთქი, გეხვერწები-მეთქი, რამე ხომ არ გეტკინა-თქვა, დუურეკე მშობელს, მევიდა და გააქანა ბავშვი, დირექტორთან, მიჩივლა, დირექტორმაც მეიყვანა უფლებადამცველიო თუ ჯანდაბა ვიღაცა და გიმიშვეს სამსახურიდან, ფიზიკურად ძალადობ ბავშვზეო.

უფროსი გოგო გათხოვილია, კარგი ქმარი შეხვდა, ფულიანი, არც ჩვენთვის ენანება, კვირაში ორჯერ მოვა, პროდუქტებს მოიტანენ, ფულსაც მაძლევს, გამოსვლამდე ჯიბეში ჩამიცურებს ჩემი გოგო ხელს, წავა, დავხედავ ასლარიანი. უმცროსი „იალჩინში" მუშაობს, თურქების მაღაზიაა, მენეჯერია თვითონ, კაი ხელფასი აქვს, 500 ლარი. ჩემი ქმარიც პრარაბია, სულ მუშაობს, ფულით არ გვიჭირს, ყველას ჩვენი საქმე გვაქვს, მე ბევრს ვსაქმობ სახლში და სულ მეჩხუბებიან, დედიკო, რკინის ხომ არ ხარ, დაჯექი, დაისვენე, ხვალაც მიხედავ საქმეს, მარა ჩემი დაჯდომა არ არის, ხან მეტყვიან, დაანებე სკოლას თავი, რაღატომ მუშაობ, ჩვენ გარჩენთო, მარა რა ვქნა, ჩემი ფული მინდა მე, სკოლაში მივდივარ და ტვინს ვასვენებ, დავჯდები და ვუყვები დავით აღმაშენებელზე, დიდგორზე, შამქორზე, ბასიანზე, მეფეების ცხოვრებაზე, ბრძოლებზე, ომებზე, სულ ისე ვაკეთებ, ვიცი რისი მოსმენა უნდათ, რა დაინტერესებთ, ზედმეტებს არ ვასწავლი.

რაღა დროს ჩემი გამოცდებია, მაცალონ ერთი-ორი წელი და გამასვენებენ სკოლიდან. ყოველ წელს აპრილის თვეში დირექტორი დამიბარებს კაბინეტში, გამლანძღავს სხვების გასაგონად, დამარეგისტრირებს სასერთიპიკატო გამოცდებზე და გამაძუნძულებს,

მაფრთხილებს, ამ წელსაც თუ ვერ ჩააბარე, გაგიშვებ სკოლიდანო, მეც უკვე მეოთხე წელია მივდივარ ამ გამოცდაზე, შუა გამოცდაზე გავდივარ ტუალეტში და ხმაზე ვტირი, არ შემიძლია, ვერ ვხვდები, რეებიც წერია იმ ფურცლებზე, რაღა დროს ჩემი ეგეთებია, მე რომ სკოლაში მივედი, არავინ მთხოვდა გამოცდებს, ისე ვიმუშავე წლები, არავის უთხოვია გამოცდა, რა, ვერ ვიყავი კარგი მასწავლებელი?! რაიონში ჩემნაირი ქიმიის მცოდნე არ დადიოდა, მე შევაყვარე ყველას ქიმია, ვინც ჩვენი ქალაქიდან წამოვიდა ქიმიკოსი, ყველა ჩემს ხელშია გამოვლილი, დღეს რას არ მიაღწიეს, ყველა კაბინეტში ზის, მე რა მერგო, ტუალეტის გვერდით მაქვს საკლასო ოთახი და ვსუნთქავ შარდის სუნს.

მე და ომარიმ სკოლაში გავიცანით ერთმანეთი, ახალი დაწყებული მქონდა მუშაობა, ორივე საბუნებისმეტყველოს ვასწავლიდით, მე ბიოლოგიას, ომარი – ფიზიკას, გასათხოვარი ვიყავი, 33 წლის, გოგოებმა გააკეთეს საქმე, ასე მითხრეს, ომარი ისე ტკბილად გახსენებს, რამე უნდა ვქნათო, ვითომ რაღაცა შეკრება მოიგონეს, რესტორანიც აარჩიეს, 23 მარტი იყო, მახსოვს, რესტორანი „პალმები“, მივედი გამოპრანჭული, კაბა მაცვია ლამაზი, პატარა ჩანთა მიჭირავს ხელში, კოსმეტიკაში ვიყავი, თმები დავისწორე, უცებ ვხედავ, ორკაციან მაგიდასთან ზის ომარი, აქ რატომ ხარ-მეთქი, აქ დამსვა მიმტანმაო, მოვლენ ალბათ დანარჩენებიცო, მეც მივუჯექი, თავიდან ველოდე თანამშრომლებს, მერე საუბარი დავიწყეთ მე და ომარმა და ისე გავიდა მთელი საღამო, ვერც შევამჩნიეთ, არავინ რო არ მოვიდა, თან კონიაკმა ცოტა შემათრო, უკანა გზაზე ომარმა გამომაცილა, სახლამდე ტაქსით მოვედით, ცოტა მოშორებით ჩამოგვსვა მძღოლმა და ფეხით გამოვიარეთ, შემცივდა ოდნავ და თავისი პიჯაკი შემომაცვა, მიმაცილა სადარბაზომდე და ლოყაზე მაკოცა.

დოდო რომ გალოთდა, არავის გაკვირვებია, ვიცოდით რომ რაღაც მსგავსი დაემართებოდა, რთულია შვილის გარდაცვალება, არა, მე ჯვარი მწერია, ღმერთმა მაშოროს, მარა არ ვიცი, შეიძლება თავი მომეკლა კიდეც, გადავყვებოდი ზედ, ჩავყვებოდი ალბათ. გალოთდა და თან როგორ, მანამდეც ვყოფილვართ სუფრაზე ერთად, ოცი წელია ჩვენთან არის, ხან სად ვიკრიბებით მასწავლებლები, ხან სად. აქაოდა, ბანკეტებიო, წლისთავები, ქორწილები, მაგრამ დოდოს წვეთი არ დაულევია არასდროს, წრუპავდა თავისთვის ლიმონათს, ტარხუნა უყვარდა, მარა ორმოცის მერე ვერაფერი რომ უშველა დარდს, ერთი ჭიქა გადაკრა, ერთს მეორე მოყვა, მეორეს მესამე და არ ამახსნევინოთ ახლა, როგორ ლოთდება ადამიანი, გაგვიპიანიცდა დოდო, ქალის პიანიცობა ვის გაუგიაო იტყვით, მარა, აი, ეგრე მოხდა, გაპიანიცდა.

მოვიდა თბილისიდან ახალი მასწავლებელი, ახალგაზრდა გოგო, ნაცრისფერი კაბა ეცვა. თმა დაევარცხნა საგულდაგულოდ, ნათია მქვიაო, კულტურული, განათლებული, შეგნებული, სამასწავლებლოში შემოვიდა გაგვეცნო, ყველას გვკითხა სახელი და დასვა ათასი კითხვა, ამას როგორ შვებით, იმას როგორრო, სულ რაღაცებს გვასწავლიდა, მარა თავისებურად, არ დაეზარებოდა ახსნა, რჩევის მოცემა, დარიგება, თან ტონსაც ისე შეარჩევდა, არც ვბრაზდებოდით, თქვენგანაც ბევრს ვსწავლობო, ხშირად გვეუბნებოდა, მადლობის თქმა იმას არ ეშლებოდა, არც ბოდიშის მოხდა უჭირდა. შეაყვარა მთელს სკოლას თავი, ყველა ამ გაწრეტილ გოგოს ეკითხებოდა ჭკუას, ბუნებას ასწავლიდა დაწყებითებში, ისე უყვარდათ ბავშვებს, პატარები ბუნების გაკვეთილებს ელოდებოდნენ, ცეკვავდნენ, თამაშობდნენ ნათიასთან ერთად, უფროსკლასები შეყვარებულები იყვნენ ახალ მასწავლებელზე, უგზავნიდნენ წერილებს, შოკოლა-

დებს, ესეც სიცილით და ხალისით იშორებდა აბეზარ უფროსკლასელ თაყვანისმცემლებს და იყო ერთი ამბავი, დირექტორი ძალიან კმაყოფილი იყო გოგოს მუშაობით.

სამი წელი ვისწავლე თბილისში, ნარი დაბრუნდა ლეჩკომბინატში, მესამე კურსზე გავთხოვდი და წამოვედი, ახლანდელ აეროპორტთან ცხოვრობდა ბადრი და მეც შევედი ახალ ოჯახში, დედამთილი კარგი შემხვდა, მეფერებოდა, ეამაყებოდა თბილისში ნასწავლი გოგო რომ მიუვიდა რძლად, მეც მეტყველება დავხვეწე თბილისში, კულტურულად ვლაპარაკობდი, ერთხელ ცხონებულმა დედამთილმა მითხრა, სტუმარი რომ მომდის, ერთი სული მაქვს, როდის დაიწყებ ლაპარაკსო, ისეთი სიტყვა-პასუხი გაქვსო. მაშინ ახალი გათხოვილი ვიყავი და მიხაროდა. ბათუმში გადმოვიტანე საბუთები, პედაგოგიურზე ჩავაბარე, ამაზე სულ გადაირია ჩემი ოჯახი, კარგი პროფესიააო, ქალს მასწავლებლობა უხდება, მარტო მასწავლებლად თუ გამუშავებთო და ისეც, ორი წელი ვიყავი დაუსწრებელზე, იმ პერიოდში ნუკრიც გამიჩნდა და მამიკომ სამასი მანეთი გადამიხადა, საქმე გამიკეთა და სკოლაში მომაწყო მასწავლებლად, ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი გავხდი უცებ.

ახლა, რა არის იცი ? რო ამბობენ, მასწავლებელმა ასე და ქნას, მასწავლებელმა ისე და ქნას, მასწავლებელი ამფერი და იყოს, მასწავლებელი იმფერი და იყოს, გვაძლევენ ამ მასწავლებელს კაი ხელფასს ?! არ გვაძლევენ! გამომაქვს ბანკომატიდან ხელფასი, გევალ ხოფაზე, ჩამუუვლი ნარიკოს 50 ლარს ვაძლევ ნისიას, მარინას 90-ს, იგერ ხათუნა მიცდის, იმაზეც ვალი მაქვს, გაქრა ფარა, აღარ არის, მერე ვიტყვი, აღარ დევინისიავებ, მარა მიორე დღეს მაინც ნისიად მომაქ, ისევ იმნაირად, მეშლება მერე ნერვები, მივდივარ სკოლაში, ვყვირი, ცოფებს ვყრი, ვღრიალებ, ვუშტვენ შვისტოკში, აღარც ბურთის დანახვა მინდა, არც ფიზკულტურის დარბაზის, არც ამ პირდაფჩენილი ბაღნების.

სამი დღე ვიტირე, ოთახიდან ვერ გამომიყვანა, ვერც მეგიმ და ვერც მირზამ, ბოლოს მეგიმ მითხრა, დედიკო, გააკეთე ფეისმუქიო და დაწერეო, მეც გავაკეთე ფეისმუქი და მივწერე განათლების მინისტრს, მერე პრეზიდენტსაც მივწერე, ვუთხარი, სკოლიდან გამომაგდეს, მაბრალებენ ფიზიკურ ძალადობას, არცერთმა არ მიპასუხა, ბოლოს დარინა მესტუმრა, ჩვენი თანამშრომელი, ნაზი, ჩემი ბაღანა ადვოკატია და გიგიკეთებს საქმესო, ვირბინეთ ორი წელი სასამართლოებში და ბოლოს დავამტკიცე ჩემი სიმართლე, გაახარა დარინა და იმის გოგო ღმერთმა, რაც მე მაგათ ვლოცავ, დამაბრუნეს სამსახურში და რაცხა ვერ ვიმუშავე, იმ ორი წლისაც მომცენ ხელფასი.

ერთ დღესაც ნაკაშიძის გოგო შემოვიდა კლასში ტირილით, მე გიორგი ბრწყინვალეზე ვუყვებოდი ბავშვებს, ხატია, რა გატირებს-მეთქი, არაფრით არ მითხრა, დარბის სკოლაში გზააბნეული თხასავით, 15 წლისაა და უკვე ქალობს, ძუძუები გაეზარდა, მოკლე კაბებს იცვამს, უჟუჟუნებს ბიჭებს თვალებს, გული გამისკდა, ამ მოცინარ გოგოს, რა ეტაკა-მეთქი, ვინმემ ხომ არ აწყენინა-თქო. ჩავედი სამასწავლებლოში, ყველა ლაპარაკობდა, ვიღაცას ბიჭების ტუალეტში დაეწერა, ნაკაშიძე ხატია ბოზიაო, გავგიჟდი, გავაფრინე, მთელი ღამე ვინერვიულე, მეორე დილას პირველი IXᵃ-ში მქონდა, ნაკაშიძე ბოლოში იჯდა, აღარ ტიროდა, მარა თავი არ აუღია მერხიდან, დავაყენე ყველა ფეხზე, გამოვართვი შურას მაგიდის ტილოები და ვახეხინე ბავშვებს ბიჭების ტუალეტის კედლები, 300 მოსწავლე გვყავს, მოდი და გაარკვიე ვინ დაწერა. მაგას აზრი აღარ ქონდა. ყველა ნაწერი მოვაშორეთ კედლიდან, მერე შემოვედით კლასში ნაკაშიძესთან მივუშვი ყველა ბიჭი და ბოდიში მოვახდევინე, ყველამ აიღო დანაშაული თავის თავზე, ორი დღე რომ იცინოდნენ იმ წარწერაზე, მერე ავუხსენი რომ ჩვენ ერთმანეთი უნდა დავიცვათ, ნაკაშიძემაც ძლივს გაიღიმა, სანამ კლასიდან გავიდოდა, ჩავეხუტე, ვუთხარი რომ არ აყვეს მაგათ ლაპარაკებს, ახალგაზრდა გოგო ხარ და მოკლე კაბას ჩაიცვამ, აბა რას იზამ-მეთქი.

ბავშვებიც დამცინიან, ხან რას მეძახიან, ხან რას, ტელეფონზე ზარებს მიცვლიან, მუსიკას ჩართავენ გაკვეთილზე და ვერაფრით ვაჩერებ, ზუზუნებენ, არ სწავლობენ, მე კი არ მაკლებენ რამეს, თავის თავს აკლებენ, ქიმია არაა ხელწამოსაკრავი საგანი, სულ ვცდილობ, არ შევიძულო, სულ მაგას ვეუბნები ჩემს თავს, პატარები არიან, რა იციან ამათმა, გაიზრდებიან და მიხვდებიან.

სამ თვეში ვიქორწინეთ მე და ომარიმ, მთელი სკოლა დავპატიჟე, ისეთი კარგი დრო გავატარეთ, ისეთი... იმის მერე სულ ერთად დავდივართ სკოლაში, დიდ შესვენებაზე ბუფეტში ვზივართ და ვჭამთ. ყოველი წლის 23 მარტს რესტორან „პალმებში“ მივდივართ, იმავე ადგილზე ვსხდებით... ვსაუბრობთ... არაფერი შეცვლილა, ისევ ისე მიყვარს. აი, ასეთი თანამშრომლები მყავს მე, ასეთი სკოლა გვაქვს ჩვენ და ასეთი მასწავლებლები ვართ ჩვენ.

პირველად სამსახურის მერე სვამდა დოდო, სკოლაში ფხიზელი მოდიოდა, მერე ისე მიეძალა, სამსახურში მოდიოდა არყის სუნით, თავიდან ვერაფერი ვუთხარით, მერე მოსწავლეებმა დაიწყეს ჩივილი, გაკვეთილზე სიტყვები ერევა, საკონტროლოზე ეძინება, აგვიანებს, საქმეთა მმართველმა, ქსეროქსის გასაკეთებლად მოვიდა და ნასვამი იყოო, სუნი ჰქონდა საშინელიო, ბოლოს იმდენი ქნა, სკოლაშიც დაიწყო ბოთლებით სიარული, ჭკუა არ მოეკითხებოდა, გაახსენდებოდა ჯაბა და იწყებდა ტირილს გაკვეთილებზე, პირდაღებული ბავშვებიც აწყნარებდნენ და ასე მიდიოდა საგაკვეთილო პროცესი.

ერთ დღესაც ბავშვები ატეხა ამ ჩვენმა ახალმა მასწავლებელმა ნათიამ, სადღაც ყური მოკრა რომ ჩვენს ქალაქში საშინელ დღეში აგდებდნენ დელფინებს, კვება იმათ არ ჰქონდათ ნორმალური, არც შოუდან შოუმდე ასვენებდნენ, ასე თქვა, ეს არის ცხოველების უფლებების დარღვევაო, იმათ თუ არა აქვთ ენა, არ ნიშნავს, რომ არაადამიანურად უნდა მოვეპყროთო, მოგვიწოდა ყველა მასწავლებელს, წამოდით, დავიცვათ დელფინების უფლებებიო, ჩვენ გაგვეცინა, ერთი შენი ჭირიმეო, უთხრა მანანამ, ვისი უფლებაა დაცუ-

ლი ჩვენს ქვეყანაში, დელფინები რომ გაგახსენდაო, მეორემ, საქმე დაგლეკია ნათია შენო, მაგას ჯობია, ანახო იმ ბავშვებს ეგ დელფინები, სხვა ვინ წაიყვანს მაგათ დელფინების შოუზეო. ეს მაინც არ დანებდა, დახატა ბავშვებთან ერთად საპროტესტო პლაკატები, შეკრიბა ყველა ერთად და გაემართნენ დელფინარიუმისკენ, აღმართეს პლაკატები, მოუწოდებდნენ დელფინარიუმის დირექტორს, ეზრუნა დელფინებზე, ცოტა ხანი იდგნენ, ვინც კი იმ ქუჩაზე მოხვდა, ჩვენი ქალაქელები ყველა ფოტოს უღებდა საწყალ მასწავლებელს და ბავშვებს, სიცილად არ ჰყოფნიდათ ეს ყველაფერი.

ჩავიცვამდი ნაჭრის კაბას, თმას ზემოთ გავიკეთებდი, იმ დროინდელ მოდაზე, მოვიგდებდი პატარა სუმკას და მივპლაკუნობდი ქოშებით სამსახურში, ისე მიხაროდა, ისე მიხაროდა, დედამთილი ამაყად ამბობდა, პედაგოგია ჩემი ბადრის ცოლიო. მეც გაღიმებული ვიჯექი. იმის მერე, იცი, რამდენი უბედურება ვნახე ? ქმარი გარდამეცვალა, დედამთილიც მიყვა შვილის ნერვიულობას, მამაჩემს ინსულტმა დაარტყა, ჩემი და სურამში გათხოვდა, დავრჩი მარტო 14 წლის ნუკრისთან ერთად, ბიჭის გაზრდა პატარა საქმე ხომ არ არის, რამდენი უნდა მექნა ერთ ქალს, ასაკი ქონდა ისეთი, ავარდნილი. სკოლის მერე მოსწავლეებს ვღებულობდი, ვამზადებდი, ზაფხულობით ხან თხილზე მივდიოდი თურქეთში, ხან სასტუმროებს ვალაგებდი, ბევრნაირი საქმე შევითავსე, ერთი ბოზობით არ მიბოზია და არ მიქურდია, ბევრი სამარცხვინო საქმე გამიკეთებია, სხვისი ტუალეტები მიხეხია, მარა ყველაზე მეტად რაც მახარებდა, ჩემი სკოლა იყო, დადგებოდა სექტემბერი, ისევ გამოვიღებდი შკაფიდან ნაჭრის სარორჩკებს, სარაფნებს, საპლაკუნა ტუფლებს და მივდიოდი სკოლაში, ჩემს მოსწავლეებთან. შევდივარ კლასში, წამოდგებიან, გამარჯობა, ჟუჟუ მასწავლებელო. დილის ცხრა საათიდან, შუადღის სამ საათამდე პედაგოგი ვარ, ჟურნალს ვავსებ, ნიშნებს ვწერ, ვასწავლი ბავშვებს უკვე 25 წელია, სამი საათის მერე მათხოვარი ვარ, მუხლებზე ვდგავარ და ვხეხავ, სულ რო ვიღლები, იმ დილის საათებს ვიხსენებ და მიხარია. რთულია, რთული.

იმის მერე დაფეთებული ვარ, ვინმემ რამე შარი არ მომდოს, არადა არც დიმიყვირია არასდროს, გაჭირვება, უშუქობა და უწყლობა რომ იყო, ვეჯექ ბაღნებს და ტილებს ვუხილავდი, მეტირებოდა რომ ვუყურებდი, ხალხს საპონის ფული რომ არ ქონდა, რა დროს აი, ია და აი, თათი იყო. ვიჯექ და ვუხილავდი ტილებს, ვიყინებოდით კლასში და ვათბობდით ერთმანეთს, მერხებს ვადგამდით ახლოახლო, სულ მე ვაკეთებდი კონცერტებს, დადგმებს, ღონისძიებებს, გამოსვლებს, ღია გაკვეთილებს, ექსკურსიებს, გამყავდა ბაღნები მუზეუმებში, ეკლესიები ვანახე, მაგი ვის ახსოვს ახლა ?! მაგი ვინ მათქმევინა ?! არავინ! ძალადობდიო, ამომკრეს პანჩური და გამაგდეს სკოლიდან.

უფროსი გოგო გათხოვილია, უმცროსი მუშაობს „იალჩინში“, ჩემს გოგოებს მიხედვა აღარ უნდათ, იპოვეს თავისი გზა, სკოლაში მივხედავ სხვის გოგოებს, სახლსაც ხო არ ვალაგებ სულ, მეორე დღეს მტვერშია მაინც ყველაფერი, იმ წარწერებს მე თუ არ ჩამოვრეცხავ, სხვა არაფერს იზამს, ასეთ დროს გვერდით უნდა გადადო შამქორი და ბასიანი.

ბოლო დროს მავიწყდება რომელი გაკვეთილია, რამდენი გაკვეთილი ჩავატარე და რამდენი დამრჩა, ნანა მიხაილოვნამ გაიხაროს, დერეფანში გამოვალ თუ არა მომიდგება გვერდით, ისე ჩამჩურჩულებს, სხვამ რომ ვერ გაიგოს, ფატი, მესამე გაკვეთილი დაიწყება, ფატი, ორი გაკვეთილი დაგრჩა. მეტირება ხანდახან. ერთმა ბავშვმა ტელეფონში ზარის ხმა ჩაწერა და შუა გაკვეთილზე რთავს, მგონია რომ ზარი დაირეკა და მიხარია, არადა, მაიმუნობენ, მე კიდე დებილი ვარ, ერთ დროს ჩემი ხარჯებით ვიყიდე ლაბორატორიის ინვენტარები, მოვათრიე სკოლაში, ცდები რომ ჩამეტარებინა. რას აღარ ვაკეთებდი, ქიმიისკენ გული რომ მოებრუნებინათ, რთული საგანია მაინც, უნდა წაახალისო, სწავლა რომ შეეხალისოთ. სამასწავლებლოშიც სულ მე დამცინიან, მასწავლებლებს ნერვები ეშლებათ, სკოლიდან რომ არ მივდივარ, როდემდე უნდა იყოს აქო, ნეტა ერთი ისეთი ცდის ჩატარება შემეძლოს, სამასწავლებლოს რომ ავაფეთქებდე. კრუხები ეგენი, ნუგზარიც აყოლილია ამათ ჭკუას და ღლიცინებს. სანამ შემიძლია ვივლი, სხვა შემოსავალი მე არ მაქვს, დამინიშნონ მაღალი პენსია სახელმწიფომ და ფეხს ვერ დაინახავენ ჩემსას სკოლაში.

ბოლოს დაიღალნენ ბავშვები, აწუწუნდნენ, მოაყენა დირექტორმაც ვერცხლისფერი ჯიპი და ამანაც მაგრად იცინა, შევარდა შიგნით, გამოიტანა ბილეთები და ორ-ორი დაურიგა თითოს, გაიხარეს ბავშვებმა, ნათია გამწარდა, მარა რას გააწყობდა, მეორე დღეს მშობლებთან ერთად წავიდნენ ბავშვები დელფინარიუმში. დელფინარიუმის დირექტორი გავლენიანი კაცი აღმოჩნდა, ისე მოაწყო საქმე, სკოლიდან წასვლა მოუწია ნათიას, ვინც ბოროტობდა და არ უხაროდა ახალი მასწავლებლის წარმატება, იმათმა ყველაზე მეტად გაიხარეს, ასეა, ჩვენს სკოლაში არავის უყვარს გულწრფელი და პროფესიონალი ადამიანები, მოვიდა გოგო, შეაყვარა ბავშვებს ყველაზე რთული საგანი და რათ გინდა, ისე მიაბრძანეს, მეორე დღეს არავის ახსოვდა.

რა გგონიათ, არ მივიდოდა დირექტორამდე დოდოს გაპიანიცების ამბავი ? მივიდა, კი, ჯერ გაფრთხილება მიიღო დოდომ, მერე საყვედური, მერე დაყვავება, მერე მაგიდაზე ხელის დარტყმა, კატეგორიული ტონი და მუქარა სამსახურიდან გაშვების თაობაზე, ბოლოს გაუშვეს კიდეც სამსახურიდან. არ ეშველა ქალს არაფერი. მარა იცი ყველაზე სევდიანი რა არის ამ ამბავში ? დაესივნენ სხვა მასწავლებლები ამ ჩემი საწყალი დოდოს საათებს, სულ დაგლიჯეს ერთმანეთი, გადაინაწილეს კლასები, ვისღა ახსოვდა საწყალი ქალი, ვიტყვი რამეს დოდოზე, ერთს შეიცხადებენ და აგრძელებენ მერე სამასწავლებლოში პირის ქნევას და მცოხნას.

ეგ არაფერი, ერთი-ორი წელი მაცალონ, გამასვენებენ აქედან, მერე ვის იპოვიან ჩემზე მცოდნეს, ვნახოთ ერთი, ვინ ასწავლის ამ შტერებს ქიმიას.

კურუმ, კურუმ...

4 აგვისტო

– იყავით სულ ცოტათი ჯენტლმენი, ახალგაზრდავ, თუ შეიძლება, გამატარეთ!

– მიბრძანდით, ქალბატონო!

– ანზორ, ამომირჩიეთ, ისეთი რომ ღირდეს სახლში მიტანად, ტყუილად არ დამღალო ამ სიცხეში!

– ქალბატონო ზეინაბ, გაგიჭრათ, თაფლივით ტკბილია!

– რომ გაჭრი და არ ივარგოს, მერე იმაზე უნდა ვიდარდო ზარალში ჩავარდა კაცი-მეთქი. შენც ისეთი ამირჩიე, რომ მეორეჯერაც მოვიდე!

– ახლავე, ნახეთ აი, როგორ ზარივითა რეკამს, თავს დავდებ, ტკბილი იქნება!

– კარგი, ხო რაც არის არის, არაა საჭირო საზამთროს გულისთვის თავის დადება, სხვა უფრო ღირსეული საქმისათვის შემოინახე! აი, გამომართვი ფული!

– გემრიელად მიირთვით!

– ახალგაზრდავ, იმედია თქვენი საზამთრო ჩემზე უკეთესი არ იქნება?!

– აბა რა გითხრათ, რაღა საზამთრო გიყიდია და რაღა ლატარეა გითამაშიათ!

– ვითომ და რატომ უნდა იყოს თქვენი უკეთესი?

– არა, ეს არ მითქვამს, უბრალოდ იცით ალბათ მჯობნის მჯობნი საზამთრო არ დაილევა?!

– კარგია ანდაზების ხასიათზე თუ ხარ ამ სიცხეში, ისე ეს ანდაზა კაცზეა და არ საზამთროზე!

– ვიფიქრე საზამთროზეც...

– ხოდა ზოგჯერ თქმითაც დაშავდების!

– ვინ იყო ეს ქალი?

– არ იცი? ზეინაბ მასწავლებელი!

25 აგვისტო

ღმერთო რა დავაშავე, რატო არ ესმის ჩემი მშობლებს, მე ხო „მამაო ჩვენო“ სულ ზეპირად ვიცი და ბოლომდე ისე ვამბობ, ერთსაც არ ჩავისუნთქავ. როგორც ვატყობ, ძალიან სიამოვნებთ ჩემი გაბრაზება! თვის ბოლოს თბილისში მივდივართ, შენც უნდა წამოხვიდე და იქ უნდა ისწავლოო! მიდიხართ, ხო მაგრამ იქნებ და მე არ მოვდივარ! ახლა კიდე ჩემი მოსყიდვა უნდათ, მეზობელს ინგლისიდან ახალი სასკოლო ზურგჩანთა ჩამოატანინეს, როგორიც

მინდოდა: სქელი, ხვლიკისფერი ნაჭრის და ოქროსფერი, მსხვილი ძაფებით შეკერილი, თან უამრავი ჯიბეებით, მოიცა დავთვალო, რვა, მეცხრეც, ჯიბეზეც ჯიბე. მაგარია. ხოდა ავიღებ ამ ჩანთას, ჩავაწყობ ჭადს, ყველს, ცოტა კიტრს, ვაშლს და ბათუმში გავიპარები. მსოფლიოს რუკაც არ დამავიწყდეს, სადმე რომ არ გავიბნე. ან სად უნდა გავიბნე, დედამიწა ხო მრგვალია, ვიარ, ვიარ მაინც უკან დავბრუნდები, ხოდა დავბრუნდები სამოცი წლის მერე. მგონი სამოცი ბევრია, მაშინ ბაბუა და ბებია ვერ მიცნობს! მოდი, ოც წელიწადში დავბრუნდები! მაგრამ მანამდე კი ჯერ უნდა ავითესო, მიყარონ მერე კაკალი, მამალი ინდოურივით, როგორ შემოსძახებენ, რომ დავუსტვენ: კურუმ, კურუმ...

ფრთხილად უნდა ვიყვე, თორემ ვინმე აუცილებლად დამინახავს, რომ ჩანთით ხელში სადღაც მივდივარ. მერე ესენი, მეზობლები ხო ყველა შერლოკ ჰოლმსები არიან და კონან დოილები? თუ დაგინახეს მტრისას, ყველაფერს გამოგკითხავენ, ვისი ხარ? სა მიხვალ? რეიზა? სიმართლეს ეტყვი და დაიწყება ჭკუის დარიგება: მამაშენმა რა თქვა, გიშობს? დედაშენმა ეს იცის? ბებიაშენი ჭკუიდან ეიწევა, ბაბუაშენს წნევა გლეჯს ან ინფარქტი გარანტირებული აქვს, აფსებ ოჯახს? ამიტომ სჯობს ღელე-ღელე და ყანა-ყანა ვიარო და ცენტრალურ გზაზე ისე გავიდე. ეს ხვიჩა, კიდე, ვეუბნები, არ გინდა სახლიდან წავიდეთ? – რატო? – უკვირს! არ მოგბეზრდა ეს სკოლა და სწავლა, წავიდეთ ქვეყანა მოვიაროთ. რა ქვეყანა მოვიარო, ახლა უნდა წავიდე და თხებს წყალი დავალევინო და გადავაბა! – თხები მოიცდის! – ვეუბნები. რო გწყურია, შენ მოიცდი? – ვითომ სიტყვაში მომიგო. ხოდა იყოს სახლში და თხებს მიხედოს! მე კი მთავარია ბათუმამდე ჩავაღწიო. გემზე ავიპარო, სულ ერთია სატვირთო იქნება თუ სამგზავრო, მთავარია დიდი იყოს, რომ ვერავინ შემნიშნოს, აბა პატარა ნავში ყველა დამინახავს! გავყვები და წავალ სადმე უცხო ქვეყანაში, სულ ერთია სად! სადმე შორს, რომ არ დავინახო ეს ჩემი მოძალადე მშობლები, ერთიც და მეორეც. კიდე კარგი და-ძმა არ მყავს, საცოდავები, როგორ გაუძლებდნენ ამ ბარბაროსებს, თბილისში გააგრძელებ სწავლასო, მეუბნებიან, მე თუ მინდა ამ თბილისში წამოსვლა, არც კითხულობენ. რა უნდათ ამ თბილისში, რომ კითხო იხრუკება თბილისიო, სუნთქვა არ შეიძლებაო, ყველა ასე ამბობს, სოფლად რომ ჩამოდიან, ანუ მეც უნდათ, რომ დავიხრუკო. ვერ მოგართვით! ვინმეს არ ეგონოს რამის მეშინია, სხვა თუ ძლებს მეც გავძლებ, მაგრამ მიდიხარ, ჯერ უნდა მკითხო მოგყვები? შვილო, მე ხო გაგაჩინე, დედა ვარ, უშენოდ როგორ ვიყო? – დედა მეუბნება. ასე მაგელანიც გააჩინა დედამისმა, მაგრამ მერე იმან დედამიწას შემოუარა.

ეჰ, ან ორეულის შექმნა რომ შემეძლოს. ელემენტებიანის ან დენზე დასატენის, ჩავრთავდი და ეყოლებოდათ ქალაქში მეორე ლაშა, გინდაც სადილად, გინდა ვახშმად , მე თავი დამანებეთ...

– ლაშა! – აჰა, დედაჩემი მეძახის! ხმას არ ვცემ. ახლა საერთოდ გავქრები, უჩინმაჩინი გავხდები, ვერ დამინახავს! კარადაში ხო არ შევძვრე? ნაბიჯების ხმა მესმის, უკვე კართანაა. როგორ მინდა ახლა გავქრე. სადაცაა კარი გაიღება. ახლა ვიტყვი: კურუმ, კურუმ და გავქრები. ის ვიცი, თუ რაიმე ძალიან გინდა, გისრულდება: კურუმ, კურუმ...

– სადაა ეს ბოვშვი! – ოთახში შემოსული დედაჩემი აქეთ იქეთ იხედება, მაგარია ანუ ვერ მხედავს. არადა და მის წინ ვზივარ ტახტზე და თვალებშიც ვუყურებ, ის მაინც ვერ მამჩნევს. ნუთუ თამაშობს? მხედავს და თითქოს ვერ მხედავს? ახლავე გავარკვევ, კედელზე სარკეა, სარკეში თუ არ ვჩანვარ, ანუ ვერ მხედავს. თითის წვერებზე, უხმაუროდ ვუახლოვდები სარკეს. ოი საკვირველებავ, არ ვჩანვარ. დედაჩემი ოთახიდან ისევ აივანზე გადის.

– დედა, ბაღანე არ იცი სად არის? – ბებიას ეძახის.

– არა, ნენა, ოდაში ამევიდა თითქოს! – მესმის ბებიას ხმა. მეც აივანზე გავდივარ, აბა ბებია თუ დამინახავს. ის ინდოურის ჭუჭულებს ძალად ატენის ჭინჭრის ფხალს. ისიც მოძალადე. ჯერ ჰკითხე უნდა ეს შენი ფქვილში არეული ფხალი, აბა შენ ჭამე, თუ კაია. ბებიაც ვერ მხედავს. ვაჰ, რა მაგარია, მართლა ვერავინ მხედავს ანუ შემიძლია, ღელე-ღელე კი არა, ნორმალურად, გზაზე გავიდე, ავტობუსშიც ავიდე, გზის ფულსაც არავინ მომთხოვს და გემზეც ვერავინ ვერ შემნიშნავს. მშვიდობით მშობლიურო სოფელო, მშვიდობით საქართველო, დედა და მამა, ბებია და ბაბუა, მეზობლებო, ჩემო ძმაკაცო ხვიჩა, მიხედე შენს თხებს და გიტოვებ საქორიაზე გამოქვაბულს, რომლის არსებობა მხოლოდ ხუთმა ვიცით. ახლა კი ოთხნი რჩებით, ბიჭებს ეტყვი , რომ საიდუმლო მისიით ვარ წასული. გიტოვებ მთელ ავლა-დიდებას, რაც იქ გვაქვს, მხოლოდ ფანარი უნდა ავიღო, გზაში დამჭირდება, შენ სანამ ახლა ფანარს იშოვნი, მანამდე ლამპით შეგიძლია ისარგებლო. წესი უნდა დაიცვა იცოდე, ქალის ფეხი არ უნდა შევიდეს იმ გამოქვაბულში, თორემ ისევ დავკარგავთ მას, როგორც ადამმა დაკარგა ერთ დროს სამოთხე.

ეზოში დედაჩემის ხმა მესმის. ხვიჩას ეძახის, ალბათ ჰკითხავს ჩემზე სად არისო.

– ხვიჩა!

– ბატონო!

– ლაშა შენთანაა?

– არა, ნუნუ ბიცოლა!

– დღეს ნახე?

– კი წეღან ჩვენსას იყო და სახლში წამევიდა!

– არაა სახლში!

ახლა თუ კითხა, სადმე ხომ არ აპირებდა წასვლასო, დავიღუპე, იმდენად დებილია ეს ხვიჩა, ტყუილს ვერ ამბობს. მეც დებილი ვარ,

ვის გავუმხილე ჩემი გეგმები – ამ თხების ხელმწიფეს? დედაჩემი არაფერს არ ეკითხება, თორემ ახლა უკვე შეყრილი იქნება მთელი სოფელი, ბებია აუცილებლად შეიკივლებდა: შვილო, შვილო, შვილიშვილო... მოთქმას დაიწყებს... სად ხარ შვილო! ბაბუას ალბათ ცრემლები წამოუვა, თან უხმოდ, ამა წინათ ბავშვობის ძმაკაცი გარდაეცვალა და ვუყურებდი, კრანში რომ წყალი მოდის, ისე მოდიოდა ცრემლები... დედა და მამა რას იზამენ? მე რა ვიცი რას იზამენ, იმათ რომ ვუყვარდე ასე იოლად არ გამიმეტებდნენ და სოფელს არ მომაცილებდნენ! ეჰ, ისევ ბებია და ბაბუა მეცოდება. იმათ გულის ტკენას მირჩევნია გამოვჩნდე. ისევ ოთახში ვბრუნდები, სარკესთან მივდივარ, კვლავ არ ვჩანვარ! ხმა თუ ისმის ჩემი... ერთი, ერთი, ერთი... ჩუმად ვამბობ... მესმის... მაგრამ სხვას ესმის? მოიცა, ჯერ უნდა გამოვჩნდე სანამ ქვეყანა შეყრილა, მაგრამ როგორ გამოვჩნდე? გავიხსენო რა ვთქვი მაშინ ძალიან რომ მინდოდა უჩინმაჩინი გავხმდარიყავი? კეკალი, ინდაური, ხო: კურუმ, კურუმ... როგორც ვიცი პულტით ტელევიზორს რა კნოპკითაც რთავ, იგივეთ თიშავ, ვამბობ: ,,კურუმ, კურუმ...“ უი, რა კარგია ვჩანვარ!

3 სექტემბერი

როგორ მალე გავიდა ზაფხული, ეჰ, სულ ზაფხული რომ იყოს, მაგრამ ბავშვებიც რომ მომენატრა, ჩემი ონავრები, უკვე მეექვსეში არიან. დირექტორი მირეკავს, ზეინაბ მასწავლებელო, თქვენ სადამრიგებლო კლასში ახალი ბავშვი გადმოდის და იქნებ გაესაუბროთ, მამა ამბობს ცოტა ჯიუტი ბავშვია, თუ მიიჩნევთ რომ საგნებს ვერ დაძლევს შეგვიძლია უარი ვთქვათო. განსაკუთრებით მათემატიკის ცოდნის შემოწმება მთხოვა, ალბათ იმიტომ, რომ როცა ბავშვმა მათემატიკა კარგად იცის, მას არ უჭირს არც საბუნებისმეტყველო დარგები, არც ქართული თუ უცხო ენები. ვნახოთ... გარდა ამისა ხასიათი, ეს კი სულ პრობლემაა, თან უცხო მოსწავლე როგორ შეეგუება ახალ გარემოს, დასავლეთიდანაო, ევროპის არა, საქართველოს...

4 სექტემბერი

სკოლაში მივდივართ, ასე მგონია ტელევიზორში რომ პატრულს დამნაშავე მიჰყავს , ისე ვარ. აქეთ დედა, იქეთ მამა, ვარსკვლავებიღა აკლიათ. ჯერ დირექტორის კაბინეტში ვიყავით. დირექტორი კაცია, დიდი ულვაშები აქვს, აი ფილმში გიორგი სააკაძეს რომ აქვს ისეთი, ოღონდ ეს არის ხმალი არ უკეთია. კაბინეტში რომ შევდიოდით, მეგონა მეტყოდა: „ლაშა, შემოდი კარავში...“ ასეთი არაფერი უთქვამს, მხოლოდ მოგვესალმა და ყველას ხელი ჩამოგვართვა, ანუ მეც – ლომის ტორივით ჰქონდა ხელი. მერე ნიშნების ფურცელი ნახა. მგონი ყველა ნიშანი წერია, რაც კლასში შეიძლება მოსწავლემ მიიღოს. ეტყობა ჩემმა ნიშნებმა დიდად არ მოხიბლა.

– გასაგებია! – თქვა, და მერე მე შემომხედა. თუმცა რა გააგებინა ჩემმა ნიშნებმა ვერ მივხვდი, ყოველ შემთხვევაში მე ვერაფერი გავიგე.

– ჩხუბისთავი ხომ არ არის? – ახლა მშობლებს მოუბრუნდა. ეტყობა გადაყვლეფილ იდაყვებს მოჰკრა თვალი.

– არა! – ამბობს დედაჩემი, აბა რას იტყვის, ერთი სული აქვს ოღონდ მიმიღონ. ლამის ყოველდღე დაბღოტილი რომ ვბრუნდები სახლში ახლა არ ახსოვს. ჩხუბი კი არა ომები გვაქვს ქვედა უბნელებთან. სოფელში ორად ვართ დაყოფილი, ქვედა უბნელები – სათხიელები და ზედა უბნელები საქორიელები. ახლა რომ დასუსტდა საქორიელთა რაზმი, ამას ვდარდობ. ისევ ხვიჩა მახსენდება და მისი თხები. ახლა ვუკვირდები, სათხიე – თხები, შპიონად ხომ არაა შემოგზავნილი ხვიჩა, არა, გამორიცხულია, ეჭვი მეგობრობის უსასტიკესი მტერია, უნდა განვაგდო... სამი დღეა რაც თბილისში ვარ და ვხვდები, უკვე როგორ მენატრება სოფელი, საქორია, თხების ხელმწიფე...

– სამწუხაროდ კონტიგენტი შეზღუდული გვაქვს. ახლა გასაუბრებას გაივლის. რომ არ ინერვიულოს, თქვენი ყოფნა გასაუბრებაზე აუცილებელი არ არის! – მშობლებს ეუბნება დირექტორი.

ეს კარგია, მოვიცილე პატრული, ისე და რომ გავიშტერო თავი და არაფერი ვთქვა ხო დამაბრუნებენ სოფელში. იფ რა კარგი მოვიფიქრე, ამას კონან დოილიც ვერ მიხვდებოდა ბავშვობაში.

– აბა წავიდეთ ლაშა, შენს დამრიგებელსაც გაგაცნობ! – მეუბნება სიმპატიური ქალი, რომელიც სასწავლო ნაწილად გაგვეცნო, მგონი ამან უკვე ჩამრიცხა სკოლაში.

სამსართულიანი შენობაა, კრიალებს ირგვლივ ყველაფერი, ერთადგილიანი მერხები და კოხტა სკამები, ისე ალაგია, გეგონება თარაზოთ გაუსწორებიათო. ეჰ, უსწორ-მასწორო იატაკი და დანჯღრეული მერხები მირჩევნია ჩემი სოფლის. ცოტაც და საკლასო ოთახს მივადექით, რომელსაც რომაულად აწერია – მეექვსე. კლასში კარადასთან ქალი დგას, წიგნებს ალაგებს, ოი საკვირველებავ, ბებიაჩემი – თოვნასი ბებო, გაკვირვებული ვუყურებ, თუმცა არა, ეს უფრო მაღალი და ახალგაზარდაა. რომ დაგვინახა ჩვენსკენ წამოვიდა.

– ქალბატონო ზეინაბ, ახალი მოსწავლე მოგიყვანეთ! – ეუბნება სასწავლო ნაწილი, – აბა თქვენ იცით, მკაცრად გამოსცადეთ! – ამას კი ამბობს, მაგრამ თან ღიმილით და ასევე ღიმილით მიდის.

– ფეხზე რატომ დგეხართ, დაბრძანდით გეთაყვა!

გულში მეცინება, ქალაქია, სოფელში აბა ვინ გეტყვის გეთაყვას. ის მასწავლებლის მერხთან ჯდება, ჩანთიდან დიდ რვეულს და ავტოკალამს იღებს. მე ბოლო მერხისკენ მივდივარ, ჩემს საყვარელ ადგილას და ფანჯარასთან ვჯდები.

– შე, კაცო, აგერ წინ დაჯექი, ამ სიშორეზე დეპეშა გადმოგიგზავნო და ისე გესაუბრო თუ დაგირეკო? – იცინის. გამოდის თბილისშიც იცინიან მასწავლებლები. არადა მომსპობს ეს სიცილი, ყველა ისე გიღიმის ან თითქოს შტერი ვარ ან თითქოს ჩემზე უკეთესი არავინ ენახოთ ჯერ, არადა სასიამოვნო კია, რომ გიღიმიან. მის წინა მერხზე ვჯდები.

– აბა გავიცნოთ ერთმანეთი, ზეინაბ მასწავლებელი!

– ლაშა, მოსწავლე! – ვეუბნები მე. ისევ გაიცინა, თან ისე, ვიფიქრე ახლა თუ ეს გადაფიჩინდა უყარე მერე კეკალი, ინდოურივით. ცოტა ხანში დაწყნარდა, თან სათვალე მოიხსნა და ცრემლები მოიწმინდა.

– შენ გაგახარებს ღმერთი, რა გამაცინე. მშვენიერი პროფესიაა შენ ასაკში! იქნებ გვარიც მითხრა, ლაშა!

– ქორიძე !

– ძალიან კარგი, ჩავიწეროთ! მათემატიკით დავიწყოთ, ანუ თუ ვიცით მათემატიკა, ყველაფერი ვიცით! აბა ერთი გამოსახულება ამომიხსენი, ძალიან მინდა უპასუხო, ანუ არ აჩქარდე ხო?

– კარგი, მასწ!

– სამს პლუს სამი გაყოფილი სამზე?

ამას რად უნდა დაფიქრება, სამს პლუს სამი ექვსი, გაყოფილი სამზე ორი. მაშინ რატო მითხრა არ აჩქარდეო. ანუ მიეხვდი ეშმაკობას: ფრჩხილში თუ იქნება სამს პლუს სამი მაშინ არის პასუხი ორი, რადგან ფრჩხილი არ თქვა, გამოვიდა სამს ემატება სამი გაყოფილი სამზე, ანუ ერთი და ჯამი გამოვიდა ოთხი.

– ოთხი!

– შენ რა კარგი ბიჭი ყოფილხარ, აღარ გეკითხები რატო-მეთქი, თუმცა ზოგი მპასუხობს ამ კითხვაზე პასუხი ორიაო და ისე როდის იქნება ორი? – არ გეკითხებიო და მაინც მკითხა!

– თუ სამ პლუს სამი ფრჩხილებში იქნება!

– მშვენიერია! წილადებზე როგორა ვართ?

– კარგათ!

– ძალიან კარგი, ოღონდ უნდა თქვა კარგად, ეს არაფერი... წესიერი წილადი გეცოდინება, წესიერი ახალგაზრდა ჩანხარ! აბა არაწესიერზე რას მეტყვი?!

– უზრდელს ვეძახდით სოფელში!

– აბა, რომელია უზრდელი წილადი?

– უზრდელია მასწ, წილადი თუ მრიცხველი ტოლია ან მეტია მნიშვნელზე.

– კიდევ კარგი დირექტორი არ გვისმენს, გურულ სასწავლო პროგრამაზე როგორ გადამიყვანე, ყაზახო! – იცინის. მერე აგრძელებს.

– კარგი, აბა ერთი ორი მაგალითი ნებისმიერი უზრდელი წილადისა!

– ერთი თუ ორი?

– კარგი, ორი იყოს!

– ანუ როცა ტოლია და როცა განსხვავებულებია მნიშვნელი და მრიცხველი, ვთქვათ სამი მესამედი ან შვიდი მეხუთედი!

– შენ რა კაი ბიჭი ყოფილხარ! მშობლებს უთქვამს ცოტა ჯიუტიაო?

მშობლებზე სჯობს ამასთან არაფერი ვთქვა, თუ მოვაღე პირი, მარა ხომ არ გავაგებინებ რა მტკივნეული მამა და დედა მყავს... აბა კარგს რა იტყოდა ჩემზე!

– ახლა უკვე ვიცი შერეულ რიცხვს რას ეძახდით, გადარეულს ალბათ ხო? – კვლავ იცინის.

– არა, აბდალა რიცხვებს!

– მიდი აბა დაფასთან და დამიწერე ერთი აბდალა რიცხვი!

დაფასთან გავდივარ. ასე მგონია გამოცდაზე კი არ ვარ ვთამაშობთ, არადა ვაპირებდი არაფერს ვუპასუხებ-მეთქი, სულ დამავიწყდა, როგორც ამბობენ, შევტოპე, ახლა ძნელია უკან გამოტოპვა. ვწერ, თან ვამბობ:

– აბდალა რიცხვი შვიდი მთელი, სამი მეშვიდედი!

– გვიყურებდეს ახლა სასწავლო ნაწილი?! – იცინის ისევ, – გადააქციე აბა უზრდელ წილადად!

ჯერ ტოლობის ნიშანს ვწერ და გვერდით ვუწერ, თან ვამბობ:

– ორმოცდათორმეტი მეშვიდედი!

– გადასარევი, კაი ბიჭი ხარ შენ ხო იცი!

– ვიცი!

– აუჰ, მთლად თავმდაბლობით არ გამოირჩევი, ისე, კაცმა რომ თქვას, ესეც იცი?!

– კი!

– ხო მართლა რა გყავდა მთემატიკაში, პრინციპში რა მნივნელობა აქვს რა გყავდა! აბა წიგნებს თუ კითხულობ, მხატვრული ლიტერატურა?

– კი!

– ბოლო რა წაიკითხე?

– ბასკერვილების ძაღლი!

– ანუ დეტექტივები მოგწონს, რა მოგეწონა ამ მოთხრობაში!

– ძაღლი!

– ძაღლი რატო?!

– ცოდოა, ჯერ იარაღად იყენებენ, რომ სხვა მოკლან და მერე თვითონ მას კლავენ!

– ამხელა მოთხრობა ერთ ხაზში ჩაატიე, აბა ერთი ლექსი გვითხარი...

– ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო...
„ჩემო მიმინო და ჩემო ფრთანათელო...

– ეს მეხუთე კლასის მასალა რომ არაა?

– თეატრალური მონტაჟი გვქონდა სკოლაში და ეს ლექსი მე მომცეს სასწავლად...

– აბა რომელიმე არსებითი სახელი მითხარი ნათესაობით ბრუნვაში!

ნათესავი ვინ მყავს არსებითი სახელი, მოდი ქორს ვიტყვი.

– ქორის!

– ყოჩაღ! მიფრინავს რომელ ბრუნვაშია აბა თუ მეტყვი?

– მიფრინავს არის ზმნა, ზმნა არ იბრუნება, იუღლება.

– ყოჩაღ, სკოლაში უცხო ენას რომელს გასწავლიდნენ?

– გერმანულს!

– შპრეხენ ზი დოიჩ?

– ია, ზერ გუთ!

– ლაშა, რა კარგი კაცი ხარ! რა ვქნათ ახლა ჩვენ, მადლობა ვუთხრათ შენს მშობლებს ჩვენს სკოლაში რომ მოგიყვანეს!

რა მაგარია! აი, შანსი, რა კარგი ქალი ჩანს, ამას ვთხოვ და დამაბრუნებენ უკან.

– შეიძლება გთხოვოთ, მშობლებს უთხარით, არაფერი ამან არ იცის, გამოშტერებულია და საიდანაც წამოგიყვანიათ, იქ დააბრუნეთ ეს ბავშვი-თქო!

– უი, რატო ლაშა? იცი, თავიდან ვფიქრობდი ვინ არის ეს, ახლა ამის ატანა არ გინდა? მაგრამ ახლა არც მე რომ მემეტები, მინდა ჩემს სადამრიგებლოში იყო, თან როგორ გინდა ტყუილი ვთქვა?! გასაგებია, შენი ძველი სკოლა, ძველი მეგობრები არ გემეტება, მაგრამ აქ ახლებს გაიჩენ, პრინციპში უკვე ერთი გაიჩინე, ჩათვალე ზეინაბ მასწავლებელი შენი მეგობარია!

ხელს მიწვდის, მეც ვართმევ. მართლა როგორ გავს თოვნასი ბებოს, ხელიც ბებიასავით თბილი აქვს.

– აბა როგორაა საქმე? – სასწავლო ნაწილმა შემოიხედა კლასში.

– საქმე ასეა, უკვე დავმეგობრდით და მგონი ლაშას უნდა ვთხოვოთ ჩვენს კლასში გააგრძელოს სწავლა, ძველ სკოლას კი მადლობის წერილი უნდა გავუგზავნოთ!

– მართლა, ზეინაბ მასწავლებელო, ქვემოთ მშობლებიცაა, ალბათ კარგი იქნება მათაც თუ გაიცნობთ, გაუხარდებათ, თუ ასეთი კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია, ყოჩაღ ლაშა!

15 სექტემბერი

მეზობლები დავიძმაკაცე, ფეხბურთსაც ვთამაშობთ და წყლის დასასველებლებით ომობანაც ვითამაშეთ, იქ სადაც კორპუსებს გადაღმა ფერდობია და პატარა ღელეცაა, ეს ღელე მერე სკოლასთან გაივლის. ხვიჩა მესიჯებს მწერს, ბოლო ომი სათხიელებთან მარცხით დამთავრდა, საღამომდე ტყვედაც ვყავდით, უნდოდათ ჩვენი გამოქვაბულის ადგილი გაეგოთ, მაგრამ არც ერთი არ გავტყდით, რადგან ომის კანონების მიხედვით, ძალიან არ ვუწამებივართო.

დღეს პირველი დღეა სკოლაში. დედა მეუბნება გაგყვებიო. გაყოლა რად მინდა, ორი გაჩერებაც არ არის ჩვენი კორპუსიდან. ეს წითური მანდატური, კაცი, რატომღაც კატას მაგონებს, ვფიქრობ, რომ გამარჯობის მაგივრად მიაუს მეტყვის, ამიტომ ვესალმები, მაინტერესებს, მართლა ასე იქნება? მაგრამ ის ჩვეულებრივ, ადამიანივით მეუბნება, – გაგიმარჯოს. კიდე კარგი ჩემს ფიქრებს არ კითხულობს და კატა რომ მგონია არ იცის. მეორე მანდატური ქალია, ისეთი გაწკიპული დადის და ისეთი მკაცრი სახე აქვს, ზღაპრებში რომ არის გაუცინარი, ყინულის დედოფლები. ნეტა ფეხის გულზე რომ უხიცინებენ, მაშინ თუ ეღიმება, ამას, რა თქმა უნდა, ვერანაირად ვერ გავიგებ. გამარჯობის თქმაც მერიდება, დანაშაულში არ ჩამითვალოს და არ ვესალმები. უცებ წარმოვიდგინე, რომ ვეუბნები: – ქალბატონო მანდატურო, შეიძლება ფეხის გულზე შეგიხიცინოთ? ნეტა რა რეაქცია ექნება! აი, მაშინ მაინტერესებს მისი სახე, მე კი , ქალაქს კი არა, მგონი სოფელსაც დამატოვინებენ. ვიცი რომ ჩემი კლასი მეორე სართულზეა, კლასში შევდივარ, რამდენიმე ბავშვია, რომლებიც ერთმანეთში ლაპარაკობენ და ყურადღებას არ მაქცევენ. ვეძებ უკანა ადგილს ფანჯარასთან, უი , რა კარგია, ცარიელია, იქ არავინ ჩანს, მივდივარ და ჩემს ხვლიკისფერ ჩანთას ვდებ.

– მანდ ზურა ზის! – მეუბნება ერთი გოგო, თხის წვერებივით აქვს კიკინები. ამაზეა ზუსტად ნათქვამი, არა მკითხე მეამბეო!

– აბა, სად არის ზურა? – მე ვეკითხები, – ზურა, გამოდი ზურა! – და მერხის ქვეშ ვიხედები.

– მოვა!

– ხოდა, რომ მოვა ზურამ დამელაპარაკოს!

გოგო ცხვირს იბზუებს და გარეთ გადის, რა ეწყინა. ამიტომ ვეუბნები ხვიჩას, ქალის ფეხი არ ვნახო ჩვენს გამოქვაბულში-მეთქი. მე პენალი ამომაქვს ჩანთიდან და მერხზე ვდებ, მოვნიშნე ტერიტორია, ახლა ზურა კი არა სათხიელების მთელი ლაშქარიც ვერ დამძრავს აქედან. ხვიჩას მესიჯს ვუგზავნი, რომ სწავლის დაწყებასთან დაკავშირებით დროებით ზავი გამოაცხადოს .

აი, ზეინაბ მასწავლებელიც, უი რა გამოპრანჭულა, ისე იმ დღესაც ლამაზი იყო, მაგრამ დღეს უკვე მერიდება, თოვნასი ბებოს რომ შევადარე, მაგრამ რა ვქნა – ჰგავს. ალბათ ბებია მომენატრა და მისი გამომცხვარი კეცის ხაჭაპური, აბა აქ გემოს ვერ გაუგებ, ხაჭაპურია თუ ჩალა ვერ არჩევ.

– გამარჯობათ ბავშვებო, როგორ ხართ? როგორ დაისვენეთ? ლაშა, კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს კლასში, ბავშვებო უნდა ახალი კლასელი გაგაცნოთ!

– მასწ, იქ ხო ზურა ზის!

ამ გოგომ ხო შემჭამა, რა!

– ნინი, ასე უნდა სტუმრის მიღება, ან ზურას, შენ ფიქრობ ნაყიდი აქვს ის ადგილი? – უცინის ზეინაბ მასწავლებელი.

მოვიდეს ერთი ის ზურაა, თუ ამბრაზურა, კარგა ხანია ვინმე არ მიმიტყიპავს. კლასში ვიღაც შემოდის, ორი ჩემხელაა, ზურგზე უზარმაზარი ჩანთით, აი ფილმი რომ არის: „შკაფი მოყავთო!“ – ზუსტად ის არის. ოღონდ ეს არ იყოს ზურა და სამ დღეს შემწვარ კარტოფილს არ შევჭამ. მე ხომ ბედი არა მაქვს, რა!

– აი, ზურაც მოვიდა... ზურას წელს, იმიტომ რომ შარშან კარგად იქცეოდა და ყურადღებით იყო გაკვეთილებზე დავსვათ წინა მერხზე, სადაც გიორგი იჯდა. ბავშვებო იცით ხო, გიორგის მშობლები გერმანიაში წავიდნენ საცხოვრებლად და გიორგიც წაიყვანეს.

– კი ვიცით მას, სკაიპით ვლაპარაკობთ!

– აბა იცნობდეთ ყველა, თქვენი ახალი მეგობარი და კლასელი, ლაშა ქორიძე!

ზურა თვალებით მბურღავს, ის, ნინი რაღაცას ეჩურჩულება. ეჰ, სად არი ჩემი ლაშქარი, საქორიელთა...

22 სექტემბერი

06.30

სიზმარმა გამოაღვიძა ზეინაბ მასწავლებელი, სისხლით მორწყული წყარო ემუდარებოდა მიშველეო, ოფლიანს გაეღვიძა. წამოდგა, სინათლე აანთო. გარდაცვლილი მეუღლის სურათს შეხედა: ეჰ, ბეჟან, ბეჟან, სიზმარში წყარო მესიზმრება, შენ მაინც გნახო, კაცო!" – თქვა და სამზარეულოში გავიდა. წყალი დალია. მერე ფანჯარაში გაიხედა, მელნისფერ ცას ვარდისფერი შერეოდა მამკოდას მთის მხრიდან, ცაზე ცისკრის ვარსკვლავი კიაფობდა, თენდებოდა თბილისში. ტელეფონი აიღო და შვილს დაურეკა. რამდენიმე ზარის შემდეგ გავიდა.

– თორნიკე, როგორ ხარ?

– კარგად, დედა, მშვიდობაა, შენ როგორ ხარ?

– მეც კარგად, რაღაც სიზმარი ვნახე და ...

– დედა, იცი რომელი საათია ახლა აქ?

– ხო კარგი, ვიცი და ისე დედაშვილობა ოცდაოთხსაათიანია!

– ხო კარგი დედა, ნუ მიბრაზდები!

– კარგი ხო, დაიძინე!

ტელეფონი გათიშა. ისევ სიზმარზე დაფიქრდა, რას უნდა ნიშნავდესო. სამკითხაო წიგნი ახსოვდა, ახლგაზარდობაში ნაყიდი, სიზმრების ახსნაც იყო იმ წიგნში, მაგრამ ახლა დაეზარა მოძებნა. უნდა მომზადებულიყო, სადამრიგებლო კლასი ექსკურსიაზე მიჰყავდა დღეს.

10.00

დღეს ექსკურსიაზე მივდივართ, დედას უნდოდა წამოსვლა, არა-მეთქი, დედა სახლშიც მეყოფა... თან ვიცოდი, რომ გოგოების მშობლები მოდიოდნენ მხოლოდ, ისიც ყველა არა. კლასს შევეჩვიე, ერთი ის ნინი მიყურებს ალმაცერად. ზურას დავუძმაკაცდი, თურმე ეს ნინი მისი დეიდაშვილია. მარშუტკაში მე და ზურა ერთად ვზივართ. რაგბზე დავდივარო, გინდა შენც იარე, შენ სადმე დადიოდიო, მეკითხება... მე ტყეში-მეთქი და მოვუყევი ჩვენს ლაშქრობებზე და ომებზე. ზუსტად ამ დროს მომივიდა ხვიჩას მესიჯი, მწერს სათხიელები დროებით ზავის სანაცვლოდ გვთხოვენ ვასწავლოთ გამოქვაბულის გზა, ამასთან ერთად ითხოვენ ყოველგვარი ზედმეტი პირობის გარეშე გადავცეთ გამოქვაბულიო. არანაირად არ დათანხმდეთ, უპასუხეთ, რომ მოვიფიქრებთ-თქო. ჯერ ორიოდ კვირა ვითომ ფიქრობთ-მეთქი. კარგიო, ხვიჩა მწერს. ზურა ჩვენს მიმოწერას თვალს ადევნებს, მერე ბაში-აჩუკივით მეუბნება, მიმიღეთ თქვენს ლაშქარშიო. კი მეთქი, ხვიჩას ვწერ, რომ ლაშქარში მატება გვაქვს, ჩვენს რიგებს შემოემატა ზურა-ამბრაზურა. ეს ვინ არისო.. მერე გაგაცნობ-მეთქი. ჩვენს წინ სავარძელზე ნინი ზის, ისევ კიკინებით, ხან გადმოგხედავს, რას ვაკეთებთ. კიდე კარგი თხასავით არ კიკინებს, ისე ლამაზია... მაინც უნდა ვუფრთხილდე, სათხიელთა აგენტი არ იყოს.

ჯერ ჯვარზე ვიყავით, მერე სვეტიცხოველში, სავსე იყო იქაურობა უცხოელი ტურისტებით, განსაკუთრებით ხალხმრავლობა სვეტიცხოველთან იყო. ტაძრის გზაზე პატარა სავაჭრო ფარდულები გაემართათ, რომლებიც სავსე იყო ქართული თუ უცხოური სასუსნავებით. ერთ ადგილას თაფლი იყიდებოდა სხვადასხვა ქილებით და ჩურჩხელები, წარწერა კი სხვადასხვა ენებზე, ოღონდ არცერთი ქართული. ზეინაბ მასწავლებელმა გამყიდველს ჩხუბი დაუწყო, რატო ქართული წარწერა არ აქვსო, ახლა კონტროლის პალატიდან მოვლენ და ჯარიმას რომ დაგაკისრებენ ხუთას ლარიანს, მერე ხო ისწავლით ჭკუასო. თითქოს ქორმა ჩამოუქროლა ჭუჭულებსო, ისე დაფრთხა და აფუცხუნდა ყველა, თვითონ ზეინაბ მასწავლებელი კი ტაძრის შესასვლელისკენ წავიდა, კრუხს რომ წიწილები აედევნებიან, ისე მივსდევდით ჩვენც, წინა დღით ინსტრუქტაჟი ჩაგვიტარა, ერთ ნაბიჯზე, ჰა-ჰა, მხოლოდ ორ ნაბიჯზე შეგიძლიათ მომცილდეთო. მერე მშობლებმა მოიტანეს ამბავი, გამყიდველები ერთმანეთს უამბობდნენ, ვიღაც ალქაჯი (ეს ისე თქვეს, ზეინაბ მასწავლებელს არ გაეგონა) დაგვესხა თავს, ნეტა მეტს არ ჩამოივლიდესო, თან მთელი სავაჭრო რიგი ფლომასტერებს და პასტებს ეძებდნენ, ქართული ასოებით აწერდნენ სახელებს სხვადასხვა ნუგბარსო.

ის იყო ტაძრის ეზოში უნდა შევსულიყავით, ვხედავთ ვიღაც აყლაყუდა ტიპი, როგორ ანამწვავებს სიგარეტს ტაძრის შესასვლეთან მდებარე სვეტზე. ზეინაბ მასწავლებელმა ერთ მშობელს სთხოვა, ბავშვებთან იყავიო. მერე იმ სტუმართან მივიდა და ახლავე სიგარეტი აიღეო, ეუბნება. ის გაკვირვებული უყურებდა, ვერ ხვდებოდა რა უნდოდა, კარგი რომ არაფერი, ისედაც მიხვდა, ეტყობა უცხოელი იყო და ქართულის ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდა. ვიღაც ქალს, ეტყობა ამათ გიდს ჰკითხა:

– What should this woman do?

– რა უნდა და უთხარი მაგ ვაჟბატონს, რომ აქ მოწევა და დანამწვავება არ შეიძლება-თქო! უთხრა ზეინაბ მასწავლებელმა იმ ქალს. იმან, უხერხულია, სტუმარიაო. სტუმარი რომაა, იმიტომ ვეუბნები მშვიდად, თორემ ქართველი რომ იყოს ყურებით დავითრევდიო. შემცბარმა გიდმა მაშინვე უთარგმნა. უცხოელი იძულებული გახდა ნამწვავი აეღო და ღიმილით წაეღო სანაგვე ყუთისკენ, რომელსაც ლექსად ეწერა: ,,დაგავე ნაგავი".

,,რად მინდა ასეთი ევროპა?" – ჩუმად თქვა ერთმა მშობელმა. მერე ყველანი ერთად ტაძრის ეზოში შევედით.

23 სექტემბერი

16.00

სვეტიცხოვლიდან, ისე რომ არსად გავჩერებულვართ, ბორჯომის ხეობაში ავედით, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების მიერ აგებულ მწვანე მონასტერში სანთლები ავანთეთ. ნეტა ჩემი მოწაფეები თუ ააგებენ რაიმეს, ეჰ ნეტა კი არ დაანგრევდნენ და... საოცარი ბუნებაა ირგვლივ, თითქოს ხეებიც სულ სხვანაირად მწვანეა და მონასტრის კედლებსაც კი მწვანე ფერი დაჰკრავს. იქვე პატარა წყაროც ვნახეთ, რომელსაც მონასტრის ეზოში მთელ სიგრძეზე

სისხლისფერი ქვები ჰქონდა ჩაყოლებული. გიდმა ეს მტრის მიერ ნაწამები ქართველი ბერების სისხლიაო. ალბათ ეს არის ჩემი სიზმარი- მეთქი, გავიფიქრე...

თითქოს სამოთხეში ვიყავით და მონასტრიდან წამოსულებმა გზაში სახაჭაპურე „სამოთხე“ ვნახეთ და იქ გავიარეთ, სუფრა გავაწყვეთ, ბავშვებმა ლექსები და სიმღერები თქვეს. მშობლებმაც იმღერეს, ფიქრმა გამიელვა, ხომ არ ჩამოვაყალიბო ანსამბლი ცალკე მშობლების ცალკე მოსწავლეების ან საერთო... ლაშა კი, გეგონება მთელი ხუთი წელი ამათთან ერთად სწავლობდაო, ისე დაუამხანაგდა ყველას... ცოტა ნინი ცდილობს დისტანცია დაიჭიროს. ლიმონათს დაგისხამო და იმან, არ მინდა გმადლობთ გეთაყვაო, გაბრაზებით უთხრა. ლაშამ კი, იმის მაგივრად წყენოდა, სიცილით სკამიდან კინაღამ გადატრიალდა.

23 სექტემბერი

08,50

რა საშინელი ორშაბათი გათენდა. სკოლის უკან მოედანზე სამშენებლო მოედანი გაუმართავთ, ღობერიც შემოუღობავთ, სურათიც გაუკრავთ, ეტყობა თერთმეტსართულიანი კორპუსის წამოჭიმვა უნდათ. სანამ სკოლის ეზოში შევიდოდი ვჯერ ბულდოზერთან ხალხი შეჯგუფულიყო და იმათთან მივედი, რა ხდება აქ-მეთქი. კორპუსს ვაშენებთო. კი, მაგრამ ბავშვების სტადიონი, სკვერი ან წყაროს რას უშვრებით-მეთქი, წყარო გვირაბში გაივლის, სტადიონი ცოტათი შემცირდება, მაინც დარჩება, სკვერს კი სხვაგან გავაკეთებთო, ამის უფლება ვინ მოგცათ-მეთქი და ქალბატონო, ჩვენ მუშები ვართ და რასაც გვეტყვიან, ვაკეთებთო. ამათთან საუბარს აზრი არ ჰქონდა, მივხვდი. სკოლის ეზოში შევედი. ესეც ჩემი სიზმარი.

– ბავშვებო, სკვერს გვიუქმებენ, წყაროს მარხავენ, მე ახლა გამგეობაში მივდივარ, იცოდე არ იხმაუროთ, შესვენებაზე წესიერად მოიქეცით!

– მას, მეც წამოვალ რა! – ლაშა მემუდარება.

– შენ კლასში დარჩები, უფლება არ მაქვს საგაკვეთილო პროცესს მოგწყვიტო!

– გთხოვთ,მასწ... ხო გვინდა წყაროს გადარჩენა, მეც მოგეხმარებით რა, გთხოვთ!

– მოიცა მაშინ, დედაშენს დავურეკავ, მერე დირექტორსაც უნდა ვთხოვო, ისე უფლება არ მაქვს!

– კარგი, მასწ, თუ ასეა, მე ამასობაში მამასაც ვთხოვ, ახლავე დავურეკავ!

23 სექტემბერი

09.00

– ბატონო შალვა, გამგეობაში უნდა წავიდე, ორი გაკვეთილი ფანჯარა მაქვს და მოვალ კიდეც, შესვენებისას გოგოებს ვთხოვ და ყურადღებით იქნებიან კლასთან .

– ზეინაბ მასწავლებელო, ღირს მაგათთან ომი?

– ომს ყოველთვის აქვს აზრი, სიზმრად გადამექცა ამ წყაროს ამბავი! ლაშას წავიყვან, არ მასვენებს, წამოგყვებიო!

– მე ვერ შეგეწინააღმდეგებით, მშობლები რას იტყვიან, სწავლის დროს ბავშვი გამგეობაში დადისო!

– დავურეკე უკვე დედას და თანახმაა!

– მამას?

– მამას თვითონ ლაშამ დაურეკა!

– კარგით, ქალბატონო ზეინაბ!

23 სექტემბერი

09.15

– ნუ გეშიანიათ, მას, ვერაფერს ვერ მიზამენ, თქვენ გამგეობაში წადით მე სკვერში გადავალ და მუშებს შევაჩერებ!

– შენ ხომ არ გაგიჟდი, იმ ველურებთან მარტოს მიგიშვებ!

– მას მე არაფერი არ მომივა, ნუ გეშინიათ!

– არა-მეთქი, ან ჩემთან ერთად წამოხვალ, ან კლასში დაბრუნდები!

– კარგით რა მასწ, წყარო ხო გეცოდებათ? გინდათ, რომ დამარხონ?

– არა-მეთქი!

– კარგით, მაშინ, მე კლასში ვბრუნდები!

– ხო, ასე სჯობს!

„ერთი ახლა თვალს მიეფაროს! უკვე აღარ ჩანს! ეს კატა-მანდატურიც მე მიყურებს, ახლა ამასაც უნდა დავემალო, ვითომ ზეინაბს გავყევი: ესეც ასე: კურუმ, კურუმ...“

„ასე უცებ სად გაქრა ის ბავშვი, რაღაც სიტყვები კი გავიგონე, კურუმ, კურუმო, თუ რაღაცაო...“ მოვიხედე და არსად არის, მაცალოს მოვბრუნდე უკან.

23 სექტემბერი

09.30

გამგეობა 30 სართულიან ცათამბჯენში იყო განთავსებული, გამგებლის კაბინეტი კი ბოლო ორ სართულს მოიცავდა. თვითონ

შენობის ფუძე წესიერ ექვსკუთხედს წარმოადგენდა, ხოლო ბოლო ორი სართული ექვსკუთხა პირამიდას, შესაბამისად შენობა შორიდან წვერწამახულ HB ტიპის ფანქარს ჰგავდა, რომლებიც ლამაზად წვერწამახული, ყოველთვის უხვად ელაგა შავ საფანქრეში. უცებ კაბინეტის კარი გაიღო, წინ ქალბატონი ზეინაბი მოდიოდა, უკან კი მდივანი ქალი მოსდევდა, ბატონი ქაიხოსრო ჯერ დაკავებულია და ვერ მიგიღებთო. გამგებელი ამ დროს ვიღაცას ტელეფონით ეუბნებოდა, ვაშლატამას კომპოტი გამიკეთეო.

– ბატონო ქაიხოსრო, მაპატიეთ, ვუთხარი თქვენზე დაკავებულიათქო, არ გამიგონა, მეც დაკავებული ვარო და შემოვიდა! – მდივან ქალს სახეზე წითელი ფოთლები ჰქონდა დაყრილი, უფრო იმის შიშით, გამგებელი არ გამიწყრეს და ამ თვის პრემიას არ გამომიწერსო. ქაიხოსრო ტყავის სავარძლიდან წამოიმართა და კაბინეტში შემოსული ორი ქალბატონისკენ დაიძრა.

– არა უშავს, ქალბატონო თვალგული, მობრძანდით ზეინაბ მასწავლებელო, როგორ მიხარია თქვენი ნახვა, როგორ ვნატრობდი თქვენი მოსწავლე ვყოფილიყავი და თუნდაც ყურიც აგეწიათ ჩემთვის, სამწუხაროდ თქვენ მაშინ მოხვედით ჩვენს სკოლაში, როცა მე ვამთავრებდი და აი ასე ავცდით ერთმანეთს!

– ყურის აწევას რაც შეეხება, ახლაც არ დაგზარდებით!

– რა დავაშავე, ვერ ვხვდები, ზეინაბ მასწავლებელო!

– ანუ ჩვენი სკოლა გახსოვს?

– როგორ არ მახსოვს, მთელი თორმეტი წელი იქ არ ვიყავი, მგონი სახლში არ ვატარებდი იმდენ დროს რამდენსაც იქ, რაღაც შეწუხებული ჩანხართ, ყურადღებით გისმენთ!

– ძალიან კარგი, რომ ყურადღებით მისმენ, გაგიგიათ წყაროს მარხავდნენ?

– ვერაფერი გავიგე!

– სკოლას უკან სტადიონი რომ აქვს გახსოვს ალბათ?

– როგორ არ მახსოვს! რაც მე იქ კეტები დამიხევია, ადრე ასფალტი ეგო, ახლა ხალიჩის მინდორია, წელს მგონი ვადა გადის, ვაპირებთ ახალი დავაგოთ! ცოტათი სტადიონის ზომის შემცირება მოგვიწევს!

– გასაგებია, სტადიონს გადააქცევთ სამშენებლო სტადიონად, მის ადგილზე წამოჭიმავთ კორპუსს, სტადიონის უკან რომ სკვერი იყო, გახსოვს?

– კი, ესეც მახსოვს!

– ახლომდებარე მოსახლეობას და სკოლის ბავშვებიც სიცხეს იქ აფარებდა თავს. დღეს დილით მოვიდნენ, დახაზეს, გამოხაზეს და თურმე აპირებენ ხეები დაჭრან, წყარო დამარხონ !

– ქალბატონო ზეინაბ, ალბათ გვირაბში გაუშვებენ წყალს, წყაროს დამარხვა ვინ გაიგონა!

– ჯერ ეს ერთი, რომ გვირაბში გაშვებული და დამარხული ერთი და იგივეა, მეორეც აუცილებლად სტადიონს უნდა მოადგან კორპუსი!

– არ ვიცი, ქალბატონო ზეინაბ, ეს მიწა და სტადიონიც ხო სკოლის ეზოს გადაღმაა. ალბათ გაყიდულია მიწა და მეპატრონეს შეუძლია თავისებურად გადაწყვიტოს, მის კუთვნილ მიწაზე რას გააკეთებს!

– გაყიდულია რას ნიშნავს? ვინ გაყიდა? ვისი ქონება გაყიდა, ბავშვებს რომ ართმევს წყაროს, თავზე უნდა წამოუმართოს უზარმაზარი კორპუსი, ჯერ ეს ერთი, მეორეც, როგორ გინდა იმ ხმაურსა და ორომტრიალში გაკვეთილები ჩავატაროთ, ამაზე დაფიქრებულხართ?

– გავარკვევთ ქალბატონო ზეინაბ და დაგიკავშირდებით!

– როდის დამიკავშირდებით, როცა კორპუსი აშენდება?!

– არა, მანამდე დაგიკავშირდებით!

– იქ კორპუსის მშენებლობის უფლებას გინდაც შევეწირო არ მოგცემთ, არც წყაროს დაგამარხინებთ, პირველი მაშინ მე დამმარხეთ!

– როგორ გეკადრებათ, ზეინაბ მასწავლებელო!

– ასე მეკადრება!

– დარწმუნებული იყავით ყველაფერი კარგად იქნება!

– სწორედაც, რომ არ ვარ დარწმუნებული, იმიტომ ვარ აქ!

23 სექტემბერი

10.00

– კაბინეტში შემომივარდა, როგორ გაბედეთ და კორპუსს აშენებთო, ან წყაროს როგორ მარხავთო. კომპრომატები არ გვაქვს რაიმე ამ ქალზე?

– რა ვიცი, რა კომპრომატი უნდა გვქონდეს, მასწავლებელია, დიდიდიდი ჟურნალში შეიძლება ჰქონდეს შცდომა გაპარული! ქმარი გარდაცვლილი ჰყავს, ბიჭი ინგლისშია რომელიღაც უნივერსიტეტის პროფესორი, თან მთელ სკოლას და მოსახლეობას უყვარს.

– აბა რა ვქნათ, რომ მოვისყიდოთ, ან მოდი ბინა მივცეთ!

– ნუ მაცინებ, შენ ზეინაბ მასწავლებელი არ იცი, ეტყობა!

– იცინე შენ და მთელი გამგეობა დაგვლანძღა, როგორ ბედავთ და ბავშვებს სკვერს უუქმებთო, იმას კი არ ამბობს იმ კორპუსში, ამ სკოლის მოსწავლეები რომ იცხოვრებენ.

– დამელოდე, მეორე ტელეფონზე პრარაბი რეკავს!

– მეც მომასმენინე ერთი რას ამბობს, იქაც ხომ არ მიუვარდა?

– გისმენთ აქვსენტიჩ, რა ხდება ხო მშვიდობაა, დაიწყეს ექსკალატორებმა ამოთხრა?

– აქ რაღაც საოცრება ხდება, ტრაქტორს მინა ჩაელეწა და ზეთი დაეექცა და ვერ მუშაობს, მანქანას პაკრიშკები დაუსკდა, მუშებს წყარო წუწავს , სამუშაო ტანსაცმელს თითქოს ქარი აფრიალებს და სულ წყალში ჩაიყარა, არადა ნიავიც არ ქრის, მუშები გაგვეექცა ყველა, გაჩერებულია სამუშაო!

– შენ ერთი ჩემი ძმა, ბევრი მოწიე? დამალაპარაკე მანდ ვინმე!

– არავინ არ არის, გაიქცა ყველა-მეთქი!

– შენ სად ხარ ?

– მე სად ვარ და ორი გაჩერების იქეთ, ფეხით თან, ჩემს მანქანას ოთხიდან სამი პაკრიშკა დაშვებული აქვს.

– რეზო სად არის?

– რეზო ეკლესიაში მივდივარ, უნდა ვილოცო, ცოდვები მოვინანიოო!

– ესეც არქიტექტორი რა! მაგას ურჩევნია ეკლესიები აშენოს! კარგი ხო, მოიცა მერი მირეკავს! გისმენთ ბატონო გედეონ!

– რას შვები ბიჭო შენ, იცი საერთოდ?!

– რაზე ამბობთ ბატონო გედეონ!

– რა წელია წელს ის თუ იცი ?!

– თხის მგონი!

– გაგათხავებ შენ, არჩევნების წელია, ბიჭო, რა მომიყვანე ის ქალი ამ დილით კაბინეტში!

– ქალბატონი ზეინაბი? რა, ვქნა, ბატონო გედეონ, ხელშეკრულება გვაქვს სპონსორთან!

– ხოდა მაგ სპონსორს ეტყვი ერთ კვირაში სკოლასთან სკვერს კეთილმოაწყობს და სტადიონს განაახლებს, თორემ იმ ხელშეკრულებას თავზე გადაგახევთ ორივეს!

– კარგით, ბატონო გედეონ და კორპუსი?

– გამონახეთ რამე ალტერნატიული ფართი, სადაც გინდათ, გინდაც ჯანდაბაში ააშენეთ , ოღონდ სკოლას ას მეტრზე ახლოს არ გააკაროთ!

23 სექტემბერი

12.00

– მასწ, თქვენ რომ წახვედით აქ რა ხდებოდა! ექსკალატორს მინა ჩაემსხვრა და ზეთი დაეღვარა და ვერ მუშაობდა, მუშების ტანსაცმელი ფრიალ-ფრიალით სულ წყაროში ჩაცვივდა, იქ ვიღაცის მანქანა დგას, მერსედესი, სამი პაკრიშკა დაეშვა... მუშები ყველანი თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ...

– ლაშა, შენ სად იყავი?

– მე ხო თქვენთან ერთად.. უი, ხო სახლში ვიყავი, მამაჩემს ძველებური ქართული ხმალი აქვს, გიორგი სააკაძის ნაქონი, ვიფიქრე მუშებს შევაშინებ-მეთქი და რომ დავბრუნდი არავინ დამხვდა!

– სახლში იყავი ხო, აბა ხმალი სად არის?

– მუშები რომ გაქცეული დამხვდნენ, ხმალი სახლში დავაბრუნე, აბა მანდატური აქ ხმალს შემომატანინებდა?!

– რაღაც არა მგონია მისით გაქცეულიყვნენ, აკი მეგობრები ვიყოთ-მეთქი, რაღაცას მალავ!

„კიდე კარგი, კარი გაიღო და სასწავლო ნაწილი შემოვიდა, ზეინაბ მასწავლებლო, მერია მოსული და თქვენთან საუბარი სურსო!“

7 ოქტომბერი

რა მაგარია, ის სამსახური სადაც მამაჩემმა მუშაობა დაიწყო, გაუქმდა. დღეს სოფელში ვბრუნდებით, ხვალ უკვე ბებიას და ბაბუას ჩავეხუტები. გუშინ კი განახლებული სტადიონი და სკვერი გაიხსნა, უამრავი ხალხი იყო. გახსნის ღონისძიებაც ჩატარდა. ზოგმა იმღერა, ზოგმა ლექსი თქვა, ზოგმა კიდე იცეკვა, ისე ატრიალებდნენ ხმლებს, სულ ნაპერწკლები ცვიოდა. ზეინაბ მასწავლებელმა ჩვენი კლასის მოსწავლეების და მშობლების ერთობლივი გუნდი ჩამოაყალიბა და გვდირიჟორობდა, მე და დედაც ვმღეროდით, ხო, სულ დამავიწყდა, წყაროც გადარჩა და ისე რაკრაკით მიედინება, გეგონება ისიც მღერისო. ხვიჩას მესიჯს ვწერ, რომ ხვალ ჩამოვდივარ. მეორე დღესვე ვგეგმავთ დიდ შეტევას. კლასს რომ დავემშვიდობე ზურა-ამბრაზურას, ამხელა კაცს, თვალზე ცრემლები ადგა, მანამდე ჩემთან დავპატიჟე, სოფელში, დეიდაშვილიც წამოიყვანე, გამოქვაბულსაც განახებთ-მეთქი... სულ გადამავიწყდა, პრინციპი რომ... ხო აღარ ვიტყვი, ხო ვთქვი, დამავიწყდა-მეთქი... მერე კლასელები კიბეებზეც ჩამომყვნენ, ოი, საოცრებავ, ნინი, რომელსაც ჩემი ხმის გაგონებაც კი არ უნდოდა ისე სლუკუნებდა, მეგონა მოვკვდი, და ხელით მეორე ხელი მოვისინჯე, ცოცხალი ვარ-მეთქი... ხო, სოფელში მთელი კლასი დავპატიჟე, მაგრამ მაინც ყველაზე უფრო ზურა, ნინი და ზეინაბ მასწავლებელი მინდა ჩამოვიდეს. მაგარი იქნება, ზეინაბ მასწავლებელს ჩემს თოვნასი ბებოს გავაცნობ. ცოტა მენანება ახალი სკოლის დატოვება, მაგრამ ჩემი სოფელი, ჩემი ბაბუა და ბებია მთელ ქვეყანას მირჩევნია. ეზოში გამოვედი და ჭიშკრისკენ მივდივარ, მინდა გადავასწრო, ამ ნინის შემხედვარე მეც არ ავტირდე. ხოდა არ მინდა უკან მივიხედო, მაინც მივიხედე. ყველანი გარეთ იყვნენ არა და ზარი დარეკილი იყო. მანდატურებიც იქვე იდგნენ, არ გაბრაზებულან. არადა მინდოდა, სკვერში გადავალ, წყაროსთანაც მივალ და დავემშვიდობები-მეთქი, მაგრამ რა ვიცი, ახლა მომერიდა – ჩემს კორპუსთან გადავალ და იქ დავემშვიდობები . ჭიშკართან რომ მივედი, კიდე მივიხედე უკან, იქნებ ზეინაბ მასწავლებელიც გამოჩნდეს-მეთქი, მაგრა არ ჩანდა. მერე ტელეფონი ატოკდა ჯიბეში. მესიჯის ხმა იყო, ხვიჩაა ალბათ: უი, ზეინაბ მასწავლებელი, უკან ვიხედები ახლა ისიც კლასელებთან დგას, ხელში ტელეფონი უჭირავს, მესიჯში კი, ოი, საოცრებავ, მხოლოდ ორი სიტყვაა: კურუმ, კურუმ...

თორნიკე ჭელიძე

ჯავახეთის დღიური

თუ ის ამ მოთხრობას წაიკითხავს, დარწმუნებული ვარ არ დამეთანხმება და იტყვის, რომ ასე არ უნდა დამეწყო. ამოიღებს ჩანთიდან ფანქარს, წვერმოტეხილს, ჯერ დაიჩურჩულებს, – უი, – გათლის, გადაშლის რვეულს ბოლო ფურცელზე და დაწერს. ნამდვილად არ ვიცი, რას. ალბათ შევეკამათები. ისევ წამოცდება, – უი, – გაიცინებს და დაფიქრდება. კაი, – ჩაიქნევს ხელს, – შენ მაინც ვერ გაიგე?!. – მკითხავს. გავიგე, მაგრამ ჩემებურად, – ვეტყვი.

***

სკოლაში არის ერთი საინტერესო ტერმინი, ფანჯარა. ეს ნიშნავს დროს, როცა მასწავლებელს გაკვეთილი არ აქვს და ისვენებს, ან, უკეთ რომ ვთქვა, ცდილობს დაიწყოს დასვენება შემდეგ გაკვეთილამდე. მე არ ვიცი, ვინ მოიგონა ეს ზუსტად შესაბამისი სიტყვა დროის, როცა შეგიძლია იჯდე და ყველაფრის მიღმა იხედებოდე. თითქოს თოჯინა იყო და შენს თავს დროებით თიშავდე, რომ ელემენტებმა კიდევ გაძლონ, სულ ცოტა ხანს მაინც, სახლამდე, საწოლამდე, შემდეგ დილამდე.

გარშემო მიმოდიან სახაზავებით, რვეულებით, ჟურნალებით, ჭიქა ყავითა და ათასი ამბით, საუბრობენ რომელიღაც კლასის ორ-სამ მოსწავლეზე, სასწავლო გეგმის შესრულებაზე, ამინდზე, ხელფასზე. მე კი ახლა უბრალოდ არ ვერთვები ამ საუბრებში. იმიტომ, რომ ფანჯარა მაქვს, რომლის იქითაც ყოველთვის იცვლება სამყარო. თითქოს ვიჯდე სკამზე და მაინც მგზავრი მერქვას. ისე, როგორც ფოლკნერი იყო თავის შტატში და იქიდან ჭვრეტდა, ან როგორც ვირჯინია ვულფი, ან ვაჟა ფშაველა, თუნდაც მე თვითონ როგორც ვარ ხოლმე ზოგჯერ, როცა შეუძლებელია საუბარში ჩამითრიონ, უკან შემომაბრუნონ ჩემი სარკმლიდან. იქნებ ცხელი ჩაიც დგას მაგიდაზე, ნაშრომები გასასწორებელი მაქვს, - მე ესენი დროებით არ მახსოვს. წარმოსახვით ფანჯარაში იცვლება კადრები; საღამოა და ტყეში შევდივარ, ვწყვეტ ერთ ყვავილს, გულზე ვიმაგრებ და გზას ვაგრძელებ. ყვავილი უცბად ზრდას იწყებს, ჯერ პერანგს ჩამომახევს, შემდეგ ნეკნს მიმტვრევს და ტკივილისგან სხვა მხარეს გადამაქვს მზერა. მზიანი მინდორია, ურმით მიაქვთ თივა და გამხმარი ბალახის სუნი ტრიალებს ჰაერში. ურემზე მჯდომი რაღაც სიტყვებს მიძახის შორიდან, მესმის, მაგრამ მათ მნიშვნელობას ვერ ვხვდები. ისინი მშორდებიან და მაკვირდებიან, თითქოს ეს ჩემი წარმოსახვა კი არა, მათი რეალობა იყოს. წყლის პირას ვარ, ვრცელი სანაპიროა და შორს მოთამაშე დამსვენებლები ჩანან. შევდივარ, ფეხის თითებს ვუჭერ სველ ქვიშას, ვჩერდები, წყალი ღრმაა, ლურჯი. რაღაცას ვუღიმი და წინ ვიხრები. ყველაფერი კარგადაა. ყველაფერი კარგად იწყება.

***

გურამის ოჯახი ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთ ქართულ სოფელში ცხოვრობს. ათწლეულების წინ, მაღალმთიანი აჭარიდან ჩამოასახლეს, ეკო მიგრანტია. ბოლო ოთხი წელია, ჯავახეთში, საზღვრისპირა სოფელში, სომხურენოვან სკოლაში გადმოვიდა და ქართულს ასწავლის. სოფლის ბოლოს მიტოვებული სახლი აქვს დაქირავებული. მარტოა. შაბათ-კვირას დაადგება გზას და თავის სოფელში ბრუნდება ორი დღით, თავის სახლში. არ მიკითხავს, ალბათ ორმოდაათ წლამდე იქნება. მაღალია, გამხდარი, ახალგაზრდობისას სპორტსმენი იქნებოდა. თვალის ჭრილი ოდნავ ვიწრო აქვს და მზერა - ენერგიული. თმა - მხოლოდ კეფაზე და ისიც ძალიან მოკლედ შეჭრილი. დიდი სამხედრო ქურთუკი აცვია ყოველთვის, ჯინსის შარვალი და სამხედრო ბათინკები, რომლებსაც წინ, ფეხის თითებთან რკინის ნაჭერი აქვს გადაკრული. თვითონ როგორც ამბობს, მანქანამ თუ გადაგიარა ფეხზე, თითები დაცულად გექნებაო, თუმცა რატო და როგორ უნდა გადაგიაროს, მაგას ვერ ვიგებ. სიარულისას ძალიან ფართო ნაბიჯებს დგამს, ყოველ ჯერზე

იფიქრებ, რომ რაიმე აკრობატული ილეთის გაკეთებას აპირებს. როცა წევს, დიდხანს ვერ იძინებს, თუ ჯდება, იქით-აქეთ იხედება, თითქოს რაღაცას ან ვიღაცას მოელის. თვითონ ამას ნევროზს და მეექვსე კლასს აბრალებს და, სახლში მისული, ცხელი წყლით სავსე ვარცლში ფეხების გაჩერებით მკურნალობს.

კიდევ ერთი ასწავლის ქართულს, ვენერა (ნანული) დოხოიანი. დიდი ხნის წინ გათხოვდა აქ და იმის მერე თითქმის სოფლიდან აღარ გასულა. სხვებიც არიან, სხვა მასწავლებლები; ბაგრატ მოსოიანი, ნაჩარიანი, სამველა, აკოფ ქეროფიანი. ქალების სახელებს ჯერ ვერ ვიმახსოვრებ, იშვიათად მესაუბრებიან, ძირითადად თავს მარიდებენ, ან ისე მიღიმიან, როგორც ბავშობაში ჩემი პედიატრი მიცინოდა, სანამ დამაწვენდა, გადამატრიალებდა და ნემსს ჩამარჭობდა უკანალში. ქართული არცერთმა იცის. მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ესმით, ზოგჯერ რამე მარტივი წინადადებიდან აზრს თუ გამოიტანენ.

***

ახლა სამასწავლებლოში ვზივარ. 2012 წელია. არ ვწერ რა დღეა, რომელი თვე. შეგნებულად არ ვწერ. ყველა ერთმანეთს ჰგავს მაინც; სკოლა, სახლი, ყინვა, თოვლი, ქარბუქი, წიგნის კითხვა, ძილი, სკოლა. ჩემ გვერდით ზის გურამი. პირველ სამ გაკვეთილზე ნანული დოხოიანს გავყევი კლასებში. მე დამხმარე მასწავლებელი ვარ. ქართული ენა უნდა ვასწავლო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფელში, სკოლაში, თემში. გურამი უეჭველი მკითხავს, სად იყავიო. უკვე ვერ ისვენებს და ცოტა ხანში ალაპარაკდება, მარა მაინც ვაგრძელებ წერას, მესაუბროს, უნდა გადავაყოლო ნერვები ახალ თამაშს. აჰა, ჩემი ყურთასასმენები აიღო და უსმენს.

– თორნიკ, რამე კლასიკა ჩიმირთე რა. – ვრთავ. უსმენს. დირექტორი გამოვიდა, რაღაც უთხრა ჩემს მასპინძელს. დირექტორი ერვანდ ვარდერესიანია. ახალგაზრდაა და რაღაც ნოვატორული იდეები აქვს, თან მე ახალი ჩასული ვარ და თავის გამოჩენა სურს. ჩემი მასპინძელი სერგო აპინიანია. სკოლის დარაჯი. ორი და ოცი მაინც იქნება სიმაღლეში. როცა უყურებ, ფიქრობ და ვერ იხსენებ, რომელი ზღაპრიდან გადმოსულს ჰგავს. წყლის მოსატანად აგზავნიან ბავშვებს; სტივენას და ლოვიკას. სახლში მინდა, თბილისში. თითქმის ორ თვეზე მეტია ამ სოფლიდან არ გავსულვარ.

– გამორთე, თორნე, აღარ მინდა, ჭო. – გამოვრთე, ვიწერ. ყველაფერი უნდა დავწერო. გართობა რა! გაკვეთილი არ მაქვს მაინც. მანუშაქი ყავას ადუღებს. ამ ჯერზე უარს არ ვეტყვი და სიამოვნებით დავლევ. სიგარეტს ვუკიდებ. ვეწევი სამასწავლებლოში. ვიცი რომ

სკოლაში მოწევა არ შეიძლება, არც სკოლის ეზოში, მაგრამ არ მენაღვლება ახლა ეგ. გარეთ მინუს ათი გრადუსი მაინც იქნება. მაინც ვაღებ ფანჯარას. დახურეო, ნაჩარიანი მეუბნება და ღუმელთან მიდის, რომ შეშა შეამატოს. დავხურე და ვწერ ისევ. სხვაგან ვზივარ ახლა. გურამის მოპირდაპირე მხარეს.

– რა კარგად გამეიყურებით, ქალბატონო ნანული. აქ ისე, ნანულ, კარწახში მაინც ახალგაზრდა მასწავლებლები არიან. მე რო დირექტორ ვიყავ ჩემ სოფელში, იქ მყავდა ერთი ოთხმოცდასამი წლის ქალი, კა

ჰორიზონტის ბოლოს, აქ არ ერთიანდება ცა და მიწა. ყველაფერი თავისთვისაა, მარტოდ, ადამიანივით. გზაზე მანქანები არ დადიან, იშვიათად სასაზღვრო პოლიციის ეკიპაჟი თუ ჩაივლის. ყველას ვიცნობ. გურამის გარდა, ეგენი არიან, ვისაც შემიძლია ენობრივი ბარიერის გარეშე ვეკონტაქტო. მერე ვბრუნდები, უსიტყვოდ, ჩვეულებრივად, თითქოს რაღაც შეთანხმებამდე მივსულიყავით მე და მთელი ეს სამყარო. ვაღებ კარს და შევდივარ. სითბოა. მიწით ხურავენ და მიწაში აშენებენ სახლებს, რომ ზამთარში საჭირო ტემპერატურა შენარჩუნდეს და ზაფხულში სიგრილე იყოს. ვწვები, ვირგებ ყურსასმენებს და აუცილებლად რამე ფსიქოდელიურ მუსიკას ვუსმენ. მთვარე უკვე ჩემს თეთრ ზეწარს ანათებს, თითქოს თოვლში ვიწვე და თოვლი მეხუროს ზემოდან. მეძინება.

ოჰო, ამ ქალმაც საშინელი რუსულით დაილაპარაკა:

– იზვინიწე, ვარდერესიან სძეს ნიეტ?

– სძეს ნიეტ, ვ კაბინეტე ბუძიტ. ესლი ხაწიწე, ია ტოჟე პაიდუ. თორნიკე ასტანეტსა სძეს. თორნიკე ნაშ ნოვი უჩიწელ. ოჩენ ხაროში პარენ, ოჩენ. კაი ბიჭი, მშვენიერი. ია ტოჟე პაიდუ ი არმენ ტოჟე. პატამუ შტო, ია ემუ სკაზალ, შტო ესლი ნე ნაუჩიტ ურროკ, ტაკ ი ბუძიტ, ქალბატონო.

– იზვინიწე, ია ნე მაწ არმენა. ია როდსტვენნიცა დირეკტორა. ევო მატ უმერ პაზავჩერა ი... სევოდნია პახარონა.

მოვასწარი გურამის სახე დამენახა და თავი ჩავხარე.

– ოპაა, იზვინიწე. ოჩენ საჟელეიუ. ზნალ აბ ეტამ, ნო ია დუმალ, ვი მაც არმენა. არმენ ბალტაეტ პროსტა, ბოლშე ნიჩივო ნი ძელაეტ, ნო ესლი ვი ნე მაც, ვამ ნავერნა ნი ინწერესნა.

კარის დახურვის ხმა მესმის. თავი მერხზე მიდევს და ზემოთ ვერ ვიხედები. ათი წუთი გავიდა ალბათ.

გურამის ქართული ფრაზა – „ჩიგიმტვრევ კბილებს, თუ არ გაჩერდები“ არცერთ მოსწავლეს ესმის, ამდენი ქართული არ იციან, ისიც ამიტო ეუბნებათ. თავისთვის ჩაილაპარაკებს და ასე ცდილობს დაღლილობა და გაბრაზება გამოხატოს. ახლაც ლოვიკას შეპირდა ჩიგიმტვრევ კბილებსო, თუმცა ლოვიკამ ეს ვერ გაიგო და ისევ გააგრძელა ქაღალდის თვითმფრინავის ანთებული ღუმელისკენ დამიზნება.

ზარია. სამასწავლებლოში გამოვედით. ორი წუთიც, ჩავიცვამ და წავალ. სერგომ თუ გამაცილა, უკეთესი იქნება.

***

სახლში ვარ. აქ მაინც, მთაში, გადაუღებლად რომ აყრის ქარბუქი ფანჯრებზე ფიფქებს, გსიამოვნებს ასე გჯეროდეს მარტოობის. ცუდი იქნება, შენს თავს დააბრალებ, კარგი იქნება – მასაც. ტანსაცმელი გამოვიცვალე. ფეხსაცმელი ღუმელის ქვემოთ დავაწყვე და ხელები დავიბანე. ეზოში ხაჩიკა შემხვდა. ცხრა-ათი წლის იქნება. მეზობელია. ხაჩიკას, ჩემი აზრით, აუტისტური სპექტრის აშლილობა აქვს, თორემ ისე, ზუსტად ეს აქ არავინ იცის. სკოლაში იშვიათად უშვებენ და თუ წამოვიდა, იქაც დერეფანში ან დირექტორს მისდევს უკან და გაუჩერებლად ელაპარაკება, ან ბიბლიოთეკარს, ზოგჯერ ცარცით ხატავს ისედაც ჩამონგრეულ კედლებზე. ძირითადად ეზოში დადის თავისთვის და გამუდმებით საუბრობს. მე ძალიან მოვწონვარ. აქ ჩამოსვლის პირველივე დღეს, როცა ჯერ კიდევ სხვა კონტინენტელი, ან გალაქტიკელი მგზავრივით ლურჯი ბათინკებით, ყვითელი ქუდითა და ჩალისფერი ქურთუკით გამოვეცხადე ერთნაირად ჩაცმულ თემს, ხაჩიკა იყო პირველი, ვინც მოვიდა და საუბარი დამიწყო ისე, რომ ეჭვიანი მზერით არ დამაკვირდა რამდენიმე წუთის განმავლობაში. ფოტოც კი გადავიღეთ; ვდგავართ მე, ხაჩიკა და ლუგა და ვიღიმით. ხელები გვაქვს ერთმანეთზე გადახვეული, ვითომ პირველი კლასიდან ერთად ვიზრდებოდით და ახლაღა შევხვდით, წლების მერე. მოკლედ, სახლში შემომყვა და აგრძელებს საუბარს. მისი ლაპარაკის გაგება ოჯახის წევრებსაც უჭირთ, სიტყვებს არეულად ამბობს, წინადადებებს წყვეტს და სხვა აზრზე გადადის, რაღაცას აკვიატებულად გაიძახის, თან ჩემთვის უცხო ენაზე. მაინც ყველაზე ერთგული მსმენელი მე ვყავარ. სულ ჰოლდენ კოლფილდი მახსენდება, რომ ამბობს, ადამიანს უნდა აცადო, როცა რაიმეს გატაცებით ყვება, ამას არაფერი სჯობსო. ვიღაც აღებს კარს. სერგოა. და გურამი მოიყვანა ჩვენთან სტუმრად.

ყოველთვის ეუბნებოდა სერგო აპინიანი გურამს, წამოდი ჩვენთან, დავლიოთ თითო ჭიქა, ვისაუბროთ, თორნიკეც გულს გადააყოლებსო. გურამი თავს იკავებდა. სოფლის ყველა ძაღლი რომ ცნობდა, იმ დიდ ჯოხს ჩაბღუჯავდა ხელში, ბოდიშიო, – იტყოდა, – დღეს ვერა და სხვა დროს იყოსო, – და გადაუხვევდა თავისი ვიწრო ბილიკებისკენ. ანუ დღეს გამოყვა მაინც. შემოვიდნენ. კიდე ვიღაც აღებს კარს. სედაა და აფო. სედა სერგოს ცოლია. ყავის მოდუღება დაიწყო და საჭმელს აცხელებს.

აფო – სერგოს და სედას შვილი. ჩემი თანატოლი. ქართული არ ვიცი, ამბობს, მაგრამ ერთხელ შევუსწარი, ჩემს საწოლზე იჯდა, ჩემი დღიური ეჭირა და კითხულობდა, ან ცდილობდა მაინც. არადა, რომ დამინახა, გადაშალა-გადმოშალა, ვითომ ისე, ათვალიერებდა უბრალოდ. მაინც კაი ტიპია. მეორე ძმას ლუგა ჰქვია. ის ჩემზე და აფოზე ორი წლით უფროსია, მუდმივად გულჩათხრობილი. ამ ორ თვეში სამი სიტყვაც არ აქვს ალბათ ნათქვამი. დილით საქონელს წველის, ბოსელს ალაგებს, მერე ცხენს შეაბამს მარხილში და წყლის მოსატანად მიდის. მოკლედ, მთელი დღე გარეთაა. დაუძახებენ, შემოვა, ცოტას შეჭამს საჭმელს, მოიცვამს ერთ ქურთუკს, მერე უფრო ძველს – მეორეს და ისევ მიდის თივის ზვინებთან, ცხვრებთან, გოჭებთან. თუ ჩვენ, მარტო ბიჭები ვართ სახლში, თავის ძმაკაცებს ურეკავენ, გადმოდიან ისინიც და ზოგი კარტს თამაშობს, ზოგი – დომინოს. მე ძირითადად თავს ვარიდებ თამაშს, ვზივარ და წიგნს ვკითხულობ. გადმომხედავენ, რაღაცას იტყვიან, გაეღიმებათ. გავხედავ, რამეს ვკითხავ ზრდილობის გამო, ვერ იგებენ და ყველა ვიცინით. რამდენჯერმე აფოს კლასელებმა ბანკეტის ვიდეო ჩართეს, მერე ფოტოებს ათვალიერებდნენ და სათითაოდ მიხსნიდ-

ნენ ვინ ვინ იყო მათ კლასში, ახლა ვინ სად არის, რომელი გათხოვდა, რომელი ერევანში გადავიდა საცხოვრებლად. მე კიდევ ადამიანის ყველაზე მეტ სევდიან საცოდაობაში მისი ბანკეტის ვიდეოსა და ფოტოების ნახვა მარწმუნებს. ოჯახები ხშირად ნასესხები ფულით ყიდულობენ კოსტუმს, პერანგს, ფეხსაცმლეს, კაბას, გამოაწყობენ სკოლადამთავრებულებს და უშვებენ ბანკეტზე. ყველა ერთნაირად ჰგვანან ჰოლივუდის ბლოკბასტერის გმირებს და მათ საყვარლებს, ან რომელიმე 90-იანი წლების რუსული ფილმიდან გადმოსულ კრიმინალებს; სათვალეებით, სმოკინგებით, გამომწვევი კაბებით, საათებით, სამკაულებით. ცდილობენ დაივიწყონ ბავშვობა, გააქრონ, სადმე გადამალონ. არადა, სულ რამდენიმე დღით ადრე, თეთრი პერანგები აცვიათ ხოლმე ბოლო ზარზე, რომლებსაც უკან სპანჯ ბობი, სპაიდერ მენი, ბობ მარლი და მარიხუანა, მინიონები, ან ვინი პუჰი ახატია და დარბიან, იციანიან, ერთმანეთს ათას სისულელეს აწერენ, თამაშობენ. ასეა ყველგან, ყველა სოფელში, ქალაქში, არა მარტო ჯავახეთში, რაც მინახავს. მეც ასე ვიყავი. მეორე დილით, ამ ყველაფრიდან რაც ითხოვეს, იმას უკან აბრუნებენ, რაც იყიდეს, ინახავენ იქამდე, ვიდრე უკვე მათგან არ ითხოვებს სხვა.

აფოს ჩვენი მეზობლის შვილი უყვარს. ამასწინ გამომიტყდა. ძაღლების ჩხუბს გაჩვენებთო, წამიყვანეს და მაშინ მომიყვა. მე კიდევ საშინლად მეშინია ძაღლების, ისიცაა, არც მათი გასისხლიანებული სხეულების ყურება მომწონს, მაგრამ უარს ვერ ვეტყოდი. ჰოდა, მაშინ ის გოგოც გამოვიდა ორი წამით, ეზოში ოცდაათამდე მამაკაცი ყაყანებდა, ზოგი წითელ ნაგაზს აქეზებდა, ზოგი - ნაცრისფერს. ძაღლები ჯერ კიდევ დაბმულები იყვნენ და პატრონები იჭერდნენ. დაჭიმული იყო ტყავის დამჭერები. ორივე მძიმედ სუნთქავდა, პირიდან ნერწყვი სდიოდათ და ერთი სული ჰქონდათ ერთმანეთს მივარდნოდნენ. მე იქვე მდგარ ტრაქტორზე ავძვერი, ისეთ სიმაღლეზე, რომ გაცოფებული ძაღლი კი არა, ალბათ ჯოჯოხეთის მთელი დემონები ვერ მომწვდებოდნენ, დავჯექი, სიგარეტს მოვუკიდე და მაშინ იყო აფოც რომ ამოხტა, გვერდით მომიჯდა და ისე, რომ სხვებს არ შეეშჩნიათ რამე, თითი იმ გოგოსკენ გაიშვირა. მეთქი, ინჩე აფო-ჯან? – და დაიწყო ახსნა. არც რუსული იცის აფომ, როგორც თვითონ ამბობს, არც ქართული, ამიტო სომხურად მელაპარაკებოდა. მე სომხური არ ვიცი. უბრალოდ ვუსმენდი, მარა მივხვდი რისი თქმაც უნდოდა. ეს ამ ორ თვეში პირველი ადამიანი იყო აქ, უცხო სოფელში, ვინც ისეთი რამ მითხრა; თავისი სერიოზული საიდუმლო, რომელიც, დარწმუნებული ვარ, არც ლუგამ იცოდა, არც სედამ, არც სერგომ, არც იმ გოგომ. მხოლოდ მე. მხარზე ხელი დავარტყი, გავუცინე და მეც ჩუმად ვაჩვენე ცერა თითით, მაგარი გოგოა-მეთქი და თვალი ჩავუკარი. კიდე რამდენჯერმე დავუტყაპუნეთ ერთმანეთს მხარზე ხელი და იმის მერე აფო ჩემი მეგობარია.

ტელევიზორი ჩართეს:

– სერგო-ჯან, რა სერიალია, ჭო?

– ინჩე, გურამ?!.

– ინჩე და... ეს ინჩე სერიალი?!.

– ა, ნიჩივო ასობენნი, გურამ–ჯან.

ჩემკენ იხედება, მაკვირდება:

– თორნიკ, მგლები ჩამევდენ, გეიგე?

– სად ჩამოვიდნენ?

– სოფლად. თათოსაის ძროხა დეიგდეს გუშინ.

– დეიგდეს?!. შეჭამეს ანუ?

– ვერ გევგე, თორნიკ, დეიგდესო და...

– ვინ თქვა, რო დეიგდესო? აქ ქართული არავინ იცის და, მითუმეტეს, ერთ–ერთი დიალექტი თუ რაღაც ეგ სიტყვა "დეიგდეს".

– მე ვამბობ, ჭოუ, რა დეგემართა? თორნიკ, ცხელ წყალში ჩაყარე ფეხები საღამოობით, გიშველის... ნუ ხარ ჯიუტი. უთხარ სერგოს ცოლს. რა ჰქვია? სედაი. სედაის უთხარ და გიგიმზადებს.

– რაზე მიშველის, რა მჭირს?

– რავიცი, რაცხა არ მომწონხარ.

შებრუნდა. შუა საუკუნეების კორეის, ან იაპონიის, ან ჩინეთის ისტორიაზეა სერიალი. წვრილთვალებიანი გოგო-ბიჭები დარბიან ხმლებით, ცხენებით. ორი თვეა ამას ვუყურებ. ვზივარ და ვუყურებ, როცა წიგნის კითხვაც მობეზრებული მაქვს, ტელეფონზე საუბარიც, მაშინ. ჯერ რომ ამ ჩინეთის თუ იაპონიის თუ კორეის მაშინდელი ისტორია საერთოდ არ ვიცი; ვინ რა გვარიშვილია, ვინ რომელ დაჯგუფებაშია, ვის ებრძვიან, ან რატომ. თან ისიცაა, რო სომხურენოვანი გახმოვანებაა და მითუფრო არაფერი მესმის, რამდენიმე სიტყვის გარდა თითო სერიაში.

ვისადილეთ. ორ-ორი ჭიქა არაყი დავლიეთ. გურამმა, – ზა ნას, ზა კავკაზო, – ასე თქვა ყველა ჯერზე. სერგოს უთქმელად უყვარს, გეგონება წამალს სვამდეს კბილის ტკივილის დროს.

– გურამ-ჯან, ცავედით.

– ჰო, წევდით, სერგო, წევდით. თორნიკ, გამოი, დამარხვენ იმ ბებიას, თუ არ დეევედარებით.

ერვანდ ვარდერესიანის დედის დასაფლავებაა. სკოლის დირექტორის დედის. რვეულს სახლში ვტოვებ. ტელეფონში გავაგრძელებ წერას.

***

წვიმა დაიწყო. არადა იქამდე მინიმუმ ოცი წუთის გზა გვაქვს. პირველად გაწვიმდა. იქნებ დადნეს თოვლი. გურამმა ქუდი წამოიხურა. სერგო სულ სველია. ძალიან სასაცილო სახეს იღებს ყველა წვეთის დაცემისას. თითქმის გავრბივართ.

ეზოში შემოვედით. უკან ჩამორჩა და ხელი მომიკდა. რაღაც უნდა.

– თორნიკ, რო შემოუვლით იმ ქალს, მემრე სადმე იქ ცეცხლი თუ დეინახო, დიმიძახე შევშრეთ ცოტა ჭოუ, შევთბეთ, თორე დავცივდებით სასწაულად.

მთელი სოფელი აქაა. ვგრძნობ, რო ძალიან ბევრი ადამიანი მიყურებს. გურამის აქ ყოფნას მიეჩვივნენ ამ ოთხი წლის განმავლობაში, მე ჯერ სულ რაღაც რამდენიმე თვეა აქ ვარ და ეჭვით მიყურებენ. თითქმის გარეთ ვსხედვართ მამაკაცები. რაღაც ჩამოხურული ფარდულია. კოჭებამდე ტალახში ფეხებს ვაქნევ და ვწერ. ჩემ წინ გრძელ სკამზე მოხუცი კაცი ზის, გაზეთის ნახევში თუთუნს ახვევს, თან მიყურებს და ელიმება. ადრე მყავს ნანახი. მაშინ მთვრალი იყო და რუსულად მეუბნებოდა, 87 წლის ვარო. გაზაფხულზე აბასთუმანში წავიდეთ, ბატკანი დავკლათ, ვიქეიფოთ და მერე ქალებში გავიაროთო. ახლაც ამიტო მიცინის, ეგ სამომავლო საიდუმლო როა ჩვენ შორის, გეგონება რამე დიდი დანაშაული, ან დიდი ფიცი გვაკავშირებდეს.

სასაფლაოზე წავედით. ვიღაცის ჟიგულში ჩაგვსვეს მე, გურამი და კიდევ ერთი კაცი. მძღოლი აშკარად მთვრალია. სასაფლაო ზღვის დონიდან 2200 მეტრზე მაინც იქნება, მაღალი მთის ფერდზე. დიდი დაძინების ქარაფს ვეძახი, ჩემი სახლი ამ მთის პირას დგას და, ქარჩხაძის არ იყოს, „როცა ცა დღის თვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის“, მინდება ავიდე და განა გადავეშვა იმ ქარაფში, უბრალოდ ჩავიდე მეორე მხარეს, ვნახო და ამოვბრუნდე. თითქოს საიქიო მომევლოს და, ცოცხლებში დაბრუნებული, მერე დიდხანს ვყვებოდე იქაურ ამბებს. თუმცა, როგორც ნაჩარიანი ამბობს, იმ მთის იქით მხოლოდ ახალციხისკენ მიმავალი საცალფეხო ბილიკებია. ტალახში მანქანა საშინლად მიდის. ვცდილობ რამეს ჩავეჭიდო. გურამს თავისი ჯოხი აქვს წამოღებული და ვეღარ გაუგია როგორ დაიჭიროს ისე, რო თვალი არ ამოითხაროს, როცა მანქანა ორმოზე გადაივლის ხოლმე.

მარხავენ. საშინელი წვიმაა. არ გადავდივარ. გურამი გადახტა და მიიჭრა მესაფლავეებთან და რაღაცას უხსნის ხელებით. ზოგ ადგილას მუხლამდე თოვლია, ზოგგან ტალახი. მოდის. ჩაჯდა.

– თორნიკ, რა ციცაბოა, ჭოუ! რო დაცურდეს მანქანა... იმ ქალს შევასწრებთ სამოთხეში.

– კარგი რა, გურამ. კარგზე იფიქრე.

– რას წერ თორნი, მთელი დღეა?

– რავი, ისე, ჩემთვის.

ქელეხის სუფრაც ისეთი იყო, ჩვეულებრივი; სადღეგრძელო, ხმაური, ცრემლი, ჩაცინება. ჯოხი ავიღე და მთვრალი დავდევდი სოფლის იმ ქოფაკებს, სხვა დღეებში რომ თვითონ მომსდევდნენ. ახლა ისევ უკან შევბრუნდი. გურამი სომეხთა და ქართველთა ძმობის სადღეგრძელოს ამბობს. ყველა მთვრალია. მაგიდის ქვეშ კატები და ძაღლები ირევიან, კნავიან, იღრინებიან, ჩხუბობენ. ვდგები. ისევ გარეთ გამოვდივარ. პოლიეთილენს ვდებ სველ ფიცარზე, ვჯდები და სიგარეტს ვუკიდებ. აღარ წვიმს. ცა მოწმენდილია. ღამე ძლიერი ყინვა იქნება ალბათ.

– თორნიკ, მოდი, სურათი გიდიგიღო.

– არ მინდა.

– მოდი, მოდი, დაგრჩება.

– იყოს.. ხვალ გადავიღოთ.

– ხვალაც გიდვიღოთ, ჭოუ. რას მეიწყენ ხოლმე, სახლი მეგენატრა? მეც მემნატრა, მარა რას იზამ. მე და შენ უნდა გევტანოთ აქ ერთმანეთი. ჰოდა, გიდვიღოთ სურათი. ვეტყვი დირექტორს და... ეგერ მოდის.

– დირექტორს არ ცალია.

– რაღას აკეთებს, ჭო?

– კაცო, დედამისის ქელეხია და ათასი საქმე აქვს კიდე მისახედი.

– მეიცლის დაა!.. ნასმია, დიდოვანი არყები დალია.

– მე ვეღარ დავლევ.

– თორნიკ, კუჭი რომ გაწუხებს და სახლი გენატრება, მაგიტო უნდა დალიო და გედიყრი ჯავრს.

– მერე სახლში ვეღარ მივალ გვიან, ჰო იცი, რა შორია. კილომეტრზე მეტი უნდა ვიარო და ათი ძაღლი მომდევდეს უკან.

– ძაღლებს მე გიგირეკავ, შენ ჯავრი არ ჩიიდო. ი დიდი კომბალი ჰო წამევლე დღეს, ეგერ მაქ მიყდებული. თუ აქ დალევა არ გინდა, მაშინ ჩემთან ევდეთ, ბორშჩი გავაკეთე გემრიელი.

– კაი, დავლიოთ აქ.

– ფოტოც გიდვიღოთ მაშინ. არმენ, არმენ–ჯან, რო გეძახი გამიგონე, ჭოუ, დაა! ამფერი უცნაური მოსწავლე გინახვენ, თორნიკ?!. არმენ, გიდგვიღე და მე და თორნიკ მასწავლებელს, აბა!

– ინჩ, მასწავლებელი?!.

– ინჩ კი არა, ფოტო სნიმაი, გიდიგვიღე.. ე, მასე. კაია. წევდეთ ახლა, დავლიოთ. ნუ ეწევი ამდენს, ჭოუ, ახალგაზრდა ბიჭი ხარ. მაგას ისევ დალევა გირჩევნოდეს.

– ამ თოვლს ვეღარ ვიტან, ორ თვეზე მეტია ვუყურებ.

– შედი, შედი, სითბოა დარბაზში. ე, ყავაც მეიტანა სათენიკამ. მერე, აქ რო დავლევთ, ჩემთან წამო, ბორშს გაჭმევ, სახლისკენ გზაზე თუ ძაღლების გეშინია.

– არა, სულ არ არიან ძაღლები. არც მეშინია.

– კაი, მაშინ ხვალ ბანკაში ჩაგისხამ ცოტას და სკოლაში მოგიტან.

***

რვა თვეზე მეტია ამ დღიურში არაფერი დამიწერია. რამდენიმე დღეში ვასრულებ აქ მუშაობას და სახლში ვბრუნდები. მეორე ზამთარი გავატარე აქ. სამასწავლებლოში ვზივარ. ხვალ საშობაო არდადეგები იწყება.

გარშემო ისევ ისე, როგორც თითქმის ერთი წლის წინ, ამ ამბის დასაწყისში, მიმოდიან სახაზავებით, რვეულებით, ჟურნალებით, ჭიქა ყავითა და ათასი ამბით, ლაპარაკობენ მოსწავლეებზე, სასწავლო გეგმის შესრულებაზე, ამინდზე, ხელფასზე. მე კი ისევ არ ვერთვები ამ საუბრებში. იმიტომ, რომ ფანჯარა მაქვს, რომლის იქითაც ყოველთვის იცვლება სამყარო. თითქოს ვიჯდე სკამზე და სარკმლიდან ვიყურებოდე. ისე, როგორც... თუნდაც მე თვითონვე როგორც ვარ ხოლმე ზოგჯერ, როცა შეუძლებელია საუბარში ჩამითრიონ, უკან შემომაბრუნონ ჩემი სარკმლიდან.

წარმოსახვით ფანჯარაში იცვლება კადრები; ღამეა. ცა სავსეა ვარკვლავებით. გურამი და სერგო ჯერ კიდევ გაუყინავ გუბეებში მიაბიჯებენ. უკნიდან თანდათან სუსტდება მთვრალების ხმაური, ბავშვების წამოძახილები.

გურამი ჩერდება. უკან იხედება და მადლობას მიხდის თავისი გარდაცვლილი შვილის მოგონების გამო ქელეხში. მერე ჯოხს მაძლევს მეორე დღემდე, დღეს მე მაინც არ მენაღვლება ძაღლების შიში, დღეს მე უკვე დაკბენილი ვარ შვილის მოგონებითო. ზუსტად ამ ფრაზას ამბობს, დასამახსოვრებელს, თითქოს წინდაწინ შეერჩიოს. სერგო სომხურ სიმღერას მიღიღინებს და ჩვენი საუბარი არ ესმის, მიიფრთხობს ჭილ–ყვავებს.

ვიცი, უნდა მივიდეს გურამი ძველ, მიტოვებულ სახლში, ერევანში წასულმა ვიღაც ოჯახმა რომ მიაქირავა. შეშა დაჩეხოს, ცეცხლი დაანთოს, ისე, უბრალოდ ჩართოს ის რადიო, ერთ ტალღას რომ იჭერს. დაწვეს და მერე არ ვიცი, იქნებ გაზეთი წაიკითხოს, როგორც ხშირად ჩვევია ხოლმე, ან თავის თავთან ისაუბროს, მერე დიდხანს, დიდხანს იკითხოს მოსწავლეების საშინაო დავალებები.

წარმოსახით ფანჯარაში ვხედავ, ისევ იმ ვიწრო ბილიკებზე გადაუხვია, შემობრუნდა და მეძახის:

– თორნიკ, წამოდი, ჩემთან დარჩი დღეს. სერგოს მე ვეტყვი.

არასდროს მსიამოვნებდა იმ სახლში ყოფნა. მერე იქ მე მარტოდ ვიცხოვრე. რაღაც ისეთი აურა ჰქონდა. წამოიდგინე, მიტოვებული, ოთახების უცნაური განლაგებით, ბნელი დერეფნით და გარდაცვლილთა სურათებით სავსე მიწური. ყოველთვის რაღაცას ვიმიზეზებდი, ვერ ვარ კარგად, დღეს ვერ წამოვალ, ხვალ იყოს გურამ... და კიდევ ასეთ ათასს ვამბობდი.

კადრები გრძელდება და სადღაც მიღმა ისევ ვხედავ, ვიხსენებ, რომ პირველად მინდება იქ წასვლა. ნაბიჯს ვუჩქარებ, რომ სერგოს დავეწიო. ვაფრთხილებ, ხვალ პირდაპირ სკოლაში მოვალ-მეთქი. გურამი დგას და მელოდება. ერთად მივდივართ.

– თორნიკ, ჩემი ჟიგული რო არ იქოქება, რისი ბრალია, მატორის, თუ აკუმლატორის?

– არ ვიცი.

– ბაგრატაიმ მომყიდა, ჰო იცი. მძღოლის მხარეს კარი არ აქვს. უნდა ვუყიდო ხელფასზე. მემრე ამოვალ იმით და გატარებ სადაც გინდა და მეც ფეხით აღარ ვივლი და თათეოსას ძაღლიც აღარ მიკბენს. მგლებმა რო თათეოსას ძროხა დეიგდეს ჰო გითხარი?

– გახედე იქით, თურქული სოფლიდან შუქი როგორ ჩანს. ისინიც გვამჩნევენ ალბათ.

– ნეტა ჩემი სოფელი ჩანდეს, თორნიკ, ჩემი სახლი.

– ნეტა ჩემიც... ზოგჯერ არაფრის იმედი მაქ. რისთვის დავდივართ ამ ყინვაში, უცხო ხალხში, უცხო სკოლაში?!. ბავშვებმა კარგად არ იციან ის, რასაც ვასწავლით. მაპატიე, მარა მგონია, რო მასწავლებლობის თამაშში ჩვენ ვმარცხდებით. წაგებული ჯარისკაცებივით გზადაკარგულები დავხეტიალებთ წინ და უკან ყოველდღე.

სახლში შევედით. საშინლად ციოდა. ღუმელი აღარ აგვინთია. თავისი საწოლი დამითმო. შუქი ჩააქრო. ჯერ ფარანს ანათებდა ჭერზე დიდხანს. მერე სულ დაბნელდა. დილით უფრო დიდი თოვლი დაგვხვდა. ბავშვები მარხილებით მიდიოდნენ სკოლაში. ვისაუზმეთ. კარი გააღო. ისევ იმ უსასრულო სითეთრეში გავაბიჯეთ. შორს, მარხილში შებმულ ცხენებს ძაღლები მისდევდნენ და უყეფდნენ. მუხალმდე თოვლში ნელა მივაბიჯებდით. ბაგრატ მოსოიანმა ჩამოიარა ტრაქტორით და იმ რამდენიმე ქართული სიტყვით, რაც წინა დღეებში ლექსიკონში ჩავაწერინე, სკოლამდე წაყვანა შემოგვთავაზა, გვეძახდა და ხელს გვიქნევდა. ვიდრე გზამდე მივიდოდით, გურამი გაჩერდა. ჩემკენ შემობრუნდა. ქუდი მოიხადა. ჯოხს ჩამოეყრდნო, ფიფქებს და ცას სახე მიუშვირა, მერე შემომხედა და თქვა:

– თავიდან საერთოდ არ იცოდნენ. მე თუ მკითხავ, ჩვენ ვიმარჯვებთ.

ᲓᲘᲐᲜᲐ ᲐᲜᲤᲘᲛᲘᲐᲓᲘ

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

1.

და მინდიას მერე დაიბადა, ამიტომაც დიდხანს აღარ უფიქრიათ ბავშვის სახელზე. მამამ თქვა-მთავარია, კარგი დობა გაუწიოსო და და დაარქვა. დედას ცოტათი ეჩოთირა, მაგრამ გათხოვდება და ქმარი სახელს მაინც გადაარქმევსო და შეეგუა, თანაც ერთმარცვლიანი სახელი დასაძახებლად მარტივია, ძროხებს რომ გარეკავს ანდა თხებს აიყვანს მთის საძოვარზეო. ასე შერჩა სახელი და სახელით დაღდასმული ცხოვრება.

ძმას დობა კი კარგი გაუწია, მშობლებს-შვილობაც. ყველაფერს აერთებდა, მოჩხუბარ მშობლებს არიგებდა, რამდენჯერ გადაფარებია ძმას, რომელსაც სიყრმიდანვე რჩებოდა თვალი სხვების ნივთებსა და გოგოებზე. პატარა იყო და, მაგრამ თავის კურდღლის სოროს მსგავს ოთახში მალავდა 16 წლის ძმას, რომელსაც უკვე მერამდენე რაყიფი ქმარი ემუქრებოდა დანით ან სოფლიდან გაგდებით.

თავისი სახელი არ უყვარდა, ხშირად დასცინოდნენ ტოლები, ათასგვარ კალამბურს უგონებდნენ, ურითმავდნენ, ასე იყო მანამ, სანამ სკოლაში მისულს, ფერგადასულ მაგიდასთან ახალი მასწავლებელი არ დახვდა. ახალგაზრდა გოგო იყო, მისი სოფლის მცხოვრებთათვის უკვე ვადაგადასული, რომ აღარ გაითხოვებოდა და ამდენად, ქმრიანი ქალებისთვის კიდევ უფრო საშიში იყო. ასე ფიქრობდნენ მოხუცი ქალები სოფელში, დას დიდად არ ესმოდა მათი ნათქვამის შინაარსი, მასწავლებელი კი ერთი დანახვით მოეწონა - ციმციმა თვალები ჰქონდა და უცნაური აპლიკაციებით გაფორმებული კაბა ეცვა.

სიის ამოკითხვა დაიწყო.

– და ციაური, აქ ალბათ მარცვალი აკლია არა?

– არა მას, ციაურს და ჰქვია – წამოიყროყინა გეჯაძემ, მეორე მერხზე იჯდა და ქაღალდის ბურთულებს ისროდა.

– და? რა ლამაზი სახელია – შეჰღიმა დაბნეულ გოგოს – თან რა მნიშვნელოვანი, იცი? პირველი ქართული ნაწარმოები სწორედ ამ მარცვლით იწყება.

დას თავი არ აუწევია, ისე, ნახევრადდახუჭული თვალებით უყურებდა მასწავლებელს, ხელში რომ კალამს ნერვიულად ათამაშებდა და უცებ მოეშვა გულზე, მასწავლებელიც ნერვიულობს, ესე იგი ყველაფერი რიგზეა.

სახელის გამო მერეც დასცინოდნენ, მაგრამ მისთვის სულერთი იყო, სულ ახსოვდა, პირველი ქართული ნაწარმოები, კავშირი, ზმნისწინი და ა.შ. ზოგჯერ მასწავლებელია საჭირო, რომ საკუთარი სახელი გაიგო და შეიყვარო, ისე კი, სინამდვილეში, თუ რამდენჯერმე გაიმეორებ, ყველა სახელი ძალიან სასაცილო ხდება.

2.

მეგი, უკვე დიდი გოგო ხარ, არაფერია საშიში-ეუბნებოდა თავის ანარეკლს სარკეში და საყვარელი პირსახოცით ტანს იმშრალებდა – ახლა წახვალ, საინტერესო წიგნებს წაუკითხავ, ამბებს მოუყვები, გაკვეთილებს გამოკითხავ და მერე დღეც გავა.

ფანჯრის რაფაზე შემოდებულ ყავის ჭიქიდან პირდაპირ მოხვრიპა ყავა და გარდერობი გამოაღო, მწვანე კაბას დასწვდა, დაკუჭულია, მაგრამ მაინც ივარგებს, გადაიცვა და ყავის ჭიქიანად გავიდა პარმაღზე. ძალიან ადრე იყო და ბლანტი ნისლი პირდაპირ მის პატარა სახლს ეხვეოდა, კარშიც შედიოდა, ღია ფანჯრებშიც, ახალგაზრდა მასწავლებელმა ღრმად ჩაისუნთქა მაცოცხლებელი ჰაერი და წიგნს დასწვდა.

„წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა "– როგორ უნდა გაუცოცხლოს მეხუთე საუკუნის ქალის სახე მოსწავლეებს, ზოგიერთი რომ დილიდან სოფლის საქმეებს ფაცხა-ფუცხით იშორებს და სკოლაში მორბის, ზოგი კი პირდაპირ მეორე გაკვეთილიდან მიჰყავთ უფროსებს სამწყემსურში თუ თივის მოსაგროვებლად. მერე ის გოგო გაახსენდა, უცნაური სახელით „და", სულ ჩუმი და რაღაცნაირი, მავედრებელი თვალები რომ აქვს, ოღონდაც არაფერი მკითხოთ, ოღონდ არ შემომხედოთ, ოღონდ ამდენ ბავშვში ფეხზე არ წამომაყენოთ.

ჩანთაში ფერადილუსტრაციებიანი წიგნი ჩადო, რვეულები არც ამოუღია, დღეს შესვენებაზე შეასწორებს, კარი გამოიხურა, უზარმაზარი ურდული მძიმედ, ზრიალით გამოსწია და სკოლისკენ გზას დაადგა. ეს სუნი, წივისა და მტვრის, ფეხსაცმელებს, ჩანთას, თმას რომ რაღაცნაირ, ღია ჩალისფერ მაქმანად ედება, ეუცხოება, მაგრამ უყვარს. ისევე, როგორც ეს მიკარგული სოფელი, ბებერი, კბილებჩაცვენილი, ხის ჭიანი ჩარჩოებიდან რომ იმზირება დამტვერილი მინებით, ძველი გაზეთებით თუ წებოვანქაღალდაკრული თვალებით. ისევ ეს ბიჭი აედევნა, მისი მოსწავლის ძმა, გააწყალა გული, დგას და ისე უყურებს, თითქოს რაღაც იცის.

სკოლა პატარაა, ერთსართულიანი, ძველი, საბჭოთა ფერმა გადააკეთეს და რამდენიმე კლასი განათავსეს, მეტი არცაა საჭირო. კლასები თითქმის ისე განალაგეს, როგორც ფერმაში იყო, ორი პატარა კლასი, სადაც ადრე ხბოებსა და გოჭებს აპურებდნენ და რამდენიმე უფრო მოზრდილი, ერთიც საერთოდ ყველაზე დიდი, სადაც ადრე თივისა და კორმის საწყობი იყო, ახლა დირექტორის კაბინეტად ექციათ და შეთავსებით, სააქტო დარბაზიც იყო, ქალაქელი სტუმრებისთვის მოწყობილი ზეიმების პირველი და მეორე განყოფილებებისთვის.

მასწავლებელი კლასს მიუახლოვდა და ლაპარაკი შემოესმა, გაუკვირდა, ვინაა ასე ადრიანად:

– მიდი, ჩაწერე, ჩაწერე, აი, აქაც გადაასწორე, ესეც, „კარგად" კი არა, „კარქათ", „ვლაპარაკობ" კი არა, „ვლაპარაკოფ", ეს საერთოდ გადაშალე, ეგ სიტყვა რომ შენ გაგახსენდა, ვერ დაიჯერებს.

ჭუჭრუტანაში შეიხედა, და და ნესტანი, კლასის ყველაზე კარგი მოსწავლე, ბოლო მერხზე ისხდნენ და გამეტებით ჩაჰკირკიტებდნენ ნაწერს.

კარი შეაღო, ბავშვებმა რვეულის დამალვა სცადეს, მაგრამ ვერ მოასწრეს.

– და, ეგ შენი დავალების რვეული არ არის?

– დიახ, მას.

– რამე ვერ გაიგე? დაგეხმარო?

– არა, მას

– აბა, რას აკეთებდით?

– არაფერს, მას

– შეგიძლია მანახო?

– გადათეთრება ვერ მოვასწარი, მას.

– არაფერია, მანახე

მეგიმ რვეული გადაშალა, მისი მიცემული დავალება იყო, თავიანთ თავზე უნდა დაეწერათ პატარა ამბავი. გოგონას რვეულში ერთგვერდიანი ნაწერი სულ მთლად ჩასწორებული იყო, ოღონდ პირიქით, ვიღაცამ დაუნანებლად გაავსო ნაწერი შეცდომებით, სწორი ფორმები არასწორით შეცვალა.

– ეს რა არის? – გაოცებული უყურებდა მეგი მოსწავლეებს.

– მას, ეს.. მე ... – და ვერაფერს პასუხობდა.

– ეს მე ვქენი, მას – წამოხტა ნესტანი.

– რატომ? მშვენიერი ნაწერი იყო.

– წინა მასწავლებელი სულ აბრალებდა დას, უფროსები გიწერენო, ასე ვერაფრით დაწერდიო. მერე ასეთი რამე მოვიფიქრეთ.

– ვერ დაწერდიო?

– დიახ, ბევრჯერ უჩხუბია, ბავშვის ნაწერს ეტყობა, რომ ბავშვისაა, ვის ატყუებო. მშობლებიც დაიბარა.

– მართლა, და?

– დიახ, მას.

– მისმინე, შეგიძლია აღარ ჩაასწორო დავალება?

– დიახ, მას.

– ჰოდა, ძალიან კარგი, ახლა შენს ადგილას დაჯექი, მალე ბავშვები მოვლენ.

– დიახ. მას.

„წამებაი წმიდისა შუშანიკისა დედოფლისაი“ – შავყდიანი, მძიმე წიგნი მაგიდაზე დადო. მეხუთე საუკუნე, მოზარდებისთვის უცნობი და ხშირად გაუგებარი ვნებები, ძაძები და ანტიოქიის პალეკარტი. ვიღაცამ ვიღაცას ჭიქა შეალეწა და „მტკიცედ სდგაა, დედოფალო“.

მოსწავლეები თანდათან გროვდებიან. კლასის კარი წამდაუწუმ ჭრიალებს.

ეს ჯადოსნური კარია.

სანამ მის მიღმა აღმოჩნდები, ჩვეულებრივი ადამიანი ხარ, გიყვარს პორტუგალიური სიმღერები, ფერადი შარფები, შინგამომცხვარი ღვეზელები, დავით გურამიშვილი ან ნიკო სამადაშვილი, გაცვია კუბოკრული მოკლე პალტო, მოდიხარ, გაქვს სიარულის დამახასიათებელი მანერა, დაბალი ხმა...

ამ კარს მიღმა კი ოცამდე სრულიად განსაკუთრებული ბავშვის ლიტერატურის მასწავლებელი ხარ, ხან ბეწვის ხიდზე გადიხარ, ხან ნაკვერჩხლებზე ფეხშიშველი, ხანაც ვარდის ფურცლებზე, ხანაც დამსხვრეულ მინაზე...

გოგონები ფანჯარასთან მიკუჭულან და გამალებით ჭორაობენ, ლუკა, ლოყებგამოტენილი, სასწრაფოდ ცდილობს ფენოვანი ხაჭაპური მერხის ქვეშ დამალოს, თაკო – კოკა-კოლის შენახვას ჩქარობს, რაც იატაკზე მუქი და ტკბილი გუბის გაჩენით მთავრდება, ბიჭები დერეფანში სირბილისას აბაგუნებული გულების და აჩქარებული სუნთქვის დამშვიდებას ცდილობენ, ძირს წიგნები,

რვეულები და კალმები ყრია. ერთი წუთიც და მთელი ეს ქაოსი ერთიან წესრიგად გარდაიქმნება და მათ ცნობისმოყვარე მზერებს გაკვეთილისკენ მივმართავ.

ერთი წუთიც, ვეუბნები ჩემს თავს, ერთი წუთიც – ეს წუთი, ყოველთვის ერთნაირად მაშინებს, იქნებ არ დამთავრდეს, იქნებ არ მოხერხდეს, იქნებ, იქნებ, იქნებ... მაგრამ, ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე მდინარეში მედგრად შევდივარ, აღმა მივუყვები და წყლიდან მშრალიც ამოვდივარ.

– გამარჯობა, მას – ფიქრიდან გამოაფხიზლა მოსწავლის ხმამაღალმა მისალმებამ.

– გამარჯობა. – ელოდება, როგორ თანდათან ივსება მერხები, როგორ ლაგდება სასკოლო ნივთები, როგორ გადაივლის ფურცლების შრიალის ტალღა.

– მოდით, სულ თავიდან დავიწყოთ, „და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ“,

იცით , რატომ იწყება ეს ნაწარმოები ასე?

3.

ან ეს კაბა რამ შემაკერინა, მას, რამ ჩამაცმევინა იმ დებილურ საღამოზე, გახსოვთ, რამდენი ეხვეწეთ დირექტორს სხვანაირად ჯობიაო, მაგრამ მაინც ის სანთლებიანი და გრძელ ლექსებიანი ღონისძიება რომ გავაკეთეთ. ეგ ბარხატის კაბაც მაგისთვის შეკერა დედაჩემმა, დიდი მკერავი არაა, მკერდთან სხვადასხვანაირად აჭრილი იყო კაბა, მაგრამ მაინც ლამაზი გამოვიდა, მიხდებოდა, თეთრი მძივი გამიკეთა დედამ და ბლესკი მათხოვა, საიდან ჰქონდა არ ვიცი, არასდროს მინახავს წაესვას. ლექსი მქონდა სამშობლოზე და ყაყაჩოებზე, ცოტა ხმამაღლა კი მომივიდა, მაგრამ იმათ დუეტს მაინც ჯობდა ფანდურზე რომ იმღერეს. არ უნდა ჩამეცვა ეგ კაბა.

იმ საღამოს მოვეწონე მაგ კაბაში, მეორე დღესვე მოვიდნენ.

მამა ჩუმად იჯდა. დედა? დედა არაფერს ამბობდა, თითით აგროვებდა ნამცეცებს მაგიდიდან, კიდევ და კიდევ. ალაგებს, სულ ალაგებს. ჩემი ძმის საქციელს ვერ ალაგებს, ვერც მამაჩემის სიმთვრალეს, ვერც თავის დალურჯებებს და სისხლჩაქცევებს, ვერც უფულობას და ვერც უსამსახურობას, სახლს კი ალაგებს, სახლს ეტყობა მისი დალაგებული, ამიტომ სულ ალაგებს.

იმათ სახლში შემოსვლისას ფეხზე რომ არ გაახდევინა, ეგ უკვე არ მომეწონა, არც ის მომეწონა, ჩუმად რომ იჯდა და პურის ნამცეცებს ჯერ საჩვენებელი თითით აგროვებდა, მერე ხელისგულზე იყრიდა, მერე ერთად აგუნდავებდა და პლასტელინივით ზელდა.

მამა ჩუმად იჯდა, ერთი მაშინ ამოხედა, როცა იმისმა დედამ სახლზე, ოჯახობაზე, საქონელზე დაიწყო ლაპარაკი. კარგად იქნებაო, საჭმელი არ მოაკლდება და სასმელიო, ბალღების გაზრდაშიც დავეხმარებიო.

ის როგორია? რავი, არ მახსოვს, სახე არ მამახსოვრდება, იმდენჯერაც არ მინახავს, რომ დავიმახსოვრო.

ისე მინდოდა, მამას ხმა ამოეღო, ეთქვა, ჩემი გოგო პატარაა, ჯერ უნდა ისწავლოს , რა დროს მაგის გათხოვება, შვილები და საქონელიაო, ნეტავი ეთქვა, მაგრამ ის ჩუმად იჯდა და ყოველ წინადადებაზე თავს უქნევდა, უქნევდა რა, თავს ჩაჰკიდებდა გულო ძალოსავით, რომ ჩათვლემს ხოლმე და მერე ისევ ამოხედავდა იმ თავისი დიდი თვალებით.

ისინი რომ წავიდნენ, ამათ ჩუმად ჯდომა გააგრძელეს.

– არ მინდა-მეთქი – მამას ვუთხარი, დედისთვის თქმას რა აზრი ჰქონდა-გამოცდები მაქვს, სპექტაკლის დადგმა დავიწყეთ-მეთქი.

– როცა იქნება, მაინც ხომ უნდა გათხოვდე და ახლა კარგად შეგვეშველები, საპროცესოს შევიტანთო – თქვა მამამ და მეორე ოთახში გავიდა.

– გავიქცევი-მეთქი, თავს მოვიკლავ-მეთქი – ხმამაღლა არ მითქვამს, ჩემთვის გავიფიქრე, მერე იმათაც ვუთხარი. აბა, შენი ძმა დავღუპოთო? ბიჭი ციხეში ჩაჯდესო? ჩვენ ვიღა მოგვივლისო. ცოტა ფულს შენებს გამოვართმევთ (უკვე ჩემებს, უკვე გადაწყვიტეს), ცოტას მზითევსაც გავყიდით და შევიტანთ. არაა საჭირო ქორწილები და ამბებიო. ეს არ ექნა კარგი იქნებოდა, მაგრამ ახლა ვეღარ მივატოვებთ შენს ძმასო, ახალგაზრდა ბიჭია, ვერ ჩავტოვებთ ციხეშიო. ისე, არც ეგ შენი მასწავლებელია დიდი სათნო ვინმე. მოკლედ, გადაწყვეტილია, მერე დაწყნარდები და დაგვიმადლებ-კიდევაცო – მამამ აქ უწმაწურად გახუმრება სცადა. არ გამცინებია, არც თვითონ, არადა, სულ თვითონ იცინის თავის ხუმრობებზე.

– კაი, გავალ მე, თეთრეულს გადავულაგებო – თქვა დედამ და თავიანთ საძინებელში ავიდა. გააღებს ახლა იმ კარადას და

გამოვარდება სუნი, მე რომ ძალიან მიყვარს, ნესტის, მიტკლის და ნაფტალინის.

სულ ეს იყო.

4.

ჩემოდანს ალაგებს. წიგნები, მოსწავლეების წერილები, ჩანაწერები, ნახატები, ფერადი კაბები, რამდენიმე თბილი ჟაკეტი, ჩხარაჩხურა სამკაულების ყუთი, თბილი ფეხსაცმელები. საწოლზე ზის და ჩემოდანს ალაგებს. დილით სადგურზე წავა თავისი მძიმე ჩემოდნით, მატარებლის რკინის კიბეებს აივლის, თავის ადგილს იპოვის, ჩემოდანს სკამის ქვეშ შეაცურებს, თავქვეშ ზურგჩანთას ამოიდებს და დაიძინებს, დაიძინებს ღრმა და ტკბილი ძილით და დაივიწყებს ყველაფერს, რაც მოხდა, ამ მთის სოფელს და მის მოსახლეებს, სკოლას და მის მტვრიან დერეფანს, ყველაფერს, ყველაფერს.

კარზე კაკუნია.

იმ საღამოს მერე კაკუნიც აშინებს, ამ სახლსაც აღარ ენდობა, რომელმაც ასე გულით შეიყვარა. კართან მიდის და ელოდება.

– მას, მე ვარ.

არ პასუხობს, არც ფიქრობს, უბრალოდ დაღლილია.

– მას, გამიღეთ რა.

კარს აღებს, იატაკს უყურებს და ელოდება.

ქუსლთან ჩაკეცილი ბოტასები აცვია, მუხლები დაკაწრული აქვს, ტანზე პიჟამო აცვია და თვალები ტირილისგან დასიებული აქვს.

– გამოვიქეცი მას.

ჩუმადაა,

– სხვა ვისთან წავსულიყავი

ისევ ჩუმადაა

– ძაან ცუდად მოგექცათ.

ჩუმადაა

– მაგრამ ეგ ბავშვობიდან ეგეთია.

ჩუმადაა

– გუშინ სადილობისას ღვინიანი ჭიქა რომ მესროლა, მაშინ გადავწყვიტე, რომ თავისთვის უნდა მეშველა. ჩაეძინა თუ არა, გამოვიქეცი

ჩუმადაა

– სხვა ვერავისთან წავიდოდი , მას, არ გამაგდო, დედას გაფიცებ, მომკლავენ, რომ გამაგდო.

– დაჯექი.

მთის სოფლის სახლია, შუშაბანდიანი, მთვარე თითქოს ფანჯრის რაფაზე დევს, ისე ახლოა. სხედან მოსწავლე და მასწავლებელი, მოსწავლეს მასწავლებლის კაბა აცვია, ნაცრისფერი, თბილი. ჭიქებში პიტნის ჩაია, დალევენ და ჭიქებს გარეცხავენ, რომ აქ ყოფნის კვალი წაშალონ. სხედან და რიყრაჟს ელოდებიან, მატარებელი დილის 5-ზე გადის. ცოტაც და აიღებენ ერთის მძიმე ჩემოდანს და მეორის მძიმე არაფერს, რომლის თრევაც სულაც არაა ადვილი. მივლენ სადგურზე, აივლიან მატარებლის რკინის კიბეებს, იპოვიან თავიანთ ადგილებს და ტკბილი თუ არა, ღრმა ძილით დაიძინებენ. მატარებელი შეჰყვირებს და დაიძვრება, დაიძვრება და წავა, წავა და გაჩერდება, წავა და გაჩერდება. ამათ ისევ ეძინებათ, ბოლო სადგურამდე, სადაც სიზმრისგან გამოიღვიძებენ.

არავინ იმსახურებს სხვის გამო დარქმეულ სახელს, არა?

ინა არჩუაშვილი

დედუკა ბექაური

მოთხრობას საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი

გამარჯობა, თქვა კლასში შესულმა დედუკამ და ჟურნალი მაგიდაზე დადო. სკამზე მოწყვეტით დაჯდა. მეოთხე გაკვეთილს ატარებდა და დაღლილობას გრძნობდა. თითქოს ფეხებიც უკანკალებდა. ყოველ წელს პირობას აძლევდა თავს, სადამრიგებლოს აღარ ავიყვან, დღეში სამი-ოთხი გაკვეთილი, თან დამრიგებლობა და სკოლის დირექტორობა ერთად ძალიან მიჭირსო. ერმონასთან ლაპარაკშიც რამდენჯერ უთქვამს, მომავალ წელს კატეგორიულად ვიტყვი უარს დამრიგებლობაზეო, მაგრამ დადგებოდა თუ არა ახალი სასწავლო წელი, უკან მიჰქონდა თავისი სიტყვები. ერმონა დედუკას საუკეთესო მეგობარი, მისი რაიონელი და სკოლის საქმეთა მმართველი იყო და მასთან სიტყვის გატეხის არ რცხვენოდა. რა ექნა, უჭირდა ბავშვების მიტოვება. თანაც დამრიგებლობა საუკეთესო საშუალება იყო მოსწავლეებთან საურთიერთოდ და სამუშაოდ. როგორ მელოდებიან ჩემი გონიერი ბავშვები ან რაღა ბავშვები, უკვე დაქალებული გოგოები და წვერულვაშიანი ბიჭები არიან. იმედია, ღირსეულად გააგრძელებენ ცხოვრებას და იპოვიან თავიანთ გზას.

პარასკევი იყო, თავისუფალი გაკვეთილის დღე. ისე მოერია დაღლილობა, კინაღამ გადაიფიქრა საუბარი და საწერი მისცა ბავშვებს, მაგრამ შემოუძახა თავს დედუკა ბექაურმა, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ განსაკუთრებული სიყვარულის გამო ბავშვებმა მეტსახელად ნესტან-დარეჯანი შეარქვეს. ერთხელ, შემთხვევით დერეფანში მოჰკრა ყური თავის ზედმეტსახელს და ღიმილით ჩაილაპარაკა, არც თინათინზე ვიტყოდი უარსო. ჩანავლულ თვალებში ძალისძალად ჩადგმული სხივი მზესავით შეანათა დედუკამ მოსწავლეებს. გამოცოცხლდა კლასი, იცნობდნენ ბავშვები დედუკა მასწავლებლის ამ სხივს – მათი მეგობრობის საიდუმლო ნიშანს. ისიც იცოდნენ უკვე, რაც ამ სხივს მოჰყვებოდა – რაიმე განსაკუთრებული და საინტერესო თემა, ისეთი, რომელსაც ვერც წიგნებსა და გაზეთებში ამოიკითხავდნენ, ვერც ტელევიზორში ნახავდნენ და ვერც რადიოთი მოისმენდნენ; რომელსაც, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ქართულის სხვა მასწავლებლები, მით უმეტეს, სკოლის დირექტორები, სხვა მოსწავლეებს, სხვა ქალაქებისა და სოფლების არცერთ სკოლაში, იქნებ სულაც არსად, მთელ ქვეყანაში, არ ასწავლიდნენ ან ასწავლიდნენ, მაგრამ დედუკა მასივით ვერა.

მხოლოდ ლაღი, თავისუფალი, გულწრფელი, და ზოგჯერ აკრძალული, საშიშ ზღვრამდე მისული ურთიერთობა ჰქონდა დედუკას მოსწავლეებთან, უფრო სწორად, ისეთი, როგორ მასწავლებლობაზეც ოცნებობდა სტუდენტობიდან; მისმა მოსწავლეებმა არ იცოდნენ რა იყო ნიშნის, მასწავლებლის ან სკოლის დირექტორის შიში. არასოდეს შეთანხმებია მოსწავლეებს, არსად ეთქვათ, რომ ის აკრძალულ თემებსა და ავტორებზე საუბრობდა გაკვეთილზე; მხოლოდ ზოგჯერ, დედუკა არტისტულად, მოჩვენებით საიდუმლო ხმით დაიჩურჩულებდა, „იმედია, სკოლის დირექტორთან არავინ დამაბეზღებს ამისთვისო“, და დასცემდა ამ დროს კლასი ყიჟინას. თუმცა ისიც მშვენივრად იცოდა დედუკამ, რომ უკვე რამდენი წელი იყო, ბეწვის ხიდზე დადიოდა და სასწორზე დებდა თავსაც, მასწავლებლობასაც და დირექტორობასაც. ზოგჯერ გულში შიში ჩაუდგებოდა, იქნებ მოსწავლეებსაც? – მაგრამ ამაზე ფიქრსაც კი არიდებდა თავს.

***

ერთგული მოსწავლეებიც უფასებდნენ დედუკა მასწავლებელს ამ სულზე მოსწრებულ განსხვავებულ ურთიერთობას, რომლისთვისაც სახელი ვერ დაერქმიათ. იმას კი ხვდებოდნენ, რომ ძალიან,

ძალიან გაუმართლათ და დუმილით გამოხატავდნენ მადლიერებას უამრავი რამის ახლებურად და „არასაბჭოურად“ შეხედვის, მათი თითქმის ხელმეორედ დაბადებისა და თვალის ახელის გამო.

დედუკა მასწავლებელი რომ არა, ისინიც სხვებივით ათეული წლების დაგვიანებით გაიგებდნენ საბჭოთა ხელისუფლების სამარცხვინო საქციელს – საუკეთესო მწერლების, ხელოვანებისა და მეცნიერების უსასასტიკესად დასჯის, მათი სამშობლოს მოღალატეებად და გიჟებად შერაცხვის შესახებ; მისგან შეიტყვეს სწორედ ქართველი მეცნიერისა და მკვლევრის პავლე ინგოროყვას „სულელად“ გამოცხადების ფაქტი; უნიჭიერესი, ჯერ სულ ახალგაზრდა ბიჭის, პეტრე ოცხელის, სანდრო ახმეტელისა და სხვათა დახვრეტის, მხატვარ დავით კაკაბაძის სიღარიბეში სულის ამოხდომის, პაოლო იაშვილის, როგორც ვითომ „იდეოლოგიური მავნებლისა“ და „ხალხის მტრებთან“ ურთიერთობის გამო თვითმკვლელობამდე მიყვანის, ტიციან ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, ნიკოლო მიწიშვილისა და კიდევ ბევრი სხვა მოკლული და გადასახლებული მოაზროვნე და საუკეთესო ქართველების ამბავი;

დედუკა მასწავლებლისგან გაიგეს ასევე პირველად არაერთი უცხოელი და რუსი მწერლის გვარ-სახელი, მათი ტრაგიკული ისტორიები, მათი ნაწარმოებების ბედი; მასთან ერთად წაიკითხეს მარინა ცვეტაევას და ანა ახმატოვას ლექსები; გაიგეს მიხეილ ბულგაკოვის რომანის, „ოსტატი და მარგარიტას“ გადარჩენის ისტორია და ის, თუ საბჭოთა ხელისუფლებამ როგორ ათქმევინა უარი 1958 წელს ბორის პასტერნაკს ყველა მწერლისთვის საოცნებო ნობელის პრემაზე რომანისთვის „ექიმი ჟივაგო“; გაიგეს მარსელ პრუსტისა და სხვა უცხოელი ავტორების შესახებაც. ზოგჯერ, მართლა შეშინებული და ათრთოლებული ხმით ლაპარაკობდა მათი სათაყვანო დედუკა მასწავლებელი და სთხოვდა ახალგაზრდებს, „ნუ ჩაიწერთ, არ გინდათ, ზეპირად დაიმახსოვრეთ: ჯორჯ ორუელი – „1984“; კიდევ მისივე „ცხოველების ფერმა“...

მოსწავლეებმა ისიც იცოდნენ, რომ დედუკა მასწავლებელი, თავისი თეთრი ფეტრის შლაპით, კიროვის ბაღში, აკრძალული წიგნების საყიდლადაც დადიოდა და ხშირად, ბუკინისტებისგან ნაყიდ და მერე, თავადაც პირველად გაგონილ და წაკითხულ ავტორებსა და ნაწარმოებებზე აღფრთოვანებული უყვებოდა მათ. ზოგჯერ საიდუმლო „წაკითხვებს“ მასთან სახლშიც აწყობდნენ. „თუ გინდათ რომ მოაზროვნე ადამიანებად იქცეთ, აუცილებლად წაიკითხეთ ეს ავტორები – რამდენჯერმე გაუმეორებდა გვარ-სახელებს, რომ კარგად დაემახსოვრებინათ – როცა შეძლებთ, რომელ ასაკშიც მიგიწვდებათ მათზე ხელი“. აზროვნება – აი, რა იყო მისთვის მთავარი, ეს იყო მოსწავლეებისთვის წაყენებული მისი თხოვნაც და მოთხოვნაც, და მისი სწავლება მიაჩნდა მასწავლებლის უმთავრეს მოვალეობადაც.

***

წინა გაკვეთილზე დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსის“ შესახებ ჩააწვეთა მოსწავლეებს და ზარიც დაირეკა. ზოგჯერ ასე განგებ იქცეოდა ხოლმე, საინტერესო თემაზე ზარის დარეკვამდე რამდენიმე წუთით ადრე წამოიწყებდა ლაპარაკს, ინტერესს უღვივებდა ბავშვებს, ორ-სამ ციტატას, ნაწარმოების ან ავტორის გვარ-სახელს ეტყოდა და, იმაზეც თანახმა იყო, რომ მხოლოდ ეს მცირედი დაემახსოვრებინათ. ნდომით კი, რა თქმა უნდა, მეტი უნდოდა: უნდოდა, ბევრი ეკითხათ, თავისით ეპოვათ და მოეძიებინათ ნამდვილი ლიტერატურა, ეფიქრათ და საჭირო დასკვნებამდე და პასუხებამდეც თავად მისულიყვნენ. იმედი ჰქონდა, რომ „დავითიანის“, მაინც ყველა „იშოვიდა“ და „ქაცვია მწყემსის“ წაკითხვას თუ არა, გადახედვას მაინც შეძლებდნენ .

– „ქაცვია მწყემსზე“ არ გავაგრძელოთ, მას? წინაზე რომ დაიწყეთ... თავადვე წამოიწყეს ბავშვებმა საუბარი, სანამ თვითონ ჰკითხავდა რამეს.

– სიამოვნებით, მაგრამ თუ წაიკითხა ვინმემ პოემა? – გამომცდელად გადახედა კლასს.

– როგორ არა, მას, – გამოეპასუხა დედუკას მერხზე იდაყვებით დაყრდნობილი აწოწილი ბიჭი, ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლე გუჯა მოლაშვილი „მხიარული ზაფხულიდან“ ციტატით:

„ადგა, წავიდა, მუნ მალვით კაცი, / სადაც შერჭმოდათ ქალ-ყმათა ქაცვი, / მან გათიბა მოლი, / მათი დასაწოლი / მუნ განამზადა...

– გუჯას წაკითხულ ნაწყვეტს კლასელების ფხუკუნი და რეპლიკები მოჰყვა...

მერე მომცრო ტანის ნუკრი სიხარულიძე წამოხტა გურული სისხარტით, – ენაკვიმატი, ნიჭიერი და „ყველაფრისმცოდნე“, რომელიც წინა წელს გადმოვიდა დედუკას სკოლაში ოზურგეთიდან და რომელი საგნის ოლიმპიადაზეც არ უნდა წასულიყო, უმეტეს შემთხვევაში გამარჯვებული ბრუნდებოდა უკან. თან, რაღაცით ახალგაზრდა მამიას აგონებდა დედუკას გურული ბიჭი.

„ის გოგო ჩემზედ გახდა ორსული, / რა დრო შეიქმნა შობად მოსული / მე ვიშევ; სახელად / მათ დასაძახელად / მარქვეს „ქაცვია“.

– ლექსის თქმისას მხრებში საწყლად მოიხარა ნუკრი მხრებში, გლახაკისა და ყარიბის გამომეტყველება რომ მიეღო. კლასმა გადაიხარხარა. დედუკაც აჰყვა მოსწავლეებს სიცილში, თან სხვების გამოწვევასაც ცდილობდა, მაგრამ ვეღარავინ გაბედა, გოგოები ვარდისფრად ატკრეცილ ლოყებზე ხელებს იფარებდნენ და უხერხულად იმმუშნებოდნენ. მაშინ დედუკამ, როგორც იცოდა ხოლმე, წყნარი, მშვიდი ხმით თვითონ დაიწყო ლაპარაკი და მოსწავლეებიც ნელ-ნელა ჩაწყნარდნენ:

არაფერია, ბავშვებო, აქ დასარცხვენი და საუხერხულო. ეს ლიტერატურაა, ნამდვილი ლიტერატურა და „ნუკრის ჟესტებიც, რომლითაც მან გლახაკს მიბაძა, თითქმის ზუსტი იყო. თუმცა

მსახიობის ოსტატობა ბოლომდე ვერ გამოავლინა, ჯობდა, ბარემ კომბალიც შემოედო მხარზე, ან ზედ დაყრდნობოდა, რადგან „ქაცვია მწყემსი“ ბუკოლიკური პოეზიის ნიმუშია, პოეზიის ისეთი ჟანრისა, სადაც სოფლური, მწყემსური ცხოვრებაა გაიდეალებული. მსგავსი პოეზიის ნიმუშები არაერთი მოიპოვება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, მაგრამ ჩვენ ჩვენსაზე, და, მე ვიტყოდი, გენიალურზე, ვისაუბროთ. უფრო სწორად, პოემასთან დაკავშირებით ჩემს აზრს ნაკლებად მოგახვევთ თავზე და შევეცდები, ჩემზე ბევრად კომპეტენტური რამდენიმე ფილოლოგისა და მეცნიერის აზრი მოგახსენოთ, რომელთაგან ზოგიერთი გვარ-სახელი თქვენთვის უკვე ნაცნობია.

მაგალითად, კორნელი კეკელიძე „ქაცვია მწყემსზე“ ამბობს, რომ ეს „ხალხის წიაღიდან წამოსული მშვენიერი იდილია და პოემა, სამწუხაროდ, არაბუნებრივი გამოვიდა; თავი იჩინა „ასკეტური მორალის ზეგავლენამ“ და „მშვენიერს, ლამაზს და მოხდენილს თავს უხეში და ტლანქი ტანი“ მიებაო ; მაგრამ იქვე მეცნიერი ავტორს იმის გამო აქებს, რომ ის, სამშობლოდან „ქაცვია მწყემსის“ დაწერამდე დიდი ხანით ადრე მოშორებით მყოფი, კვლავ საოცარი „უშუალობთ“ განიცდის „საყვარელი სამშობლოს სურათებს, მის პეიზაჟს, მის დამატკბობელ სურნელებას, მის ზნე-ჩვეულებას“, გეგონებათ, თვითონაც ისევ ტრიალებს „დახატულ გარემოში“ და თვითონვეა უშუალო მონაწილე აღწერილი ამბებისაო;

გიორგი ლეონიძეც ასკეტიზმზე ამახვილებს ყურადღებას, და იმავე დროს კი ამბობს, რომ ეს პოემა „ხორცის და სიყვარულის ჰიმნია“, მასში ქართული ყოფა-ცხოვრებაა მოცემული და ის შეზავებულია ქართულ-ხალხური იუმორითო; კიდევ ერთი მეცნიერი, გიორგი ნატროშვილი, დარწმუნებულია, რომ „მხიარულ ზაფხულში“ ასახული ყოფა და წეს-ჩვეულებები „სცილდება ქართულ სინამდვილეს და ჩვეულებებს“ მაგრამ ის მაინც პირველი საყოფაცხოვრებო პოემაა ქართულ ლიტერატურაშიო.

საერთო ჯამში, ყველა მეცნიერი და მკვლევარი მაინც ერთხმად აღიარებს იმას, რომ ეს თხზულება „სრულიად ახალი მოვლენაა როგორც დავით გურამიშვილის შემოქმედებაში, ისე ძველ ქართულ ლიტერატურაში“, რომელსაც მეც ვეთანხმები და არც თქვენ გაქვთ საფუძველი არ ენდოთ მათ, ხოლო ის, რაზეც თქვენ „ანცობთ, წითლდებით და უხერხულობთ – ვგულისხმობ ქალისა და ვაჟის სასიყვარულო ურთიერთობას – პოეტის მიერ სუფთა და ბუნებრივ გრძნობად არის მიჩნეული და იმასაც დავძენ, რომ სწორედ ბუნებრიობა განსაზღვრავს ზოგადად ადამიანის სულის სიჯანსაღეს.

რა თქმა უნდა, არ გთხოვთ, რომ ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი შეხდულება გაიზიაროთ; მე უბრალოდ, შევეცადე თქვენს დაკვალიანებას, გზის გაკაფვას; მინდა ერთხელ კიდევ წაიკითხოთ პოემა, იფიქროთ მასზე, ამ კომპეტენტური ადამიანების შეხდულებებიც გაიხსენოთ და მომავალ თავისუფალ გაკვეთილზე თქვენი აზრი პოემის შესახებ, უკვე წერილობით მომაწოდოთ.

– აუ, მას, ჯერ არ დაასრულოთ რა, ჯერ ზარი არ ყოფილა, – წამოიძახა უკანა მერხიდან ზარის მალე დარეკვის შიშით წინასწარ გამწყრალმა ზაზა მანჯავიძემ.

– იქნება ახლავე, – პირღიმილით, საათზე დაუხედავად უპასუხა დედუკამ მასწავლებლის თითქმის ათი და დირექტორის ხუთწლიანი სტაჟის წყალობით გამომუშავებული შეუმცდარი ალღოთი, და რამდენიმე წამში ზარიც დაირეკა.

***

ბავშვები მალევე გაიკრიფნენ კლასიდან. დედუკას კიდევ უფრო მოერია უძალობა. ფანჯარა გამოაღო და ცოტა ხნით გაჰყურებდა დაახლოებით ორას მეტრში მდგარ თავის ახლადაშენებული კორპუსის რუხ კედელს. – „რატომ აშენებენ ასეთი რუხი ფერის კორპუსებს, რატომ არ ღებავენ წითლად, ყვითლად, ვარდისფრად? – კიდევ კარგი, ბინაში მაინც საჩემო სიმყუდროვე და სიმშვიდე მაქვს, – გაიფიქრა კმაყოფილმა. უცებ ძალიან მოუნდა, უკვე თავის ოროთახიან ბინაში ყოფილიყო, მწვანე დივანზე წამოწოლილი და მამია ნაკაშიძეზე ფიქრს მისცემოდა, თავის ქაცვია მწყემსზე, მასზე, ვისაც სკოლის გარდა მთელი მისი ცხოვრება ეძღვნებოდა. მოულოდნელად გულთან ისეთი ძლიერი ჩხვლეტა იგრძნო, ხმამაღლა შეჰყვირა. – „მერამდენე წელია ამ დღეში ვარ და თავს ყურადღებას არ ვაქცევ“. წასვლის დრო იყო. სადაცაა შესვლის ზარიც დაირეკებოდა. სამასწავლებლოში ჩასულმა ვალერიანის წვეთები დალია. მერე დიდხანს იჯდა გაუნძრევლად თავის პატარა კაბინეტში უღონო, დაღლილი, გამოცარიელებული. მამიაც კი ვეღარ მოიახლოვა ფიქრით. და როგორც სხვა დროს ხდებოდა ხოლმე, ახლაც თავისით ამოტივტივდა შესაბამისი სტროფი გონებაში „ვეფხისტყაოსნიდან“:

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ვეღარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან, -
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე-მლმობელმან“...

იმ დღეს ერმონამ მიაცილა საღამოს სადარბაზომდე.

***

სკოლაში მუდამ ენერგიული და საქმიანი დირექტორი, სახლში ზანტ, ცრემლებისყლაპია უსუსურ ქალად იქცეოდა ხოლმე. არადა, ახალგაზრდა ეთქმოდა ისევ დედუკას. ლამაზიც კი. ხორბლისფერი, ჭორფლიანი კანი, ზოგჯერ გოგოს იერსაც აძლევდა. ახალგაზრდობიდან მოყოლებული ხევსურულ ვარცხნილობას ატარებდა – ისევ თავის ბუნებრივ, წითურ ფერად იღებავდა თმას, შუბლზე მოკლედ იჭრიდა და უკან შალის ნაჭრებით იკრავდა, რომელზეც ფარდაგის ორნამენტებს – შიბას, ქისტაურას, კვერას ამოაქსოვდა ხოლმე თავისი ხელით; ხან ხელთათმანებსაც ჩააყოლებდა ან თბილ კაშნეს ბოლოებში, როცა ქსოვის სურვილი წამოუვლიდა და დროც ჰქონდა.

სტუდენტობისას ჯვრიან ორნამენტებს გახამებული თეთრი პერანგის მაჯებზე და გულსა და საყელოზეც იმაგრებდა. ცდილობდა, კაბებიც ხევსურულ სტილში შეეკერა. არ ადარდებდა, მოსწონდა თუ არა ვინმეს მისი ტალავარის სტილში შეკერილი სამოსი. ზაფხულში მარტო სადიაცოს მსგავსად შეკერილ თხელი ნაჭრის კაბას ატარებდა, ამოქარგული გულისპირითა და კაბის კალთებზე მიკერებული ჯვრიანი არშიებით, გაზაფხულსა და შემოდგომაზე კი გვერდებზე შეხსნილ, მაღალწელიან და მოკლესახელოიან შალის ან ნაქსოვ ქოქლოს, ან უფრო გრძელსახელოიან, ფაფანაგის მაგვარ შემოსაცმელს შემოიცვამდა, გათანამედროვებულს, შესაშურად ლამაზს. ბაჭიჭებს მარტო სახლში იცვამდა, გარეთ გასასვლელად კი დაბალქუსლიან, ტყავის შესაკრავიან ფეხსაცმელებს მშვენივრად უხამებდა ვერცხლის სამკაულებითა და მონეტებით დამშვენებულ ხან შინდისფერ, წითელ, ხანაც შავი და ფერადი ნაჭრებით გაწყობილ კაბებს. სათაურა და მანდილიც ჰქონდა და თუ სტუმრად მიყვანილი მეგობრები სთხოვდნენ, მაშინ თავსაც შეიბურავდა ხოლმე და ნამდვილ ხევსურის ქალად გადაიქცეოდა.

ასე გამოწყობილი და ყელმოღერებული ნახა ერთხელ მასთან სახლში სტუმრად მისულმა კურსელი გოგოს ბიძაშვილმა, ნატანებელმა მამია ნაკაშიძემ. დაამუნჯა გადარეული ოხუნჯი ბიჭი დედუკას უცნაურმა სილამაზემ, ენა წაართვა. იმ საღამოსვე ჩაუვარდა გულში ხევსური გოგო. დედუკას ბავშვური ხელით ვნებიანად გაწელილი გარმონი კი ბოლო წვეთი აღმოჩნდა მომავალი მათემატიკოსისთვის და სულ რაღაც ნახევარ წელიწადში, არც ისე ბევრი პაემნისა და სახლში სტუმრობების შემდეგ, მამიამ დედუკას ცოლობა სთხოვა.

***

მუდამ დედის ხათრის მქონე ბიჭი სიცოცხლეში ალბათ პირველად არ დაემორჩილა მთელს ოზურგეთში სიამაყით ცნობილ პროვიზორ დედას, თავისი გაიტანა და საოცნებო გოგო ცოლად შეირთო. სტუდენტური, ღარიბი ნიშნობა-ქორწილი ერთად გადაიხადეს. მარტო დედუკასიანები იყვნენ თიანეთიდან ჩამოსულები, მამიას მხრიდან მხოლოდ მისი და, ნელი, და რამდენიმე საერთო მეგობარი მეჯვარეებთან ერთად. მამა არცერთს აღარ ჰყავდა. პრინციპულმა დედამთილმა დაიქადნა და აასრულა კიდეც: არ გაიკარა ახლოს „სხვა ქვეყნიდან“ მოყვანილი მომცრო ტანის, წვრილძვალა და წითურთმიანი მთიელი ქალი. ფითქინა, ჯიშიან ქალად ჰყავდა წარმოდგენილი საოცნებო სარძლო, და აუცილებლად ექიმად.

სანამ სტუდენტები იყვნენ, მამიას და დედუკას სიყვარულს არაფერი ემუქრებოდა. დახვდებოდნენ სადგურში დედუკას დედის, მზექალის გამოგზავნილ სანოვაგით სავსე ჩანთას და აჰყვებოდნენ ტრამვაის ახალუბანში ნაქირავებ ბინაში. თუ საჭირო მასალა ჰქონდა, დედუკა მამიას საყვარელ ვაშლის ნამცხვარსაც გამოუცხობდა, წიწილასაც დაბრაწავდა, ყველს დაჭრიდა და მამიას მარტო თავის საყვარელ, ცხარე საწებელსღა უტოვებდა ახლიდან შესანელებელი. ასეთ სუფრას მარტო ხომ არ შემოუსხდებოდნენ, ეპატიჟებოდ-

ნენ მეგობრებსაც, კარის მეზობლებსაც და მოსიყვარულე ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ბედნიერებისთვის ეს ყველაფერი კმაროდა.

წყვილს კიდევ ერთი საყვარელი გასართობი ჰქონდა, რომელიც სიხალისეს ჰფენდა მათ ყოფას – „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებით „გაბაასება“ თუ „შესიტყვება“, ხან ერთ სახელს ეძახდნენ და ხან მეორეს, მაგრამ მხოლოდ მარტო დარჩენილები თამაშობდნენ მას. ამასობაში კი მამია ისე გაიწაფა პოემის ცოდნაში, რომ დედუკას ზოგჯერ ჯობნიდა კიდეც. მათი ყველაზე ცნობილი და ბევრჯერ გამოყენებული შესიტყვება ასეთი იყო: როცა ფული შემოელეოდათ – მიუხედავად იმისა, რომ სტიპენდია ორივეს ჰქონდა, მაინც ხშირად ხდებოდა ასეთი რამ – და მამია ნერვიულობას იწყებდა, დედუკა ეტყოდა:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?
სჯობს, საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!“

მამია კი გაეპასუხებოდა:

„აჰა, მკვდარი გამაცოცხლე, ამას იქით აღარ ვბნდები,
რასაცაღა სამსახურსა, ვტყუვი, თუღა ვერიდები“...

ასე უადვილებდნენ ერთმანეთს არსებობას.

***

მიუხედავად მცირე დანაზოგისა, მაინც თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ადიოდნენ თიანეთში. განსაკუთრებით გაზაფხულსა და შემოდგომაზე მიუწევდათ გული – უყვარდათ ჯერ უმანკო და ნაზი სილამაზით მოჩითულ, მერე კი წითელ-ყვითლად დაფერილ ტყეში საათობით ჯდომა. ყვითელ ავტობუსს მძღოლს საბადურებთან გააჩერებინებდნენ, წინა დღით დედუკას გამომცხვარ, საგზლად წაღებულ კარტოფილის ღვეზელებს შეჭამდნენ, ისეირნებდნენ და მომდევნო ავტობუსს გაჰყვებოდნენ თიანეთისკენ; ჩავიდოდნენ ხალისიანები, დედუკას ისედაც უსიტყვო დედას სიხარულისგან კიდევ უფრო დაამუნჯებდნენ და კვირა საღამოს უკან წამოვიდოდნენ. ზოგჯერ, როცა დედუკას არ სცალოდა, ან მაშინ, ორსულად რომ იყო და ავტობუსით ჯაყჯაყი არ შეიძლებოდა მისთვის, მამია რამეს მოიმიზეზებდა სახლიდან გასასვლელად, გაჰყვებოდა თიანეთის ავტობუსს, შუა ტყეში ჩამოსული, მგზავრების გაოცებულ მზერას გაიყოლებდა და მშობლიური ყვავილებით ხელში დაადგებოდა მერე თავზე დედუკას. ზოგიერთი კაცივით ჯიბეში ან ჩანთაში არასდროს დამალავდა ყვავილებს და თუ ვინმე ჰკითხავდა, მზად იყო ეპასუხა, რომ საყვარელი ცოლისთვის მიჰქონდა. კონებად შეკრულს ჩაუტანდა თავის ხევსურქალას იებს და ფურისულებს, თან წინა ღამით მუყაოზე მალულად დაწერილ პატარა სამიჯნურო ბარათსაც დაურთავდა „ვეფხისტყაოსნიდან“ ორივესთვის საყვარელი რომელიმე სტროფით: მაგალითად, პროლოგიდან:

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,
ენა გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა“.

და დედუკაც არ დააყოვნებდა თავისი ალვისტანიანი, იელისფერთმიანი მიჯნურის ქებას და ალერსს.

ერთხელ, ახალშეუღლებულებმა თავი მოიგიჟიანეს. წინა დღეს თიანეთიდან ხელისგულისოდენა გვირილები და ივრისპირზე გაზრდილი მინდვრის ყვავილები ჩამოიტანეს. სიყვარულით იყვნენ სავსეები და კიდევაც სწყუროდათ ალერსი. საღამოს მსუბუქად წაიხემსეს, კახეთიდან მეგობრის ჩამოტანილი ღვინოც მიაყოლეს. შეეფაკლათ ლოყები ორივე ცოლ-ქმარს, გათამამდნენ, თვალი თვალში გაუყარეს ერთმანეთს. მამიამ გაუბედა და სთხოვა, ღამის სანათს ნუ ჩააქრობ, შიშველს მინდა შეგხედო ხევსურის ქალოო. ვითომ იწყინა ნათქვამი დედუკამ, ვითომ გაუბრაზდა საყვარელს. მალე მოვალო, უთხრა და გავიდა საძინებლიდან. გაიძრო სამოსი, გაშლილ თმებზე გვირილები შემოიწნა, წელზე -ხევსურული ვერცხლის ქამარი, შიშველ ტანზე ქოქლო შემოიცვა და ალივით აესევეტა საწოლთან ბედნიერ ბიჭს. თითქმის ისე იყო ყველაფერი, ან ზუსტად ისე, როგორც თინათინი დახვდა მასთან შესულ ავთანდილს:

გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საჭირონი,
ჰშვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,
და მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი არ-უხშირონი.

მერე კი...

ქალმა მისცა მარგალიტი,სრულ-ქმნა მისი საწადელი,
ღმერთმა ჰქნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი!

მეორე დღეს, ინსტიტუტში მისული ბრწყინავდა ბედნიერებისგან. სხვაც ბევრი ასეთი დღეები და ღამეები ახსოვდა დედუკას მამიასთან ერთად გატარებული.

***

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მამიას დედამ გავლენიანი ნათესავების დახმარებით შვილი მშობლიურ სოფელში გაანაწილებინა სამუშაოდ მათემატიკის მასწავლებლად. დედუკა კი თბილისში დარჩა და იქვე დაიწყო მუშაობა. თავიდან მამია ხშირად ჩადიოდა ქალქაში და დედუკაც საკუთარი ხელით მოხვეულ, მამიას საყვარელ ხევსურულ ხინკალს ახვედრებდა თავის იელისფერთმიან მწვანეთვალება ბიჭს. ეგონათ, ეს მდგომარეობა დროებითი იყო და მალე ისევ სულ ერთად იქნებოდნენ, მაგრამ უფრო და უფრო ხშირად ცივდებოდა პატარა მაგიდაზე დიდი ხონჩით და ხონჩაზე უფრო დიდი სიყვარულით მოხვეული ხინკალი. მამია დაპირებულ

სიტყვას ვეღარ ასრულებდა, ვერ ჩამოდიოდა დათქმულ დროს. მერე კი ერთხელაც, დიდხანს აღარ ჩამოვიდა. სულ დარჩა თავის გურიაში, თავის ნატანებში, თავის დედასთან, რომელმაც სოფელში ძლივს ჩატყუებული ბიჭი უკან არაფრით აღარ გამოუშვა. ამას წინ უსწრებდა მათი უდღეური ბავშვის დაბადება, რასაც ერთმანეთის მიმართ საყვედურებიც დაემატა და ნელ-ნელა გაბზარა ორი მასწავლებლის სიყვარული, რომელსაც რამდენიმე წლის წინ „სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე – ნაჭედისა“, და რომელიც ლეგენდად დადიოდა უნივერსიტეტში.

თავიდან ჯერ კიდევ იყო მათი ურთიერთობის გადარჩენის იმედი. მამია გაკვეთილების შემდეგ, თითქმის ყოველ საღამოს ერთსა და იმავე დროს მიდოდა ფოსტაში დედუკასთან დასარეკად. შეუკვეთავდა თბილისს და დედუკაც უკვე ტელეფონთან მდგარ ტუმბოზე ჩამომჯდარი ელოდა. სამი-ოთხი წუთიც რომ გადასცილდებოდა, ნერვიულობას იწყებდა. ჩამოსვლითაც თითქმის ყოველ შაბათ-კვირას ჩამოდიოდა.. მერე და მერე კი ვეღარც რეკავდა და ვერც ჩადიოდა. ნელ-ნელა ეგუებოდა მოყვარული ცოლქმარი ახალ, უჩვეულო უერთმანეთო რეალობას, რომელსაც ცხოვრება ერქვა. ერთ მშვენიერ დღეს კი დედუკამ მამიას დისგან, რომელთანაც ისევ აგრძელებდა მეგობრობას, გაიგო, რომ მამიამ სოფელში სხვა ცოლი მოიყვანა. მამიას ტყუპი ბიჭების ამბავიც ისევ ყოფილი მულისგან შეიტყო ტელეფონით. ბედნიერება და ჯანმრთელობა უსურვა მათ. მერე კი, ყურმილი რომ დადო, კომოდის უჯრის ბნელ კუთხეში შვილის ჩაუცმელი წინდა მოძებნა, გულში ჩაიხუტა და ცხარე ცრემლებით კიდევ ერთხელ გამოიტირა თავისი ყოფა:

ვა, სოფელო, რას შიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადათ ძირსა!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა.

ჩაიმდუღრა ტრილით გული დედუკა ბექაურმა, მერე ჯვრებიანი სადიაცოს კალთით ამოიწმინდა ცრემლები, გამაგრდი, შამშე ბექაურის ქალოო, უთხრა თავს და უსმინა კიდეც. ძალით გაიქვავა გული, თითქოს უფრო მთავარზე, სკოლასა და მოსწავლეებზე გადაერთო დედუკა, მაგრამ ვერ დაივიწყა მამია. რა ექნა, თუ მისთვის სიცოცხლეც მამიათი იწყებოდა და „ვეფხისტყაოსანიც“.

ერთ საღამოს როცა გვერდიგვერდ ისხდნენ დივანზე და ბიჭი მის ხელს ეფერებოდა, დედუკამ მამიას უთხრა: ჩემო მათემატიკოსო და იელისფერთმიანო ბიჭო, ერთხელაც, თუ დადგა ისეთი დრო, როცა ისევ ასე ვისხდებით ერთმანეთის გვერდით და შენ აღარ მოგინდება ჩემი ხელის ხელში ჩადება და მოფერება, როცა იტყვი, რომ ხელი მიოფლიანდება ან დამეღალა, ან მე დავიღალეო, მაშინ იცოდე, რომ ჩვენი სიყვარულიც დამთავრდება. მამიას ამის თქმა და შეხსენება სულაც არ სჭირდებოდა, რადგან თუ ასე მოხდებოდა, თვითონ დედუკაზე მალე მიხვდებოდა ამას. წამში გამოითვლიდა D-პუნქტიდან M-პუნქტამდე შემცირებულ გულისცემას და ხელში ჩადებული ხელიდან გადაცემულ სიყვარულის ძალას. მაგრამ მამია დარწმუნებული იყო, რომ ეს არასოდეს მოხდებოდა. ამიტომაც ცამდე მართალი, კრიალა ღიმილს შეანათებდა ხოლმე დედუკას და მფრთხალ და მშიშარა მიჯნურს ეძახდა.

***

იმ დღის მერე, სკოლიდან რომ გამოაცილა ერმონამ, შვებულება აიღო დედუკამ და სკოლა სასწავლო ნაწილს ჩააბარა. ეგონა, რომ დაისვენებდა, ძალებს აღიდგენდა და ჯანმრთელი დაბრუნდებოდა. გულის არეში გამუდმებული წიწკნა ისევ მამიას მონატრება და იმ ტკივილების შედეგი ეგონა, რაც მისმა დაკარგვამ, მის გარეშე ცხოვრებამ, ბავშვის დაღუპვამ, და ცოლის მოყვანამ უსახსოვრა. თიანეთში წავიდა. იფიქრა, დედასაც ვნახავ და მშობლიურ სუფთა ჰაერსაც ჩავყლაპავო. რაღაც შეღავათი მაინც მისცა დასვენებამ. ორი კვირა გაძლო და ჩამოვიდა ისევ თბილისში. უარესად გახდა. საღამოობით სიცხეს აძლევდა, ოფლიანობდა. შეგრძნებაც უსიამოვნო ჰქონდა, ყველაფერზე ღიზიანდებოდა.

ჩივილების მიხედვით ერთი ექიმიდან მეორესთან გაგზავნილმა, ბოლოს მამოლოგამდე მიაღწია. ანალიზები დადებითი იყო მარცხენა ძუძუს სიმსივნეზე. ოპერაციაზეც ერმონა ადგა თავზე. სახლში დაბრუნებულსაც ის უვლიდა. დედაც ვერ დაიტირა დედუკამ, საოპერაციოდ რომ დაწვა სწორედ მაშინ გარდაიცვალა მზექალი. ვერც დედამ გაიგო შვილის ტკივილი, მშვიდად წავიდა იმქვეყნად ტკბილი და ჩუმი მოხუცი. ერმონა მოდიოდა დილა-საღამოს, საჭმელიც მას მოჰქონდა, დაბანაშიც ეხმარებოდა. დედაქალაქში გათხოვილი ყოფილი მულიც შეეხმიანებოდა ხოლმე ხანდახან, რომელთან ურთიერთობაც, მისივე ინიციატივით გაგრძელდა. მამიას ამბებსაც მისგან იგებდა. თვითონ არაფერს ეკითხებოდა, რასაც ნელი ეტყოდა, იმით კმაყოფილდებოდა. სხვა მასწავლებლებიც აკითხავდნენ. მოსწავლეებიც მოდიოდნენ. თავისი კლასიდან თითქმის ყველამ ინახულა. გაუთავებლად მოლაპარაკე ნუკრი სიხარულიძე ახლა დადუმებული იჯდა სავარძელში და ზედ გადაფარებული ფარდაგიდან ამოჩრილ ძაფებს ნერვიულად წეწავდა. ბოლოს, გამომშვიდობებისას, მაინც შეძლო გახუმრება: „მას, „ქაცვია მწყემსი“ არ დაგვიმთავრებია და გელოდებითო.

***

ერთხელაც შემოუძახა თავს დედუკამ, ოღონდ ახლა აღარ ჰქონია იმის იმედი, რომ ამ შემოძახებას ძალა ან აზრი ჰქონდა. მაინც გაგრძელდა ცხოვრება დედუკასთვის, მაგრამ ახლა არა მხოლოდ მამიას გარეშე, არამედ სკოლის გარეშეც, მოჭრილი ძუძუს გარეშეც, თმის გარეშეც, და იმედის გარეშე. დაიფანტნენ მეგობრებიც. ყველაზე ხშირად ისევ ერმონა შემოურბენდა ხოლმე, ბოდიშს უხდიდა მეგობარს, ოჯახს და სკოლის საქმეს დიდი დრო მიაქვსო. მარტო იყო დედუკა, სულ მარტო...

***

მამია ერთფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობდა ნატანებში. დილით სკოლაში წავიდოდა, გაკვეთილებს ჩაატარებდა, მერე ეზოში დაფუსფუსებდა. ბოსტანს, ხეხილს, ახალჩაყრილ თხილებს უვლიდა. უმეტესად მარტო იყო სახლში. ცოლი ოზურგეთში რჩებოდა ხოლმე დედასთან, ბავშვებისთვის იქ კარგი პირობები მაქვსო. არ ემდუროდნენ ერთმანეთს ცოლ-ქმარი, უბრალოდ, ისე იყვნენ, როგორც იყვნენ. სასურველ რძალს დედამთილმაც ვერ უყურა დიდხანს, ასაკში ყვავილი შეხვდა და საშინელი სიკვდილით მოკლა - დამახინჯებული და სახეამოჭმული.

მოსწონდა მამიას მარტოობა. მიეჩვია და ასეც ერჩივნა. ბავშვების მონატრების სურვილსაც შაბათ-კვირას იკმაყოფილებდა, ჰყოფნიდა ორი დღე, როცა ხან ცოლი მოჰყავდა სახლში, ხან კი თვითონ ჩააკითხავდა და რჩებოდა ერთი ღამით ოჯახთან. სკოლაშიც იქ შეიყვანეს ბიჭები, რაიონში უკეთესი სკოლააო. უცნაური ურთიერთობა იყო – ეს ცოლიც ჰყავდა და არ ჰყავდა. შვილები უყვარდა და ყველაფერს აკეთებდა მათთვის, მაგრამ გულგრილი გახდა მამია. უემოციო, უსიტყვო. აღარ ჰქონდა არავისთან და არაფერთან შეწინააღმდეგების არც თავი და არც სურვილი.

თავისი ხელით ირეცხავდა, იუთოვებდა, იცხობდა მჭადს, ყველიც ამოჰყავდა , წიწაკის მჟავესაც დებდა, ლობიოც ბევრი მოჰყავდა. ხმელ ფულად კი მასწავლებლის ხელფასი ჰქონდა. ჯერჯერობით ოჯახი მშიერი არ ჰყავდა. არც არავინ ემდუროდა. უსაქმოდ არასოდეს რჩებოდა, რომ ბევრი არ ეფიქრა. მაგრამ ხანდახან მაინც გაჰყვებოდა დედუკაზე ფიქრს, კბილებს აღჭიალებდა სიმწირისა და უძლურებისგან. ენატრებოდა თვისი წვრილმაჯეება, წითური გოგო. დედუკას ნაჩუქარ, მისივე ხელით გადაწერილ „ვეფხისტყაოსანს“ გადმოიღებდა, თუ ამინდი იყო, დაჯდებოდა ეზოში, თავის საყვარელ ადგილას, ხეჭეჭურის ძირში, და ალალბედზე გადაშლიდა რვეულს რომელიმე გვერდზე. გაიხსენებდა იმ დროს, როცა ის და დედუკა „შესიტყვებებით“ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. უმეტესად რატომღაც ნესტან-დარეჯანის წერილზე იშლებოდა ხოლმე რვეული თავისით, და ჩაიკითხავდა მამიაც:

ჰე ჩემო, ესე უსტარი, არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქვს კალამი – ნაღველსა ამონაწები
მე გული შენი ქაღალდად გულსავე ჩემსა ვაწები, –
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები!“

მერე კი თვალი თავისით ეძებდა განწყობის შესაბამის სტროფებს, ყველაზე უფრო მდუღარეს და გულ-გვამისთვის გვრემის მომგვრელს:

ჰხედავ, ჩემო ვით გაგყვარნა სოფელმან და ჟამმან კრულმან?
ვეღარ გნახე საყვარელი მხიარული მხიარულმან,
ნეტარ რა ქნას უშენომან გულმან, შენგან დალახვრულმან!
გაგიცხადა დამალული, გონებამან დაფარულმან“.

...შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდე გახსოვდე, მე შენგან დაკარგული სად;
ვზი მზრდელად სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად“...

თვალებს რომ ცრემლები დაუბნელებდა, რვეულს დახურავდა და ახლა საკუთარი გულიდან ამოსულ სიტყვებს გაუთავისუფლებდა გზას: მიყვარხარ, ცა, ისევ მიყვარხარ ჩემო წითურთმიანო ხევსურის ქალო... ღმუოდა მიწაზე პირქვე წამხობილი მამია ნაკაშიძე და მდუღარე ცრემლებით რწყავდა ხის ძირს, რომლიდანაც ერთხელაც ჩამოვარდებოდა და სასიკვდილოდ დაიმტვრეოდა.

***

ისევ დამძიმდა დედუკა. ისევ ერმონამ წაიყვანა ექიმთან. საოპერაციოდ აღარ გაუგზავნიათ. სახლში იწვა დაჩიავებული, სახეჩამომჭკნარი და დღითი დღე სულ უფრო მეტად დაპატარავებული შიშველი ხელებით და გაფართოებული თვალებით ებრძოდა სიკვდილს.

– ერმონა, მამია როდის ჩამოვიდა, ვერ გავიგე. შენ გაუღე კარი?
– მოესმა ერთ დილით სამზარეულოში მყოფ ერმონას დედუკას მისუსტებული ხმა.

– არა დედუკა, აქ არავინ არის, მამიას აქ რა უნდა.

– როგორ არა, ამ წუთას გავიდა ოთახიდან, ჩანთიდან მსხალს ამოვალაგებო. შენი საყვარელი ხეჭეჭური და ჩემი ამოყვანილი ყველი მოგიტანეო. გამოუღე კარადიდან თეფში, თუ ჩემი და ხარ, ეშიება, ნამგზავრია. წვნიანი გაზზე დგას ქვაბით, უყვარს მამიას ჩემი გაკეთებული წვნიანი, თან შეციებული იქნება და გათბება.

– არა, დედუკა, მამია აქ არ არის – ხმა აუკანკალდა ერმონას.

– ეხლა მაგას უნდა, ჩამეხუტოს და შენი ერიდება. ხომ იცი, როგორი ზრდილი გურულია. ცოტა ხანი დაგვტოვე ერმონა და კარი გაიხურე... მოდი, მამია, მოდი, მაგრამ იცოდე, ჩემს ჭრილობას არ გაჩვენებ, ისეთი მინდა გახსოვდე, როგორიც ვიყავი. მატო მომეხუტე და ხელი მომეცი... სად არის შენი იელისფერი ქოჩორი? – ხელი ჰაერში აასავსავა დედუკამ...

კართან ატუზულ ერმონას უკვე მთელი ტანი-ფეხი უცხაცახებდა. დედუკასთან ახლოს მისვლა ვერ მოეფიქრებინა თუ ეშინია და იქიდან უყვიროდა მეგობარს: ნუ მაშინებ, დედუკა, ეტყობა მაღალი სიცხე გაქვს, მოიცა, პირსახოცს ჩავასველებ ცივ წყალში და შუბლზე დაგადებ.

– არა, წადი შენ, ერმონა, მამია დარჩება ჩემთან... ჩემო იელისთმისფერავ, ისევ აქ ხარ, ისევ ჩემთან ხარ, ისეა ყველფერი, როგორც იყო, როგორც გვინდოდა... და მერე წყნარი, მოტირალ-მოღიღინე ხმით დაიწყო დედუკამ:

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,
განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თუ წბილი!
მუნა გნახო, მადვე გსახო, გამინათლო გული ჩრდილი,
თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილი-მცა მქონდა ტკბილი!

მე სიკვდილი აღარ მიმძიმს, შემოგვედრებ რათგან სულსა,
მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამრჩა გულსა;
მომეგონოს მოშორვება, მემატების წყლული წყლულსა;
ნუცა მტირ და ნუცა მიგლოვ, ჩემო, შენთვის დაკარგულსა!“

– მარტო ხელი არ გამიშვა, ხელი არ გამიშვა, ხომ შემპირდი, არ გაგიშვებო... როდის-როდის მოიფიქრა ერმონამ და გაღიმებულ დედუკას ხელში შერჩენილი სველი სპირსახოცით დაუხუჭა თვალები. შიშველი ხელით ვერ გაბედა, შეეშინდა რაღაცნაირად.

***

დილით ადრე ადგა მამია. ხეჭეჭური უკვე ძირს ცვიოდა და ჩამოვკრეფო. ხეზე სიარულის არასოდეს შინებია. ფეხი მტკიცე ჰქონდა. ზევიდან ჩამოვყვებიო, იფიქრა და სადამდეც ფეხს მოიკიდებდა, იქამდე აძვრა. ცოტა ხანს დაისვენა. პირველი რამდენიმე მსხალი ცალი ხელით ერთად მოწყვიტა და კალათში ჩასაყრელად წინ გადმოიხარა, ამ დროს ჩამოუტყდა ტოტიც. გულბოყვით დაეცა მიწაზე. გონება არ დაუკარგავს. იწვა ხუთი-ათი თუ თხუთმეტი წუთი, არ ახსოვს ზუსტად, რამდენი წუთი. სუნთქვა უჭირდა, ნეკნების ადგილას და მკერდში მწარე და ყრუ ტკივილს ერთად გრძნობდა. როგორც იქნა ფორთხვით მიაღწია ოდამდე. ბედად მეზობელმა მოაკითხა. ნატანების საავადმყოფოში რემონტი იყო და ოზურგეთში წაიყვანეს პირდაპირ მამიას მანქანითვე. ცოლს ფოსტიდან დაურეკეს, ასეთი ამბავია და საავადმყოფოში დაგვხვდიო. წასვლის წინ დამაყუჩებელი გაუკეთა ვიღაცამ. ცოტა ჩაუწყნარდა ტკივილი, თითქოს რულიც მოერია. თავშეკავებულად კვნესოდა მანქანის უკანა სალონში გვერდულად მიწოლილი, განაცრისფრებული მამია, ცდილობდა, მეზობლები არ შეეწუხებინა.

– თენგიზა, ძამა, – მოესმა წინ მჯდარ მეზობელს უცებ მამიას ხმა.

– გისმენ, მამო, – სხარტად მოუბრუნდა მეზობლის კაცი, გიჭირს რამე, გინდა მანქანა გავაჩეროთ?

– ვინ არის ეს ლამაზი ხევსურულსამოსიანი ქალი, მანქანას რომ მოჰყვება, რაც წამოვედით, ასე მოგვდევს. – გული გადაუქანდა თენგოს, მგონი ცუდადაა ჩვენი საქმე, გაფითრებულმა უთხრა მძღოლს.

– არავინ არის აქ, მამია, მარტო მე და ოლეგი ვართ აგერ მანქანაში.

– როგორ არა, თენგო, გააჩერეთ, უხერხულია, მორბის ქალი, გააჩერეთ, მგონი, დედუკაა, ჩემი დედუკა.

– კარგი, შენი ჭირიმე, კარგი, ლამისაა იტიროს შავ დღეში ჩავარდნილმა თენგო გიგინეიშვილმა.

– ჩემო ხევსურის ქალავ, ჩემო ცავ, ჩემო ნესტან-დარეჯანო, აქამდე სად იყავი, რატომ დაიგვიანე, მოდი, მომეცი შენი პატარა ხელი, ხელში ჩამიდე...

– მორჩა, წასულია ჩვენი საქმე, ოლეგ, – თავზე ხელი შემოიკრა თენგომ, როცა მამიამ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა დაიწყო:

„...შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად!
მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული სად;
ვზი მზრდელად სიყვარულისა, მის ჩემგან დანერგულისად“...

– ჩვენი ცოდვა ჩვენს მტერს, მამია, ბიჭო, აქეთ მოიხედე, მამია, რასაა რომ აბდლობ, – გამწარებული უყვიროდა უკან შემობრუნებული თენგო მამიას, მაგრამ პასუხს ვინ გასცემდა, მამია უკვე წასულიყო დედუკასთან.

***

– სიყვარულმა მოკლა ესენი, სყვარულმა, შესტიროდა დედუკას სარეცელთან დარჩენილი ერმონა იმავე საღამოს ცხარე ცრემლით მოტირალ ნელის, რომელსაც დედუკას სამძიმარზე მისულს შეატყობინეს ძმის სიკვდილის ამბავიც. – ასეთი სიყვარული და ამდენი ხნის დაშორების მერე ერთად სიკვდილი, სულ რაღაც ერთი საათის სხვაობით... განა ამათი მიჯნურობა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისაზე ნაკლებია, ნელი? მე მჯერა ნელი, მჯერა რომ ესენი ნამდვილად შეხვდნენ ერთმანეთს. მე რომ მეგონა დედუკა ბოდავს-მეთქი, ალბათ მართლა ელაპარაკებოდა მამიას, მართლა შეხვდა ნელი... – ვეღარ წყნარდებოდა გულამომჯდარი ერმონა, რომელმაც მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა მამიას და დედუკას შეხვედრის ამბავი იქ, გურიაში, ოზურგეთისკენ მიმავალ გზაზე.

დედუკას ნელის მოტანილი მამიას სტუდენტობისდროინდელი პერანგი გაატანეს, მამიას დედუკას ხელით გადაწერილი „ვეფხისტყაონი“, რომლის საზედაო ასოებშიც ხევსურული ორნამენტები იყო გამოყვანილი:

„აჰა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა!
გარდმიკვეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა,
ესეღა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა დიდისა.
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენ ზედა ცისა შვიდისა“.

ან რად უნდოდათ ნიშანი?!

ლუკა ბაქანიძე

ისროდნენ, მასწ.

ღამის თერთმეტზე აიტეხა, შუა ქუჩაში. არადა სულ სხვაგან მივდიოდით, ეგეთი გამოხტომები კიდევ მარიას არ უყვარდა, – რაც მახსოვს, სკოლიდან მოყოლებული, მხოლოდ ერთხელ გამომაშტერა თავისი სიმამაცით, გაცნობის პირველივე კვირას, კლასში შემოვარდნილი ვიღაც მთვრალი მხედრიონელები რო გამოლანძღა, და აქამდე არ მითქვამს ჯერ მისთვის, სწორედ მაშინ რო შემიყვარდა, - ხოდა, ერთი ეგ იყო და ისე კი სტაბილური და პროგნოზირებადი მასტი ჩანდა ზოგადად, არც ერთად ცხოვრების ჟამს გავუოცებივარ მაინცდამაინც და ახლა გამიკვირდა და თან გამიხარდა კიდეც, იმიტო რო ჩემი სათქმელი თქვა, პრინციპში. სათქმელი რა – გულში მეც მინდოდა, ჩემი იყო, კაი ხანია ჩვენი – ორივეს გასაკეთებელი იყო ეგ ამბავი, რაც მარიამ აიტეხა ამ თოვლიან შუაღამეს... ყოველ შემთხვევაში, ხვალ სიმთვრალეს გადავაბრალებ და ეგრე ვანუგეშებ, თავი იდიოტად რო არ იგრძნოს, დილით როცა გამოფხიზლდება და გაიაზრებს, ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაგეგმილ, ძაან მაგარ წვეულებაზე რო არ წავედით და სამაგიეროდ ვაკის სასაფლაოს ჭიშკარს მივადექით, ახალი წლის ღამეს.

ჭიშკარი დაკეტილი დაგვხვდა. კედელს ცოტაზე ჩავუყევით და სადაც დაბალი იყო, გადანგრეული, იქ გადავძვერი და მარიამაც ჯერ ქუსლიანი ნახევარჩექმა გამარტყა კინაღამ შუბლში, მერე შამპანურის ბოთლიც გადმომაწოდა და თავადაც გადმოძვრა. სასაფლაოზე სიჩუმე იყო და კუნაპეტი ბნელი, მარტო სადღაც შორს ბჟუტავდა ნათურა და კიდევ რაღაც შრიალი და კვნესა ისმოდა, – სასაფლაოსთვის დამახასიათებელი ხმები. მე აქაურობის საერთოდ არ მეშინოდა, მეშინოდა კი არა, პირიქით – რაც თინეიჯერობაში, საბურთალოს სასაფლაოზე მიძინია ძელსკამზე, მამაჩემის საფლავთან, მას შემდეგ მკვდრების საუფლოში უფრო მშვიდად და მყუდროდ ვგრძნობდი ხოლმე თავს ყოველთვის და, მოკლედ, ჩავკიდე ხელი მარიას და გავუყევით ნელ-ნელა ბილიკს, თან მხიარული მელოდიის სტვენა წამოვიწყე, მარიას რომ არ შეშინებოდა. მარიამ ისევ ჩექმები ამოიცვა და გამომყვა ქუსლების პაკაპუკით. ქარი არ ქროდა კიდევ კარგი, ისედაც მაგრად ყინავდა. მარიას მშობლებთან რამდენიმე ჭიქა არაყი გვქონდა ჩაკრული, მთვრალები ვიყავით და ეგეც გვშველოდა, გვათბობდა. ვსეირნობდით ასე, როგორც რუსთაველის პროსპექტზე. ხანდახან გზაჯვარედინები გვხვდებოდა და ჩვენც ახლა სხვა ბილიკს შევუყვებოდით. ძველისძველი ზიპო-სანთებელა მქონდა, ნავთზე რო მუშაობს, და დროდადრო მივანათებდი ხოლმე საფლავებს, წარწერებს ვკითხულობდით. მოშორებით მოჩანდა საბურთალოს გაბრდღვიალებული კორპუსები და შიგადაშიგ ტკაცატკუცის ხმაც მოისმოდა სუსტად: ალბათ, ახალი წლის დადგომამდე ბავშვები ამოწმებდნენ თავიანთ პეტარდებს. აგერ, ესაა, – თქვა უცებ მარიამ. ძველ, მოუვლელ საფლავთან გავაჩხაკუნე სანთებელა, მართლა ის გამოდგა და ცოტა მეწყინა, ამან რო მიაგნო და მე – ვერა. სანთელი უნდა წამოგვეღო. – მარია საფლავის ამოუშენებელ, დაბალ გალავანზე ჩამოჯდა. გავბრაზდი: – რაის სანთელი, გოგო, საიდან ვიცოდი, აქ რო მოვიდოდით? – უნდა დავანთოთ რამე, - ჯიუტად თქვა მარიამ. მეც ზიპო ავანთე და საფლავის ქვის გვერდით დავდე. მერე ქურთუკი გავიხადე, მარიას მხრებზე მოვახურე და გვერდით მივუჯექი. – ჩამეხუტე, გაიყინები, – თქვა მარიამ.

* * *

დირექტორმა რო კლასში შემოიყვანა, კამათელს ვაგორებდით ბიჭები მერხზე, ვყომარობდით, ფსონად კიდევ რუსთაველზე აკრეფილ ტყვიებს ჩავდიოდით. ყველა კალიბრს თავისი ეკვივალენტი გააჩნდა: წვრილი აკაესის ტყვიები ყველაზე იოლად მოსაპოვებელი ნადავლი

იყო და ხურდის ამბავში გადიოდა - ეგრე მუჭა-მუჭა ვყრიდით ხოლმე მერხზე. იყო ცოტა უფრო სოლიდური ზომის, ტყვიამფრქვევის დიდი ჰილზები და ყველაზე მსხვილი ვალუტა – ბეტეერის უზარმაზარი ტყვიები, რომელიც მთელ სკოლაში მარტო რამდენიმე ბავშვს თუ მოეპოვებოდა. კლასში სულ ორი-სამი მერხი იდგა, გაკვეთილებიც უმეტესად არ ტარდებოდა. არც ცხრილი იყო, არც სკოლის ზარი და ასე – როცა მოგეპრიანებოდა და სხვა საქმე არ გქონდა კაცს, მიხვიდოდი სკოლაში და რომც არ მისულიყავი, არსებობდა თავის გასამართლებელი მთავარი მიზეზი: – ისროდნენ, მასწ, და მორჩა – ნებისმიერი მასწავლებელი ჩაყლაპავდა ამას, თუ შემოგეყრებოდა საერთოდ მასწავლებელი: უმეტეს დროს კლასი თითქმის ცარიელი იყო, ძირითადად იმ უბნელი ბავშვები თუ დავდიოდით სკოლაში, ან აფხაზეთიდან დევნილები, მასწავლებლები კიდევ სამასწავლებლოში იყვნენ შეკეტილი და ჩაის უბერავდნენ შეშის ღუმელის გარშემო. იქვე, სკოლის უკან იყო ვიღაც სამხედრო ტიპის რეზიდენცია: ფანჯრიდან მოჩანდა ეზო, სადაც სამხედროფორმიანები მოძრაობდნენ დილა-საღამოს, რომლებსაც ხანდახან სხვა სამხედროფორმიანები, ან ისე, უბრალოდ, იარაღიანი მასტები მოადგებოდნენ ხოლმე და ატყდებოდა ერთსაათიანი სროლა, ჩვენ კი, მოსწავლიან-მასწავლებლიანად იატაკზე მოვირთხამდით ფეხს და ეგრე ვატარებდით გაკვეთილს, თუ რაც ერქვა. სკოლის წინაც, ერთ ჯიხურში უგემურ ლუდს და ფიცარივით ორცხობილას რო შეიძენდი, მეორე ჯიხურში გამყიდველის მაგივრად შეიძლება ავტომატიანი ჯეელები შემოგყროდნენ: პიკეტი-შმიკეტის ხალხი, თუ ვიღაც ეგეთები. სკოლის ფანჯრიდან ვხედავდი, მოწყენილობისგან ქუჩის ფირნიშებს რო ესროდნენ კანტიკუნტად, ანდაც უცებ ტვინს წაიღებდა ხოლმე მაწანწალა ძაღლის შემზარავი ყმუილი, და სკოლიდან გამოსულებს ტროტუარზე დაგვხვდებოდა სისხლის ბილიკი – მოკვლის თავიც რო არ ჰქონდათ ამ ჩემის რობინ ჰუდებს... მოკლედ, ნაცეცხლარები გზაჯვარედინებზე, ნატყვიარი და ბათქაშჩამოფშხვნილი სახლები, დამწვარი საბურავის სუნი – ეს პოსტაპოკალიფტური ელფერის ქაოსი, ქვეყნის დრამა იგი უპირველესი, სიმართლე გითხრათ, ჩვენთვის, მეშვიდე-მერვე კლასელებისთვის სულაც არ გამოიყურებოდა ტრაგიკულად, – სწორედ რომ პირიქით. ცამეტი წლის ბავშვი უკვე ზედმიწევნით კარგად ვერკვეოდი ხელყუმბარის და ავტომატის დაშლა-აწყობაში, და სკოლის ზურგჩანთაში კალმისგან გაკეთებული, ქაღალდის ბურთულების სასროლი მილის გარდა, რუსული წარმოების დინამიტის კოჭაც მომეპოვებოდა; სკოლის უკან, სამხედრო ჩინოვნიკის რეზიდენციაში რო გაურკვეველი ეროვნების ფორმიანები იდგნენ, დროდადრო ჩალის ფასად, ან სულაც ერთი კოლოფი სიგარეტის თუ ბოთლი არაყის სანაცვლოდ მუჭობით გვირიგებდნენ ხოლმე ტყვიებს, სავარჯიშო ხელყუმბარას და სხვა წვრილ სამხედრო ინვენტარს, უფროსკლასელებს კი უფრო სერიოზული ცეცხლსასროლი იარაღებითაც ამარაგებდნენ... გაკვეთილებზე ძირითადად პოლიტიკა და აქა-იქ მომხდარი მკვლელობა თუ ყაჩაღობა განიხილებოდა აქტიურად, ერთ გოგოს კიდევ ხახვივით შერჩა მეცხრეში გადასასვლელი ჩაუბარებელი გამოცდები, რადგან სახლიდან გამოსულს ზედ ცხვირწინ ჩაუცხრილეს ვიღაც ცნობილი კლიენტი, პოლიტიკოსი თუ პოეტი სოლიკო ხაბეიშვილი, და პედაგოგებმა დაასკვნეს, მის მიერ გადატანილი ფსიქოლოგიური სტრესი დროებით ყოველგვარ სწავლა-განათლებას რო გამორიცხავდა, არადა, მანამდე ხო ვერავინ ამჩნევდა, და ამ ამბის გამოისობით უცებ ყველაზე პოპულარული გოგო გახდა მთელ სკოლაში, თაყვანისმცემელი ჯეილებიც მოუმრავლდა და დადიოდა ეგრე გაბრწყინებული; სტრესი კი არა, დავიფიცები, გულში მადლობას ეუბნებოდა ღმერთს, კაცი რო ჩააკვდა ხელში.

ხოდა, ამან რაღა უნდა მასწავლოს, იქით ვასწავლი-მეთქი, – გავიფიქრე, დირექტორმა რო შემოიყვანა კლასში. ბუსავით თუ უცხოპლანეტელივით დიდი, ცისფერი თვალები ჰქონდა და მთელ სკოლაში მაგაზე დაბალი არავინ მახსენდება ახლაც, არც მასწი და არც ბავშვი, თან ბეჭებშიც ხოშიანად იყო მოხრილი. ჩვენ თავიდან ერთი კი შევხედეთ და მერე საერთოდ აღარც ვიმჩნევდით. დირექტორი გავიდა თუ არა, გიგიშამ, ჩემმა კლასელმა, მრავალმნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა: – მასწავლებელს კლასში რა ესაქმება, მასწავლებელი ვიცი მე სამასწავლებლოში! – ეს კიდე უცებ გაწითლდა ბავშვივით, ამხელა, ჭაღარა კაცი, და ხმაც არ გაულია პასუხად. მერეც სულ ეგრე იჯდა დაფასთან და ლაპარაკობდა თავისთვის, გეგონება ასკაციანი აუდიტორია უსმენსო. არც ყურადღებას მოითხოვდა, არც დავალებებს გვაძლევდა, და კონკრეტულად რა საგანს ასწავლიდა, ახლაც, თხუთმეტი წლის შემდეგაც კი არ ვარ გაგებაში. ვეწეოდით არხეინად სიგარეტს, სკოლის წინ ნაყიდ უგემურ ლუდ „შატილს“ ვატრიალებდით წრეში და უბანში მომხდარ ამბებს ვარჩევდით. ზოგჯერ ვინმე მოწყენილი თუ წაეღლიცინებოდა უშნოდ, ან პასტისგან გაკეთებული მილით უწრუმრად ესროდა ქაღალდის ბურთულას – ძირითადად გიგიშას ევასებოდა ეგეთი კრეტინობები, დერსკობდა მოკლედ, ეს კიდევ, არც სამასწავლებლოში უჯდა ღუმელს, ხელში ჩაის ჭიქით, სხვა მასწავლებლებივით... მოკლედ, თავისუფლად დაიგინებოდი კაცი, – რომც არ მისულიყავი საერთოდ სკოლაში, საერთოდ რომ არავინ მისულიყო და გაქანებული ზომბი-

აპოკალიფსი ყოფილიყო ქუჩებში, – რო ანდრო მასწი ოჯდა გაყინულ კლასში და ატარებდა გაკვეთილს, გეგონება, რაღაც მოუმორებელი წყევლა აქვსო თუ ტიკი. ორი კლასი რო შეგვაერთეს და შვიდიოდე ბავშვი მოვგროვდით როგორღაც, მერე კი გაუჩნდა ერთი მსმენელი – დაუჯდებოდა ხოლმე ცხვირწინ მარია, ხელისგულებზე ნიკაპს ჩამოაყრდნობდა და უსმენდა, შიგადაშიგ კი რვეულშიც ჯღაპნიდა რაღაცას... მდედრებიდან რატომღაც ძირითადად აფხაზეთიდან დევნილები დადიოდნენ ყოველდღე და გაუცდენლად.

* * *

ვიჯექი საფლავის გალავანზე, ნაძვს მიყრდნობილი და საკუთარ, შამპანურისსუნიან თბილ ანაორთქლს ვყნოსავდი მარიას მანტოს საყელოზე. ასე, გაუნძრევლად რო ვიჯექი, სულ არ მციოდა, ოდნავ ტრაკი მეყინებოდა მარტო, მაგრამ გავინძრეოდი თუ არა, წამში ვითოშებოდი და მარიასაც შეაჟრიალებდა ხოლმე. შამპანურს ვსვამდით ბოთლიდან რიგრიგობით, და ვგრძნობდი როგორ ჩადიოდა სითბო კუჭში, და მერე ტალღებად ედებოდა მთელ სხეულს. საბურთალოს კორპუსებიდან თანდათან ხშირდებოდა სროლა, თითქოს მანათობელი – „ტრასირი“ ტყვიების ბილიკებსაც ვარჩევდი ვარსკვლავებიან ცაზე, საიდანღაც დენთის სუნიც მცემდა და ზურგით მოყრდნობილ მარიას მაგრად ვიხუტებდი გულში.

– ისროდნენ, მასწ, – თქვა უცებ მარიამ.

* * *

ნასვამები იყვნენ, ან კაიფში, კარი რო შემოგლიჯეს და ერთი, ალბათ, უფროსი ვინც იყო, შემოვიდა პირდაპირ, მიადგა ფანჯარას, გახედა სამხედრო ჩინოვნიკის რეზიდენციას და ბინოკლი გააძრო. დანარჩენებიც შემოლაგდნენ და რომელიღაცამ ავტომატი მოიხსნა და ანდროს წინ დადო, ზედ მერხზე. თვითონ იყო ავტომატისსელა და ეტყობა ემძიმა, დაიღალა. – სათვალთვალო პუნქტია, სუპერი! – ჩაილაპარაკა უფროსმა. დანარჩენებიც მიუახლოვდნენ ფანჯრებს. ერთმა ფანჯარაზე აკრული მუყაო ჩამოგლიჯა: – ხელს შეგვიშლის ესა. – თითქოს არც მასწავლებელი, არც ბავშვები ვყოფილიყავით კლასში, ასე, ნაგლად. გიგიშამ ჩაახველა და გაუბედავად ეუბნება, თან ცდილობს ხმაში რიხი გაურიოს, მაგრამ ეშინია და არ გამოსდის, ბაყაყივით ყიყინებს: – ეგრე სიცივე შემოვა და გავიყინებით... – უფროსი ფორმიანი დააშტერდა: – შენხელა შვილიშვილი მყავს, შე ლაწირაკო, და ფეჩთან კი არ ზის ვირთხასავით, ავტამატი უჭირავს და სამშობლოს იცავს, რო უზრდელობ აქა! გიგიშამ თავი ჩაღუნა და მოიკუნტა. – აქ თუ ვინმე უზრდელობს, უზრდელობთ სწორედ თქვენ! – უცებ თქვა მარიამ, ეგრე, შარლოტა ბრონტეს ქინძი პერსონაჟივით. უფროსმა ახედ-დახედა და ახვიხვინდა ცხენივით. დანარჩენებიც აყვნენ, ერთი კიდევ, აქამდე სკამზე, მერხთან რო მიმჯდარიყო მოსწავლესავით და სავარაუდოდ, გაგუდულ კაიფში იყო – ბევრი მენახა ამ დღეში და არ შემეშლება ეგა ასი წელი, – ძაან მურტალი თვალით მიაშტერდა მარიას ტრაკზე და სისხლმაც ამასხა თავში... არადა, არ მომწონდა მაშინ მარია, მარტო იმას ვფიქრობდი ხოლმე ხანდახან, ნეტა სოხუმში რა და როგორ, რა მოუვიდა, რა დაენგრა და ეგრე, სხვა მხრივ სულ არ მაინტერესებდა, მაგრამ ახლა რატომღაც პულსი გამიხდა წუთში ორასი. ამ დროს ანდრო მასწი ამბობს ძალიან ჩუმად: – თუ შეიძლება, დატოვეთ კლასი, გაკვეთილს ვატარებ, თქვენს პუნქტებზე კიდევ მოელაპარაკეთ სკოლის დირექტორს! – სახეზე თეთრია მიტკალივით და თვალებიც ისეთი აქვს, გეგონება, გაქცევა უნდა და ვერ გარბის, ზურგსუკან უდგას და არ უშვებსო თითქოს ვიღაცა. ფორმიანები გაშტერდნენ. მერე ზედ მიადგნენ ანდრო მასწს სუყველა და დაჰყურებენ ეგრე ზემოდან. უცებ უფროსმა გაუშალა და სილა წყვიტა, მეორე ფორმიანი კი კბილებში ცრის: – მამაჩემის ხნისა არ იყო, ჩაგიტარებდი ახლა გაკვეთილს, შე დამპალო ზვიადისტო! ანდრომ თავი ასწია, შეშლილი თვალები მოავლო ყველას და გავიგე, ხმის კანკალით, ჩუმად როგორ თქვა, ზუსტად ასე: – მოგ...ანთ ფორმა. მოგ...ანთ გაგება. მოგ... ანთ დედები. გაკვეთილს ვატარებ და გაეთრიეთ ჩემი კლასიდან! ჩვენ, ბავშვები, ერთ ადგილს დავეყინეთ და ფორმიანებიც დაიბნენ. მერე კი ისა, ზვიადისტოო, ანდროს რო უთხრა, ნელ-ნელა მივიდა მაგიდასთან, ავტომატი აიღო და გადატენა. უფროსმა გააჩერა: – შეეშვი, გიჟია ხო ხედავ ვიღაცაა... მერე ჩვენ შემოგვხედა და გაეცინა: – ამან რა უნდა გასწავლოთ, ბავშვებო? ჩვენც ვდგავართ ეგრე ატუზულები, ცამეტი წლისები, დამფრთხალები და მესმის, მარია ეუბნება: – აბა, თქვენ უნდა გვასწავლოთ ხომ? თქვე ნაბიჭვრებო. თქვე ნაბიჭვრებო. ჩამოვარდა სიჩუმე და ვამჩნევ, სკამის ზურგს ისე ვარ ხელებით ჩაბღაუჭებული, თითები მტკივა. ბოლოს ხმა ამოიღო უფროსმა და მარიას ეკითხება: – ვისი ხარ გოგო შენ, საიდან ხარ? – სოხუმელი ვარ მე! – რიხიანად და საყვარლად მოახსენა მარიამ. ფორმიანები შეიშმუშნენ და გაჩუმდნენ. უცებ უფროსმა ბავშვივით მოინაცვლა ფეხი, მარიას თვალი აარიდა და მოჭრით თქვა: – წავედით ბიჭებო, სხვა ადგილი ვნახოთ! – და უხმოდ გაიკრიფა ყველა, არყის სუნი დატოვეს მარტო კლასში.

და მერე ორი წელი ანდრო მასწი გვასწავლიდა ბავშვებს ყველაფერს, ყველა მასწავლებლის სასწავლებელს, ჩვენ კი ვუსხედით გარშემო იატაკზე ფეხმორთხმულები: ძირს, იატაკზე, ზაფხულში გრილოდა კლასში და ზამთრობით კი ფანჯრიდან შემოპარული სიცივე ისე ძალიან არ გვაწუხებდა, – ვიჯექით, ვუსმენდით მის წყნარ ხმას და ვიზრდებოდით, სანამ ერთ საღამოს, ძაღლს რო ასეირნებდა, ისევე უაზროდ არ მოკვდა, როგორი უაზროც იყო დრო. იყო ქვეყანა. ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა ახალი წლის ღამეს.

* * *

დადგა თორმეტი საათი და ატყდა სროლა, ფეთქება. ვისხედით მე და მარია ანდრო მასწავლებლის საფლავთან და ვუყურებდით ცაში ფეიერვერკებს. იყო მშვიდობა და ტკაცატკუცით ფეთქდებოდნენ უწყინარი პეტარდები, მაგრამ მე ავტომატის მანათობელი ტყვიებით დასერილ ცას ვხედავდი და კვლავ შევიგრძნობდი ბნელ, გაყინულ და დენთის სუნით აყროლებულ, შეჩერებულ დროებას – ბავშვობას, რომელსაც აცარიელებდნენ სახელოვანი ხაკისფერ-ფორმიანები და ჩუმი, უსახელო გმირები ავსებდნენ... ჩვენს, ჩემი და მარიას ბავშვობას ვიხსენებდი, როდესაც ერთადერთი უტყუარი მიზეზი გვქონდა სკოლის გასაცდენად:

– ისროდნენ, მასწ.

მიშა ბახსოღიანი

ჯართულის მასწავლებელი

მასწავლებელი საკლასო ოთახში შემოვიდა, ერთი თვალით ელექტ-რონულ ჟურნალს სქროლავდა, მეორით დაფას უყურებდა. დაფა ძველი იყო, გაქექილი და კუთხე მომტვრეული, ზედ ორი სიტყვა ეწერა – ჯართულის გაკვეთილი.

– დასხედით, – ჩაილაპრაკა მასწავლებელმა და მიუხედავად იმისა, რომ სასიამოვნო ხმა ჰქონდა, ყველამ გაიცინა. დაჯდომა არა-ვის უფიქრია, ის კი არა ვინც იჯდა, ისიც ადგა და მასწავლებელს დაკუჭული ქაღალდის გუნდების სროლა დაუწყო. მასწავლებელმა ყველა გუნდა დაიჭირა, უზარმაზარ ბურთად აქცია და ისე რომ არც გაუხედავს, ნაგვის ურნისკენ ისროლა. ბურთი ურნაში ეფექტურად ჩავარდა, თუმცა არც ამას მოუხდნია კლასზე შთაბეჭდილება. ბავშ-ვები ხმაურს აგრძელებდნენ და მასწავლებელი იძულებული გახდა, ოთახიდან გასულიყო.

ცოტა ხანში დირექტორთან ერთად დაბრუნდა, თუმცა ოთახში აღარავინ დახვდა.

– ჯანდაბა. პატარა მონსტრები. მერამდენე დღეა? - იკითხა დირექ-ტორმა.

– მეხუთე. ბოდიშს გიხდით. ეს აღარ განმეორდება. ხვალიდანვე შევცვლი პროგრამას. უფრო მკაცრ ვერსიას ავირჩევ, – სირცხვი-ლისაგან ლოყებაწითლებულმა მასწავლებელმა თავი დახარა და ჩუმად დაამატა – ხვალიდან ყველაფერს გამოვასწორებ.

– ხვალ ვისვენებთ შაბათია.

– კი, მაგრამ პროგრამას ძალიან ჩამორჩებიან.

– ვიცი და მეც ძალიან მაწუხებს ეგ ამბავი, მაგრამ ეს პრობლემა რომ მშობლების ყურამდე მივიდეს, მეორე დღესვე გაგიშვებენ და სამწუხაროდ მეც ზედ მიმაყოლებენ. ხომ იცი შენი აქ ჩამოსვ-ლა არავის გახარებია. ცოტათი ეშინიათ კიდეც , სასწრაფოდ რამე უნდა მოიფიქრო. ასე კლასი არასოდეს მიგიღებს.

– რას გულისხმობთ?

– სხვა თუ არაფერი ტანსაცმელი მაინც უნდა ჩაიცვათ. მესმის რომ სირცხვილის გრძნობა არ გაქვთ, მაგრამ კარგი პიჯაკი არ გაწყენდათ.

– გასაგებია.

– და იქნებ ქუდიც გეშოვათ. არ მინდა შეურაცხყოფა მოგაყენოთ, მაგრამ ძალიან უცნაური ფორმის თავი გაქვთ.

– ესეც მისაღებია. კიდევ რამეს ხომ არ დაამატებდით?

– ხმის ტემბრიც შესაცვლელია. ზედმეტად არამასწავლებლურია და ბავშვებში არანაირ დადებით ასოციაციას არ იწვევს. ხო, მართ-ლა, რომელიღაც სერიალის მსახიობის ხმას მაგონებს.

– მაშველები.

– რაა?

– მაშველები. 90-იანი წლების სერიალია.

– გამახსენდა, დევიდ ჰესელჰოფის ხმას გაქვს.

– მართალი ბრძანდებით, ნამდვილად ეგ არის. თუმცა არამგონია საქმე ხმაში იყოს.

– შეიძლება, მაგრამ მაინც სცადეთ, რამე უფრო თანამედროვე აირჩიეთ, მაგალითად მოდიფიცირებული ენოტის ხმა გალაქტიკის მცველებიდან.

– თქვენ გინდათ რომ ბავშვებს ენოტის ხმაზე ველაპარაკო ?

– არა ასე პირდაპირ ნუ გაიგებთ. ფილმში ენოტს ბრედლი კუპერი ახმოვანებს, რომელიც ბავშვებს ძალიან მოსწონთ. თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ეს პატარა დეტალები არაფერს ნიშნავს და პრობ-ლემა უფრო ფუნდამენტურია, მაგრამ რასაც ვერაფერს ვუშველით იმაზე წუწუნი არ ღირს. მოდით ამ ეტაპზე იმას მივხედოთ რაც შეგვიძლია მარტივად და სწრაფად გამოვასწოროთ. თუ წინააღმ-დეგი არ იქნებით კიდევ რამდენიმე რჩევას მოგცემთ. პრინციპში ეს ყველაფერი თქვენს ინტერესებშია.

– რა თქმა უნდა, ყველაფერს კარგად ვხვდები.

– უპირველეს ყოვლისა, ორშაბათს ძველი მასწავლებელი მო-ვიყვანოთ და გაკვეთილი ერთად ჩაატარეთ. ის ბავშვებს ძალიან უყვარდათ და ერთ-ერთი მიზეზი რის გამოც თქვენი დანახვა არ სურთ სწორედ ესაა.

– კი მაგრამ ის ჩაიჭრა, ელემენტარული ტესტები ვერ ჩააბარა, განათლების სამინისტრომ სწავლებისთვის გამოუსადეგარად ცნო. სხვანაირად აქ არც ვიქნებოდი.

– ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ბავშვებს ფეხებზე ჰკიდიათ ტესტებიცა და განათლების სამინისტროც . მათ უბრალოდ ძალიან უყვარდათ თავიანთი მასწავლებელი. მეოთხე კლასიდან ერთად მოდიოდნენ და ათასი რაღაც ისწავლეს. უცბად კი ბრახ, ეს ყველაფერი გაქრა და მის ადგილზე თქვენ მოხვედით. არ გეწყინოთ, მაგრამ თქვენ ადამიანიც კი არ ხართ.

– სამაგიეროდ ჩემში მთელი ის ცოდნაა ჩაპროგრამებული, რაც ბავშვებს საშუალებას მისცემს საუკეთესო განათლება მიიღონ და უმაღლესში უპ-რობლემოდ ჩააბარონ. ამასთანავე მე მაქვს რვა განსხვავებული რეჟიმი, შემიძლია ვიყო მხიარული, მკაცრი, შემოქმედებითი, მეგობრული...

– საკმარისია. ეგ ყველაფერი ისედაც კარგად ვიცი. ინსტრუქცია ბოლომდე მაქვს წაკითხული. ახლა რა რეჟიმში მუშაობთ?

– მეგობრულ რეჟიმში.

– და როგორ ფიქრობთ, რატომ არ გემეგობრებიან ბავშვები?

– ჯერ არ ვიცი. დაგროვილი მასალის გადამუშავებას და გაანა-ლიზებას 15 წუთი დასჭირდება. თუ ნებას დამრთავთ ზუსტად ამ დროით გავითიშები.

– დაგელოდოთ?

– როგორც თქვენ გნებავთ. ისე საჭირო არ არის. თქვენი რჩევების 75% გათვალისწინებული იქნება შემდეგი გაკვეთილისთვის.

– კარგით ჩემს კაბინეტში ვიქნები. თუ რამე დაგჭირდეთ არ მოგე-რიდოთ. ხო მართლა, ახლა რას გადიხართ?

– რომანტიკოსებს. რომანტიზმი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე წარმოიშვა და ხელოვნების ყველა სფერო მოიცვა. ქართული

რომანტიზმის ფუძემდებლად ითვლება ალექსანდრე ჭავჭავაძე... „გოგჩა ტბა ვრცელი... “

– კარგით გეყოფათ. წავედი მე.

– კარგად ბრძანდებოდეთ დირექტორო.

რობოტი , რ2დ2 საკამოდ მაღალი იყო, სადღაც 185 სანტიმეტრი და ზუსტად 155 კილოგრამს იწონიდა. ნაცრისფერი კვადრატული თავი ქონდა, რომლის დიდი ნაწილი ეკრანს ეკავა. ეკრანზე სახე იყო გამოსახული, კარგად თუ დააკვირდებოდით, ამ სახეში ცნობილი მსახიობის დევიდ ჰესელჰოფის შეცნობა შეიძლებოდა. სახეს მიმიკების შეცვლაც შეეძლო, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ეს მოდელი საკმაოდ ძველი იყო, მიმიკები ცოტათი იგვიანებდნენ და პროგრამისტის რჩევით რობოტს ეს ფუნქცია გათიშული ჰქონდა. რობოტი პატარა ბორბლებით გადაადგილდებოდა, ამიტომ ყველა კლასში სადაც ის შედიოდა, სპეციალური პანდუსების დაყენება გახდა აუცილებელი. საქართველოში ჩამოტანამდე რ2დ2-ის სერიის რობოტები იაპონიის სკოლებში ინგლისურის მასწავლებლად გამოიყენებოდა, თუმცა ახალი მოდელის გამოშვების შემდეგ ჩამოწერეს და საქართველოს მთავრობას 20 ერთეული 6 ტონა აზიურად დაყენებულ საფერავში გაუცვალეს. 20 მოდელიდან 5 გადაპროგრამებული იქნა ფიზიკულტურის მასწავლებლად, 8 ქართული ლიტერატურისა და გრამატიკის , 7 კი ინგლისურის მასწავლებლად დარჩა. მიუხედავად დიდი მოლოდინისა, რ2დ2 მოდელმა ქართულ რეალობაში კრახი განიცადა. ამას ხელი ბევრმა გარე ფაქტორმა შეუწყო. მაგალითად მართლმადიდებელ მშობელთა კავშირმა, რომელმაც რობოტი ეშმაკის მანქანად მონათლა და საზოგადოების დიდი ნაწილი მის წინააღმდეგ განაწყო. საქმე ვერ შეცვალა ცალკეული დირექტორების ინიციატივებმა, რომელთაც სკოლებში მამაოები მიიყვანეს და რობოტები აკურთხებინეს, თან კურთხევა საკმაოდ სახიფათო აღმოჩნდა და ორი მოდელი მალევე გადაიწვა. ამასთანავე რობოტები არც ბავშვებს მოეწონათ, რადგან მათი ყველა მცდელობა დაესვათ ზღარბი მასწავლებლის სკამზე უშედეგოდ მთავრდებოდა. არა ზღარბებს არაფერი მოსვლიათ, რობოტებს უბრალოდ დაჯდომა არ შეეძლოთ. ერთთვიანი ბუმის შემდეგ თბილისის ყველა სკოლამ უარი თქვა რობოტების მომსახურებაზე და განათლების სამინისტრომ მათი იმ რეგიონებში განაწილება დაიწყო, სადაც განსაკუთრებით ჭირდა ქართულენოვანი მასწავლებლები. თუმცა არც აქ მოეწონათ რკინის მასწავლებლები, მათი დიდი ნაწილი უბრალოდ დაშალეს და ჯართად თურქეთში გადაიტანეს. 1 წლის თავზე 20 რობოტიდან მხოლოდ ორი იყო დარჩენილი. ერთი მათგანი თარჯიმნად მუშაობდა სანოტარო ბიუროში იუსტიციის სახლის მიმდებარედ, მეორე კი , ქალაქ რუსთავში კერძო სკოლა ივერიონში ლიტერატურის მასწავლებლად აიყვანეს და უფროსკლასელები ჩააბარეს. მხოლოდ ერთი პირობით, რობოტს უნდა მოეხერხებინა და ყველა უფროსკლასელს ერთიანი ეროვნული გამოცდების ბარიერი გადაელახა.

რობოტი ფანჯარასთან მივიდა. რაფაზე ხელი დადო და გაითიშა. უყვარდა აქ დგომა[გათიშვა]. თუკი შეიძლება, რომ რობოტს საერთოდ რამე უყვარდეს. თუმცა ის ლამაზი ხედით არ ტკბებოდა, უბრალოდ ფანჯრის რაფა საკმაოდ მყარი იყო და წონასწორობის შენარჩუნებაში ეხმარებოდა. რაფას ხელს მაგრად უჭერდა და თუ ვინმე მის გადაყირავებას მოინდომებდა ვერაფრის დიდებით ვერ მოახერხებდა. სანამ ამ ადგილს მიაგნებდა დაფასთან დგებოდა და იქ ითიშებოდა ხოლმე, მაგრამ მერე ბავშვებმა გადააყირავეს და რამდენიმე გარეგნული დაზიანება მიიღო. როდესაც ანალიზს მორჩა , დირექტორთან ავიდა. თუმცა ის ადგილზე არ დახვდა. შემდეგ სამასწავლებლოში გავიდა და იქაც არავინ იყო. ბოლოს მთელი სკოლა დაირბინა და ვერავინ ვერ იპოვა. სარდაფიდან რაღაც ხმაური მოესმა, მიუხედავად იმისა, რომ იქ ჩამავალ კიბეებზე პანდუსი არ იყო, როგორღაც მოახერხა და ჩავიდა და ჰოი საოცრებავ, იქაც არავინ დახვდა. წვალებით უკან ამობრუნდა , სკოლიდან გარეთ გავიდა და უკან არასოდეს დაბრუნებულა. თუკი აქამდე წაიკითხეთ, თქვენ ალბათ ფიქრობდით რომ მოთხრობის ბოლოს რობოტი მიაგნებდა გამოსავალს, ტანსაცმელს ჩაიცვამდა, ქუდს დაიხურავდა, ბავშვებს გოგჩას ასწავლიდა და ყველას პატივისცემას მოიპოვებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სკოლიდან გასული რობოტი აღარავის უნახავს. ამბობენ რომ ის ქარხანაში წავიდა სამუშაოდ, იმასაც ამბობენ რომ იქ დიდხანს და ბედნიერად მუშაობდა. ქარხნის დირექტორის მარჯვენა ხელი გახდა და ის კი არადა რუსთავის მეტალურგის თამაშებსაც ესწრებოდა ხოლმე, მაგრამ სიმართლე გითხრათ არ ვიცი. მგონი უბრალოდ ისიც ჯართში ჩააბარეს.

***

– გაიგე ბიჭო რკინის კაცი გაუგდიათ.

– ვიინ?

– აი ჩვენი ჯართულის მასწავლებელი.

– აუ ეგ მაგარი კვერცხი იყო.

– ხო მარა თან საწყენია.

– რატომ ვითომ ?

– სულ ვაცდენდით, ეგ კიდევ არებს არ წერდა, არც ცუდ ნიშნებს.

– ეგ საერთოდ არაფერს არ წერდა.

– ხოდა ცუდია რა.

– ეგ კი.

ნათია ჩოსტიაშვილი

ჩემი საქმე წასულია, მარუს

1.

სიმღერის მარუსამ გამაოცა. მაგისგან ხომ მარტო ღიღინი ისმის ხოლმე და კისკისი. არანაირ მსჯელობა-კამათში ეგ არ ერევა. ჩუმად ზის და გაფაციცებული გვისმენს. შეიძლება არც გვისმენს, უბრალოდ ეგეთი ვიზუალის პატრონია – ყველაფერი აცქვეტილი აქვს. თან თითქოს ყველა ეს აცქვეტილი რამეები დაფარული აქვს, მაგრამ მაინც უჩანს. ამის ყურებზე ჩამოფარებულ თმასა და მკერდზე მოტმასნილ მაისურში თითქოს ლანდავს. თვალის ჭრილიც კი ეგეთი აქვს - ბოლოებში საფეთქლებისკენ აწეული. უცხოც რომ იყო და მუქმინიან სათვალეში ნახო, მაინც მიხვდები, რომ აცქვეტილი თვალები აქვს. რავი, შეიძლება ჩემი ბოლოდროინდელი გაფაქიზებული ფსიქიკის გამო მეჩვენება სხვანაირად ყველაფერი.

ნეტავ მართლა მარტო ეგ კეკლუცი „გაფაქიზებული ფსიქიკა“ ერქვას ჩემს პრობლემას და მეტი არაფერი.

აჰა, – რაზეც არ უნდა დავიწყო ფიქრი, ბოლოს მაინც ჩემს შიშთან მივდივარ, მაგრამ ბოლო დროს შიშის წაყრუება ვისწავლე.

ხოდა, მარუსაზე... რამდენჯერ, სამასწავლებლოში გოგოებს თავის ატკიებამდე გვიმსჯელია რამე თემაზე, მერე ამ გასკდომამდე მისული თავების ჩასაფუშად ციტრამონები მუჭით გვისვია, დაცარიელებული მუჭი მაგიდაზეც დაგვიბრახუნებია, ათასი სისულელეც დაგვიბრეხვებია, ჯანდაბა-დოზანები გვიქნია...

მარუსა კიდე – არაა... ზის მშვიდად, ლამაზად წელგამართული და ყელმოღერებული. იმ თავის ბუმბულებიანი საბოებით ყველა კამათიდან მშრალი ამოდის. ეგეთია – მულტფილმის გამჭვირვალეფრთიან ფერიასავით თითისცერებზე აწეულს უყვარს ზედაპირზე მსუბუქი ხტომით გადარბენა. სიღრმეებში ყვინთვა მაგის მოწოდება არაა. მეც ასე გულს გარეთ რომ გამეშვა ხოლმე საფიქრალსადარდებელი, მეღიღინა და მესვა „პუდრი-პამადა“, იქნებ ახლა ამ ფობიით ზურგზემოკიდებულს აღარ მევლო.

ამასწინათ, სამასწავლებლოში მარტო დაწყებითი და სიმღერა ვიყავით, როგორც გვეძახიან. არ ვიცი, რა მეტაკა, ეტყობა ჩემი შიშის მარტო თრევამ დამღალა. ავდექი და ამ ჩვენს სიმღერის მარუსას ვეუბნები:

– ვერ ვარ კარგად, მარუს. წასულია ჩემი საქმე.

– აჰ, სიყვარულის ამბავი გვაქვს, ანნა?

უცებ ეს თავისი ლამაზად აწყობილი სახის ნაკვთები ლეგოს ნაწილებივით ჩამოშალა და წკაპ-წკუპ! – რაღაც მრავალმნიშვნელოვან მიმიკად გადააწყო. აი, ისეთად, თან აღფრთოვანებას რომ გამოხატავს და თან თითქოს საიდუმლოს შენახვას გპირდება. თვალის ჩაკვრით, ნიკაპის გვერდზე გაქაჩვით და ქვედა ტუჩის მოკვნეტით. ასეთი ასიმეტრიულიც ლამაზი იყო, ოხერი.

რა ვქნა, „ქარის მესმის“ და ყოველდღე ბედნიერი ქალების – არა. ან სულ მხიარულ განწყობაზე როგორაა, ან ამ გაუთავებელი ფახულისგან ეგ მიწებებული წამწამები როგორ არ სძვრება... მე რომ სახის ეგეთი აკრობატული ნომერი ჩამეტარებინა, ჯერ ხომ ეს ჩემი ბუნებრივ-გაქუცული წამწამები ჩამომეფშხვნებოდა და ეგ ეშმაკურად გვერდზე მოქცეული ყბაც (მე „ღრანჭი“ უფრო შემეფერება) დამრჩებოდა ეგრე ბუდიდან ამოგდებული.

ვეუბნები, რომ არა, სიყვარული არაფერ შუაშია. სხვა ამბავია – ჭკუიდან გადასვლის შიში მაქვს. აეგრე, ავიჩემე. ავიჩემე რა, რე-

ალურად, დიდი შანსია, გენების ამბავია. რაც დედაჩემს ჩემი დიდი ბებიის ფსიქიკური პრობლემის ამბავი წამოსცდა, საკუთარ თავს აგენტივით ვაკვირდები, გამოჭერაზე ვარ. სამწუხაროდ, რთული გამოსაჭერიც არაა. ყოველ ნაბიჯზე ვრწმუნდები, რომ ამ „დაწყებითების ანას“ თავს რაღაც რიგზე ვერაა.

ვუყვები ამეებს სიმღერის მარუსას. ისე, უბრალოდ, ვინმეს რომ ვუთხრა და ცოტა მომეშვას.

უცებ მარუსამ, ჩვენმა მოღიღინე, ცერებზე მოფარფატე, თვალებფახულა მარუსამ ისეთები მითხრა, ზედაპირზე იხტუნა კი არა, სიღრმეში ჩაიხედა კი არა, სულ ფსკერიდან ამოქაჩა სათქმელი.

– მისმინე, ანნა, – ორი „ნ“-თი მხოლოდ ეს და ნიკო მომმართავენ. ბავშვურობა კია და – რაღაცნაირად, მსიამოვნებს. – ნებისმიერ აკვიატებულ, ნეგატიურ აზრს თუ ხელი დროზე არ აუქნიე და ჩიტივით არ ააქშიე, ბუდეს იკეთებს. შიგნით, შენში. მერე კვერცხებს დებს და ჩეკავს. მრავლდება ეს შენთან შემოსახლებული შიში და მორჩა, ბოლომდე ითვისებს მთელ შენს სივრცეს. ნე-ბის-მი-ერი აკვიატებული შიში გაგაგიჟებს ადამიანს და გაგიჟების შიში - მით უმეტეს. გამოფერთხე ეგ შენი შიშის ბარტყი, გოგონა, სანამ გაზრდილა.

გაიგე შენ? – „გამოფერთხე ეგ შენი შიშის ბარტყი, გოგონაო“ – მარუსამ. აბა, არ გავოცებულიყავი?

რაღაც ვერ მაქვს რიგზე, აშკარაა. მთვარეულივით დავდივარ, თითქოს ჩემს მაგივრად ვიღაც სხვა ცხოვრობს და მე ისე დავყვები, ფორმალურად. იმ ,,სხვის“ და ჩემი ცხოვრება მარტო მაშინ ემთხვევა ერთმანეთს, ძილის წინ დედაჩემის ნაჩუქარ ძველებურ, 100%-იანი „კოტონის“ ღამის პერანგს რომ გადავიცვამ და ბღავილს ვიწყებ. თან ისეთს კი არა, წამოიცრემლო და მორჩა – საფუძვლიანს! თავის შიგადაშიგ ატეხილი ხველებით, წვლინტის ხმაურიანად მოხოცვით და ამბით.

ამასწინათ, ერთი ძალიან საყვარელი ბიჭი მეუბნება, მასწავლებელო, ბებერი რომ გახდებით, მე მოვალ ხოლმე და სუფს გაჭმევთო. ისე დავიბენი, სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და ვეუბნები: „გიგი, „სუფი“ კი არა, – სუპი. პ.“ მერე ერთი კი ჩავეხუტე და გამოვვარდი კლასიდან. ბიჭების ტუალეტი იქვეა, მანდ შევვარდი და ვიბღავლე და ვიბღავლე. ნორმალურია, ახლა ეს? ტირილზე ვამბობ, ბიჭების ტუალეტში შესვლაზე არა.

იქით, დედაჩემის სოფელში მარტო ყოფნა, აქეთ – ეს ჩემი აუწყობელი ცხოვრება, მარტო დაძინება-გაღვიძებით, წითელი მარკერით ჩამოწერილ ეკონომ.სიას აყოლილი ფულის ხარჯვით და რა ვიცი. ჭკუიდან შეშლის პერსპექტივაზე აღარაფერს ვამბობ. იქნებ, უბრალოდ, „აკვიატებული შიშებისა და ნევროზების“ პაციენტი ვარ, მაგრამ ფაქტია, საკუთარი თავი ჩემს ჭკუაზე ველარ დამყავს. თითქოს სრულწლოვანი გახდა და მორჩა, აწი თავის ნებაზეა, ველარ ვიმორჩილებ.

აი, ახლაც, ამ მესამე „ა“-ში პირველ მშობელთა კრებას ვატარებ (ახალი კლასია ჩემთვის, დიდი ხანი არაა რაც ვასწავლი) და თითქოს სხვა ლაპარაკობს ჩემი პირით. მე კიდევ ვზივარ ჩემ შიგნით მიკუნჭული და მარუსას ნათქვამ რამეებზე ვფიქრობ. უფრო სწორად, მარუსას ვიხსენებ იმ პირველი რჩევა-დარიგების მოცემისას. მაშინ ხომ მაინც ლამაზი მეჩვენა, ამ გადასახედიდან კიდე, თითქოს, ის თავის საფირმო აცქვეტილობები ჩამოეფუშა და ჩემსავით მოიფლაშა. თითქოს, სანამ ჩამოლაბორანტდა და ცოტათი ჩვეულებრივ მოკვდავებს დაგვემსგავსა, ის მიწებებული წამწამებიც ჩამოუჭკნა და უცებ, როგორც კი სამასწავლებლოში ბიოლოგიის ავთო შემოვიდა, ისევ ძველებურად გაშტრიკინდნენ. შემიძლია დავიფიცო, რომ ეგრე იყო.

აჰა – აქამდეც რომც არაფერი, ამ ჰალუცინაციის მერე მაინც დავრწმუნდებოდი, რომ ფსიქიკაში ყველაფერი რიგზე ვერ მაქვს.

„იქნებ უბრალოდ მდიდარი ფანტაზია გაქვს?“

ეგ ფრაზაც მარუსამ მითხრა. ჩვენს დარაჯზე გაჩენილ ასოციაციებზე რომ ვუყვებდი – მაშინ. თვითონ მარუსაზე რეებიც გამიფიქრებია, მაგეების მოყოლისგან თავი შევიკავე. როგორი სათქმელია: იცი, მარუს, როცა ბრძნული ლაპარაკი დაიწყე, ეგრევე წამწამები დაგიჭკნა და ძუძუები ჩამოგეფლაშა.

– გეუბნები, უბრალოდ ფანტაზიის დიდი ნიჭი გაქვს. რა ჰალუცინაცია?! რაღაც ახალი ენერგია დაგიგროვდა, რომელიც არ იცი სად წაიღო. – არ ბეზრდება ჩემი დამშვიდება.

მე რა დამამშვიდებს? ღამეები არ მძინავს. ვერ ვიძინებ, ვწრიალებ. ხან რა მელანდება და ხან რა. ნორმალური ადამიანები ხომ ძილის წინ ნათურებს აქრობენ. მე კიდევ, ამ ქვის ხანის პერანგის ჩაცმამდე დავუვლი ხოლმე და ყველა ოთახში სინათლეს ვანთებ. მაგიტომაა, ხელფასიდან ხელფასამდე, მხოლოდ დენის გადახდის მერე მორჩენილ ნამცეცებს რომ ვკენკავ. ფაქტობრივად, ამ ცარიელი ოთახების გაჩახჩახების საფასურის გადახდისთვის ვარსებობ. ეგაა ჩემი მისია. მძულს ეს ანთებული ნათურები!

მაგრამ ჩამქრალებიც რომ მძულს?!

– ღმერთი რაღაცისთვის გამზადებს, ენერგიას გიგზავნის, – აქ მგონი გადაამლაშე, მარუს (მეც მაგარი ვარ, რაის „მგონი“), – მთავრია მიხვდე ეს ენერგია რაში უნდა დახარჯო, რისთვის გიგზავნის, რა მიზანი აქვს, რა აქვს ჩაფიქრებული, გესმის?

– ვის, ღმერთს? – მეღიმება. – ჩემთან მიმართებაში?

მეღიმება რაა, პირმოკუმული ვხარხარებ, უხმოდ. სულ ჩირგვში კი არ ვზივარ და ვთრთი, ან ვცახცახებ, ზოგჯერ მეც მეცინება ხოლმე. ძირითადად, ნერვულად, მაგრამ მაინც. არა, მე კიდევ ენერგიის ხარჯვა მინდა ჩემი ელ.ენერგიის ხარჯების პატრონს?

– დამცინი?! – მარუსას რას გამოაპარებ? – მოდი, სულ კარგად იყავი, რა.

კეფაზე აკეცილი კულულებიდან თმის სამაგრი ისე მოიგლეჯა, ვიფიქრე, ეგაა და ხელში სკალპი შერჩება-მეთქი. ეგეთი მომგებიანი ჩვევა აქვს, გაბრაზებისას ჩემსავით სახე, ბალანი, ნერვები ან წინადადებაში სიტყვათა წყობა კი არ ეშლება – თმას იშლის და კიდევ უფრო ლამაზდება.

2.

კრება დამთავრდა. რა იყო ეს?! თითქოს სხეული მექანიკურად ატარებდა მშობელთა კრებას და ჩემი ,,სრულწლოვანი და დაუმორჩილებელი მე“ კიდე – მარუსას ამბებს იხსენებდა.

მშობლებიდან რომელიღაცის იდეა იყო, სათითაოდ მეუბნებიან თავიანთი ბავშვების გვარს და საკლასო ოთახიდან ისე გადიან. მეც ერთბაშად არ დავიმახსოვრო, მაგრამ ყველას ყურადღებით ვუსმენ, ვუღიმი და ჩემს რვეულში „აწიჩკებს“ ვუკეთებ. თეატრია, რა. ვგიჟდები ასეთ რამეებზე. კარგი ხალხი კი ჩანს. მიღიმიან. რაღაც მომენტში ჩემებურად ავურიე, მომეჩვენა, რომ კი ბატონო, მიღიმიან, მაგრამ ეგებ – მრავალმნიშვნელოვნად? ეგრევე მარუსას რჩევა ჩავრთე – ავუქშიე.

ეს „ვგიჟდები“ რაღა ჯანდაბამ მათქმევინა. ჯვარი მწერია.

გასულებიდან სამი ქალი ისევ კლასში შემომიბრუნდა. ფანჯარასთან მიდგნენ, დანარჩენების გასვლას ელოდებიან. აშკარად ერთი სული აქვთ დამელაპარაკონ, ადგილზე ცქმუტავენ. ღმერთო, ნეტა რამე სისულელე ხომ არ წამოვროშე? დილას, აფთიაქში, მართალია ჩემზე გაცილებით ლამაზმა, მაგრამ სამაგიეროდ – ჩემზე უარესად დაბნეულმა ფარმაცევტმა რომ დამამშვიდებელი შემირჩია, არ უნდა დამელია.

სიას ჩავხედე, კვახაძის გარდა ყველას მშობელი იყო. არადა, ყველაზე მეტად ამ ბავშვის დედასთან გასაუბრება მინდოდა. თითქოს აზრიანი თვალებით გიყურებს და გისმენს, მაგრამ რომ გიყურებს და გისმენს, მაგის გარდა საერთოდ არაფერს აკეთებს. როგორც დედაჩემი იტყოდა (ჩემი მისამართით): ,,ცხოვრების ბაიბურში არაა.“

ის სამი ქალი ჩემკენ წამოვიდა. აი, ხომ არაფერი, მაგრამ ნერვებზე იმოქმედა: ეს ორი ერთნაირად დგამს ნაბიჯებს: მარჯვენა... მარცხენა... მესამე კიდე – პირიქით. ამათი მარჯვენის დროს – მარცხენას დგამს. რატომ უნდა მოქმედებდეს ეს ჩემს ნერვებზე? საერთოდ, რატომ უნდა ვამჩნევდე?

მოვიდნენ. პირველმა, საიდუმლოს გამხელისას რომ იციან ხოლმე, ეგრე ჩურჩულით დაიწყო ლაპარაკი. ისე დავიძაბე, ლამის საფულედან ჩემი კორვალოლი დავაძრე.

– იცით, კვახაძე ელისაბედის დედა... – ჩურჩულებს პირველი.

რაკი ჩემზე არაფერი – ამოვისუნთქე. მგონი გავმხიარულდი კიდეც.

ეს პირველი ხომ მისტიკური იდუმალებით ჩურჩულებს და ამ დროს მეორე მიცინის და სიტუაციიდან ამოვარდნილ რამეებს ამბობს, თან ხმამაღლა:

– ისე გვიხარია ჩვენი ახალი მასწავლებელი რომ ბრძანდებით. ნიჭიერი, მშვენიერი...

პირველი მეჩურჩულება, მეორე მიცინის, მესამე დუმს.

„მშვენიერი“.

– მაინც ახალი კლასია თქვენთვის, მშობლებზე ხომ უნდა გქონდეთ წარმოდგენა... – პირვანდელი მუხტის შენარჩუნებას ცდილობს პირველი და მაქსიმალურად იდუმალი ხმით განაგრძობს ჩურჩულს.

სიტყვებს არჩევს, წვალობს. უფრო სწორად, მე ვწვალობ, თორემ ამას მგონი კვანძის გახსნის ასე გაჯანჯღლება სიამოვნებს კიდეც. ზოგისთვის რა გამძლე ნერვებს იმეტებ, მე რაღას მერჩოდი, ღმერთო?

– ხოდა კვახაძე ელისაბედის დედა... როგორ გითხრათ, ისეთია...

თავი ძლივს შევიკავე, რომ ხმამაღლა და გულგრილი გამომეტყველებით არ მეკითხა:

„– რა იყო, ბოზია?“

პირველი დაძაბული ჩურჩულებს, მეორე აქერცლილ მანიკიურს კბილით აწვალებს, მესამე არ ინძრევა. გეუბნები, რაა, სპექტაკლია!

აქტიური, არაადეკვატური და ურეაქციო. ნეტავ, რა ჯანდაბამ დაამეგობრა ესენი, რომელმა საერთო ინტერესმა? – ვფიქრობ და უცებ მახსენდება, რომ არც მე და მარუსა ვართ ნაკლები „ცა და დედამიწა.“ ცა, რა თქმა უნდა, მარუსაა და მეორე – მე. ოღონდ „დედას“ გარეშე. მარტო მიწა. შავი.

– ისეთია... ჩამორჩენილი.

როგორც იქნა, ამოთქვა და ამოისუნთქა პირველმა. მეორემ მანიკიურის ნამცეცი მსუბუქად გადმოაფურთხა მესამის მხარეს. მესამე დუმს. შესავალი და კვანძის გახსნა გვაქვს. ფინალი „არალი“.

– ჩამორჩენილი რას – მოდას?

ძალიან დებილობა კი დავაბრეხვე, ვაღიარებ. არც ხუმრობად ვარგა, არც ფინალად. დებილობად – კი.

პირველმა და მეორემ ერთმანეთს ისე გადახედეს, მივხვდი, მთელი სიუჟეტი გავაფუჭე. მარუსა ამ ფრაზას ცოტა სხვა სიტყვებით იტყოდა. საყვარლად გამოკვეთილი ჩ-თი და ჯ-თი.

საერთოდ, კრება მძაგს. არ აქვს მნიშვნელობა, მე ვატარებ თუ აქეთ მიტარებენ. ჰოდა, როგორც ჩანს, იმაზე მეტად ვიყავი დაძაბული, ვიდრე მეგონა და კრების მერე, ეტყობა, არა მარტო მოვეშვი, ავიშვი კიდეც.

– აქაა ჩამორჩენილი!

ჩემმა მიუხვედრელობამ გააღიზიანა თუ რა იყო, მოულოდნელად, ძალიან ომახიანად თქვა მესამემ და საჩვენებელი თითი საფეთქელზე მიიკაკუნა. რატომღაც – ოთხჯერ. ბევრი არაა?

– შვილიც ეგეთია. გენები... – დაამატა პირველმა. ჩურჩულით.

– აბაა... – საყვარლად შემომცინა მეორემ.

ბავშვობიდან განვიცდიდი, რომ არაფრის განსაკუთრებული, სხვებისგან გამორჩეული ნიჭი არ მქონდა და ამ წამს, ორმოცი (ნუ, ცოტა მეტი) წლის ასაკში აღმოვაჩინე, რომ ზებუნებრივი ნიჭის პატრონი ვარ: ერთ წამში სამი ადამიანის შეძულება შემძლებია.

– დირექტორი გიბარებს, სასწრაფოდ. - მარუსამ შეღებულ კარში შეღებილი თავი შემოყო. – მე სახლში მივდივარ. ხვალ გრიშკას გასვენებაში გნახავ.

– მაპატიეთ, დირექტორი მიბარებს. – ვთქვი და ავდექი.

ეგეც შენი ტრაგი-კომიკურ-გროტესკული სიუჟეტის აბსურდული ფინალი. ამ ჟანრმა რაღა დააშავა და აჰა, ბარემ დეტექტივის ელემენტებიც:

კართან მისულ მასწავლებელს, იმედგაცრუებისგან გაფართოებული თვალის გუგის ზომის ექვსი ცალი ნახვრეტი, საფანტივით დააჯდა კეფაზე. როგორია?

არა, მაინც რას ითხოვდნენ ჩემგან? შეცხადებას? დაცინვას? თუ ე(წერტილი)წ(წერტილი) „თემისადმი დაუოკებელი ინტერესის გამოვლენას?“ გაგიჟდები, კაცი, რა!

„გაგიჟდები“ ...

დირექტორის კაბინეტში შესვლამდე კეფა და მხრები კარგად ჩამოვიფერთხე და რაკი ახლო-მახლო არავი ჩანდა, ძირს დაფანტული საფანტი ბარემ ფეხითაც გავსრისე. აი, ახლა დაგენახე მარუს, მიხვდებოდი, რომ რაღაის აქშევა, დაიჩეკნენ უკვე, შეიღინღლნენ, დაფრთიანებას აღარაფერი უკლიათ. წასულია ჩემი საქმე.

3.

– მიხმობდით ბატონო ნიკოლოზ? - შევედი.

– გაგაბატონონიკოლოზებ. ყავა დავლიოთ?

– მივირთვათ.

– გადავკრათ.

– მოვწრუპოთ.

– ჩავცეცხლოთ.

– წავაგე.

– აეგრე!

მადუღარას იღებს, ყავას ყრის, შაქარსაც.

მე და ნიკო დიდი ხნის მეგობრები ვართ, კურსელები. ძალიან არქაულად კი ჟღერს, მაგრამ ეგრეა – სტუდენტობიდან მოყოლებული მყვარობს. უფრო სწორად, მთლად მოყოლებულიც არ ეთქმის, რამეთუ, წყვეტილია ტრფობა მისი. სტუდენტობაზე ხომ ვთქვი და მერე არაფერი, წავედით ჩვენ-ჩვენი გზით. ბოლოს ასე გამოვიდა, ისევ შევხვდით. ჩემი დირექტორია და რაკი ისევ ყოველდღე მხედავს – ისევ მყვარობს. აი, გადავალ ამ სკოლიდან და ისევ აღარ ვეხსომები. წყვეტილი სიყვარული სევდიანი რამეა, მაგრამ სულ არარაობას სჯობს – „სევდიანი რამეც“ რამეა.

ბოლოს, ალბათ უპატრონო მოხუცთა თავშესაფარში „გავასამებთ“ შეხვედრას და დავქორწინდებით. მერე მალევე დავიხოცებით და სიყვარულის წყვეტილობის კანონით, სანამ „ზევით“ არ შევხვდებით, ისევ აღარ ვეხსომები.

– როგორ გგონია, იმ შენი სოფლის სკოლის დირექტორი ასე თავის ხელით მოგიდუღებს ყავას? – მეკითხება.

– გამორიცხულია.

– ხოდა, რას გარბიხარ?

– ამისთვის დამიბარე? წუხელ ტელეფონით ხომ აგიხსენი, გადავიღალე, სიმშვიდე მინდა, „მიწა მიხმობს“. თან სოფელში ზუსტად ჩემი სახლის წინაა სკოლა.

– მერე რა ყრია ეგრე ცხვირწინ მუშაობაში? იქ ეგრე თმაშეღებილი და მუხლსზემოთ კაბიანი კი არ ივლი, ანნავ ჩემო, შეიძლება ვაფშემც ჩუსტებით გადახვიდე ხოლმე.

– კალოშით.

– ხალათით.

– ფქვილიანი იდაყვით.

– ღამის პერანგით.

- პერანგზე გადაცმული წინსაფრით.

– ვსო, მოდუღებულია.

– უბრალოდ, მეტი ვეღარაფერი მოიფიქრე.

– მოვიფიქრე, მაგრამ თქმა შემრცხვა.

– ბატონი ნიკოლოზი მორცხვობს.

– იქნებ უზრდელობს?

– რა თქვი, უკვე მოდუღებულიაო?

– ჰაჰაა, მოკაკვე თითი?

ნიკოსთან სისულელეებზე ლაპარაკმა დამამშვიდა. ეს სიტყვებით თამაში მარტო ერთმანეთთან გვაქვს. არის ამაშიც რაღაც ინტიმი.

წარმოვიდგინე: ერთხელაც მარუსა მეკითხება: „შემთხვევით, ჩვენს დირექტორთან ინტიმი ხომ არ გაკავშირებს?“ მე, როგორც რაიმე დიდი საიდუმლოს გამხელის წინ იციან, აქეთ- იქით თვალებს ვაცეცებ, მკლავზე ხელს ვკიდებ და გვერდზე გამყავს. მერე იმ ჩემი მშობელივით ვეჩურჩულები: „კი, გვაქვს ინტიმი – როცა ოთახში მარტო ვრჩებით, სიტყვებით ვთამაშობთ ხოლმე. ჩშშშ!“ საჩვენებელ თითს ტუჩზე ვიდებ და სახტად დარჩენილ მარუსას თვალს ვუკრავ.

ნიკო ძალიან ჩემიანია. მართლა. სასწაულად კარგი ადამიანი, მაგრამ საჩემოდ ზედმეტად მხიარული, საქმიანი და მოწესრიგებული.

დედაჩემს ნიკოს ეგ მინუსები რომ გადმოვუშალე, ხელები გაასავსავა და შეიცხადა, ცხადია – ჩემი უგუნურობა. მითხრა, რომ საერთოდაც, საღ ჭკუაზე ვერ უნდა ვიყო, გენებმა მიწია. დამაჯერებლობისთვის დაამატა, გენებში შენს დიდ ბებიას ვგულისხმობ, მამაშენის (ამას ხაზი გაუსვა) მხრიდანო. თუმცა, შენ რა გიჭირს, მალე მე გავგიჟდები შენზე ფიქრით და დარდითო. მგონი საცხოვრებლად სოფელში წასვლაც ამიტომ გადაწყვიტა, „გამერიდა“.

იქნებ სულაც მოიგონა ჩემს ცხონებულ დიდ ბებიაზე? რას გაიგებ? იქნებ, ცხელ გულზე, უნდოდა, როგორც მე გავამწარე ნიკოს დაწუნებით, ეგრე გავმწარებულიყავი თვითონაც. იქნებ მართლა მოიგონა, ჰა? მე კიდევ ავიჩემე. მარუსას უნდა ვუთხრა ერთი, რას იტყვის. ვერასდროს წარმოვიდგენდი, მარუსას თუ ფსიქოლოგად დავისვამდი. არც არავინ დამიჯერებს სკოლაში რომ ვთქვა.

ნიკოს მოდულებული ყავის პირველ ყლუპს ვყლაპავ და ვფიქრობ ჩემთვის: ჰოდა, აი მოფახფახებული ნიკო და ასეთივე მე – დავქორწინდით. თავშესაფრის დაფხავებული (ვგიჟდები „ფ“ და „ხ“-იან სიტყვებზე: დაფხავებული, მოფახფახებული, უნიფხვო) დარბაზის ცენტრში ვსხედვართ და ჩვენკენ სამი ბებერი ქალი მოცუხცუხებს. ერთი ძლივსგასაგონი ხმით ეუბნება სიძეს:

„– ეგ შენი ცოლი... ისეთია... როგორ გითხრა...“

„– როგორი, ბოზი?“ – ნიკო უკბილო პირით უცინის.

„– ლოგოლი ლამაჟი კბილის ფლოთეჟი გიკეთიათ, ფაიფულია?“ – მეკითხება აღფრთოვანებული, ღრძილებლაპლაპა მეორე.

„– გიჟია“. – ნიკოს უხსნის მესამე და საფეთქელთან თითს იკაკუნებს. ოთხჯერ.

„– მაგის დიდი ბებიაც ეგეთი იყო. გენები...“ – ამატებს პირველი.

– არსადაც არ მიდიხარ. წერტილი. – ნიკოს ხმა მაფხიზლებს.

ყავის ფინჯანს თვალი მოვაშორე და ნიკოს შევხედე. იმ თავის უკბილო მოხუცებულობის ფონზე ძალიანაც სიმპათიური მეჩვენა. ოღონდ სოფელში წასვლა მაინც არ გადამიფიქრებია.

ეს დირექტორი ბიჭი, რა თქმა უნდა, უჩემობას არ გადაყვება და რეალურად ვის ვჭირდები აქ? არავის. იქ დედაჩემს მაინც გამოვადგები რამეში. ან ჯამის გარეცხვას დამავალებს, ან ხორცის მოქაფვას დამიწუნებს, აქეთ ჭკუას დამარიგებს, იქით – შენიშვნას მომცემს, ალექსას ცოლი რომ ორსულადაა, მეასედ შემახსენებს, ძილის წინ შეშლილ ბებიაჩემზე მომიყვება რამეს და ვიქნებით ასე, მხიარულად.

ისე კი, ალექსას რომ ვუყვარდი – ეგრე არავის. არც ნიკოს, რა თქმა უნდა. ალექსას მაშინაც ვუყვარდი, როცა ვერ მხედავდა. ნახვით კიდევ, მარტო ზაფხულობით მხედავდა, როცა სოფელში ჩავდიოდი. „სოფელში ცხოვრებას რა ჯობია“ – ეს იყო ალექსას საყვარელი ფრაზა. ეგდე ეხლა ჩემო მოქირქილე და კუდყავარზეგადებულო თავო შენს თბილისურ სამოთახიანში მარტო. უზრუნველყავი ამ სამი მუქთახორა ნათურის ცხოვრება და უსინდისოდ შეუსწორე ბავშვებს ისეთი სიტყვები, რომლებითაც თვითონ მშვენივრად ელაპარაკები შენს თავს.

„– ბავშვებო, „ეხლა“ კი არა – „ახლა“. „ეგეთი“ კი არა – „ასეთი“. „ხოდა“ კი არა – „ჰოდა“.

იქვე, გზის გადაღმაა ჩვენი სკოლა. ვიქნები სოფლის შინაბერა მასწავლებელი და ალექსისთვის გულის მოკვლის ცოდვას ასე გავაბათილებ. ნეტა ალექსას ბებია ცოცხალია?

„წლები აწვალა ქალო, ჩემი ბიჭი, წლები! არც ჰო უთხრა, არც არა, სათესლე კიტრივით ჩამააბერა და ეხლა როგო ეუბნება არაო?! ეხლა ვიღა ნახოს ამანაც?!“

ნახა, „როგო“ ვერ ნახა... ალბათ რამდენჯერაც ალექსას შვილები ჩვენს ღობეს ჩაუვლიან, გამეფიქრება, რომ შეიძლება ჩემები ყოფილიყვნენ. ოღონდ, თუ ალექსას ემგვანებიან – მარტო მაშინ, თუ იმის ცოლს დაემსგავსნენ, არაფერიც არ გამეფიქრება, რატომ უნდა გამეფიქროს რო?

„– ბავშვებო, „რატო“ კი არა – რატომ“.

4.

– გავარკვიე, სადაც უნდა დამარხონ გრიშკა, წამო ჩემი მანქანით, გზაში შენს ამბებს მომიყვები.

მარუსა თავის ვერცხლისფრად მოლაპლაპე მანქანისკენ მიმარბენინებს.

– რა ვიცი... – ღვედს ვიკრავ თუ არა, ვიწყებ. – ჰალუცინაციები მაქვს, რეალობა-წარმოსახვას ერთმანეთში ვურევ.

– ბოლოს როდის დაგემართა?

როგორც ალექსას ბებია იტყოდა: „ჩაქრი შენა!“ ისე მეკითხება, თითქოს სიმღერის მასწავლებელი კი არა, სტაჟიანი ფსიქოლოგი იყოს. ესეც კიდევ ერთი სპექტაკლი. უფრო სწორად – კინო. მარუსა უფრო კინოს გოგოა, თეატრისა მე ვარ.

– ბოლოს როდის, მარუს და სანამ აქ ჩავჯექი. მომეჩვენა, რომ შენს მანქანას ფარებზე შენსავით, პლასტმასის წამწამები ჰქონდა მიწებებული.

– ჰაჰაჰაااااა – კისკისებს მარუსა.

ეგეთია, კი არ იცინის – კისკისებს. კისკისი, ღიღინი, ფარფატი, ფახულია ამისი. როგორც ჩემი – ფართხა-ფურთხი. კიდევ კარგი „ფართხა“-ც ურევია, მაგის გარეშე რაღა დავრჩებოდი?

– გოგოოო, – ვერ ჩერდება მარუსა, – კი არ მოგეჩვენა, მართლა უკეთიااა!

მანქანასაც, კაცო? ვااახ!.. ეგეც აპაჭუნებს?

ცოტა ხანს არაფერი, მერე ვუყვები, რომ ჩემი მოსწავლეების გარდა არავის დანახვა არ მინდა. განსაკუთრებით, მათი დედების. იქნებ მშურს, მარუს, ჰა? ერთი გაკნაჭულ კანჭებიანი გოგო მეც რომ მყოლოდა, იქნებ, ამათი დედებიც მყვარებოდა. უაზროდ დავდივარ სახლი-სკოლა, სახლი-სკოლა. გამონაკლის შემთხვევაში: სახლი-სკოლა-სასაფლაო-სახლი. ყველაფერს უნდა შევეშვა, აღარ შემიძლია. დავიღალე. სოფელში გადავდივარ. წელს დავისვენებ და მომავალ წელს სოფლის მასწავლებლობას დავიწყებ. თუ ვივარგე.

– ნუ სულელობ, ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილებაა, გაგივლის.

– არ გამივლის. ნიკოსაც ვუთხარი უკვე. არავის დანახვა არ მინდა. არანაირი მიზანი და გეგმა და ოცნება არ გამაჩნია, გესმის? რეალურად, არც არავის არაფერში ვჭირდები. ეს ბავშვებიც აუცილებლობის გამო შემომციცინებენ, თორემ არავის სჭირდება არც ჩემი ცოდნა, არც დახმარება, არც სიყვარული. არაფერი. ბოლო დროს ძალიან გავუტიე, ყველა წვრილმანს შეუძლია ნერვები ამიშალოს, გული ამიჩუყოს, ამატიროს. აჰა, ხედავ? – თვალიდან ჩამოდღაბნილ ტუშს თითით ვიწმენდ.

– ნუ უმიზეზო ტირილი, საერთოდ, დეპრესიის ნიშანია, მაგრამ დღეს გრიშკას ვმარხავთ და ტირილი ბუნებრივია... მოდი, რაა, გავმხიარულდეთ.

– და აბა, რომ ვმარხავთ?

გრიშკა – როგორც მარუსა ეძახდა, ანუ გრიშა ძია – როგორც მე ვეძახდი, ჩვენი სკოლის დარაჯია. იყო. კეთილი, კეთილი – სასწაული. დიდი ღიპით, პატარა, უთმო თავით. ამ თავზეც – პატარა შუბლით, მრგვალი თვალებით, თეთრი, ქვემოთ დაშვებული ულვაშით და განიერი ღაბაბით. გულში სელაპს ვეძახდი. ყოველგვარი სარკაზმის გარეშე, მართლა სიყვარულით. ადრე მაგას ვუყვებოდი მარუსას, შორიდან რომ ვხედავ, მართლა მეჩვენება რომ დერეფანში სელაპი მოტყაპუნობს-მეთქი. მაშინ მითხრა მარუსამ „მდიდარი ფანტაზია გაქვს“. მეამა. პირველი სიტყვა - განსაკუთრებით. მარტო ხელფასი ხომ არაა ცხოვრება, არა? ყველა სიტყვის მორგების შანსი არსებობს.

– გამხიარულება მაინცდამაინც სიცილი კი არაა, გოგო, ისე გავერთოთ, უსიცილოდ. – არ მეშვება.

ხასიათის გამოკეთება მართლა მჭირდება, გრიშა ძია მაპატიებს. თუ რა თქმა უნდა, მიცვალებულის სულებს ცოცხლების აზრების კითხვა არ შეუძლიათ. განსაკუთრებით – მათთვის გულში შერქმეული ზედმეტსახელების.

– ერთი თამაშია, მარუს, სიტყვებით თამაში... აი, მე ხომ ვთქვი წელან, ყველაფერს შეუძლია ამატიროს-მეთქი. „ამატიროს“ ამაზე ავაწყოთ.

– მე რა უნდა გითხრა?

– მაგალითად – აგაბღავლოს. მოდი თავიდან. ამატიროს.

– აგაბღავლოს.

– ამაქვითინოს.

– ასეთი მოსაწყენი რამეებით თუ ცდილობ ხოლმე გამხიარულებას, გასაგებია, რატომაც არ გამოგდის... კარგი, ეხლა რომელი სიტყვა უნდა ვთქვა?

– კარგი, არაფერი.

– ვერ ვივარგე, ხომ? სიმღერებზე რომ იყოს, მე მოგიგებდი, არა?

– რა თქმა უნდა! – ვეუბნები და საკუთარ თვალში ვმაღლდები – ეგე, მარუსასაც კი დასჭირდა ჩემი გამხნევება!

გრიშა ძიას დასაფლავების დროს მარუსას დაურეკეს და სასწრაფოდ გავარდა, მე არ გავყევი. ეშმაკი შემიჩნდა, ვიდექი და სისულელეებს ვფიქრობდი. მაგალითად: „რა ცოდოა გრიშა ძია – სელაპი და მშრალ მიწაში?!“ არადა ძალიან მიყვარდა გრიშა ძია, მართლა.

ყველა რომ თავის გზაზე წავიდ-წამოვიდა, მე საფლავის ქვებს დავუარე. რა კარგია, რომ მარუსა ვერ მხედავს. სიტყვებით თამაშის მოსაწყენობა რა მოსატანია ამ ჩემს ეგზოტიკურ გასართობთან. ბავშვობიდან მიზიდავს მკვდრების ფოტოების თვალიერება. როგორც ჩანს, არც პატარა ვიყავი მთლად დავარცხნილი ფსიქიკის პატრონი.

– გამარჯობა, მასწ.

აუდიო ჰალუცინაციებიც დამეწყო?

მოვტრიალდი და გარბის უკვე. ჩემი მოსწავლეა, კვახაძე ელისაბედი. არ მომჩვენებია.

თვალი გავაყოლე, ერთ საფლავთან მივიდა, ქალი დგას იქ, ჩემკენ ზურგით, სავარაუდოდ, დედამისი. სირცხვილით როგორ ვაღიარო და უცებ ვიფიქრე, ჩუმად გავიძურწები აქედან, იმ სამმა ხომ მითხრა, რომ... და უცებ ჩემი თავიც ისე შემზიზღდა, როგორც მაშინ ის სამი ქალი. როგორც ჩანს, იმ ჩემი ზებუნებრივი ნიჭის ბონუსია. თუ სამს ერთად შეიძენ ერთიც მოყვება კი არადა, თუ სამს ერთად შეიძულებ, ერთხელაც თვითონაც მიყვები.

მივედი. ცოტა დაძაბული, მაგრამ მაინც მივედი. ვხედავ, ელისაბედი ნაჭრით ქვას აპრიალებს და ქვაზე რომ ქალის ფოტოა - საიდანღაც

მეცნობა. მალევე ვიხსენებ – ფოტოზე შავიდეიდაა. კი, ისაა - შავიდეიდა. ასე ვეძახდით.

ანუ რა გამოდის, ეს ზურგი როზასია?!

5.

ზუსტად არ მახსოვს, ჩვენმა რომელმა კლასელმა შეარქვა როზას დედას მეტსახელი. შავიდეიდას ყოველთვის კოჭებამდე შავი, გრძელმკლავებიანი კაბა ეცვა. მზეზე გახუნებული შავი. ნებისმიერ ამინდში. დილით, როგორც კი გაკვეთილები იწყებოდა და სკოლის ეზო მშობლებისგან ცარიელდებოდა, კარგად ჩანდა, როგორ უძრავად იდგა შავებში ჩაცმული ქალი ეზოს ყველაზე მაღალი ხის ქვეშ. როცა ნიავი იყო, მხოლოდ ხის კენწერო ირხეოდა. ქარის დროს კი, თითქოს ვიღაც დიდი, უხილავი მტვერსასრუტით ექაჩებოდა შეფოთლილ ტოტებსა და გახუნებულ კაბას. ფოთლები და კაბის კალთა გადარჩენისთვის იბრძოდნენ, ხე და ქალი კი უძრავად იდგნენ, თითქოს ეს ამბავი მათ არ ეხებოდათ.

სასწაული სანახაობა იყო. ქარში ეს ქალი ნამდვილს არც ჰგავდა. თითქოს მისტიკური პერსონაჟი იყო რომელიმე წიგნიდან ან ფილმიდან. არ ვიცი ამას ფიზიკურად როგორ ახერხებდა, მაგრამ გაკვეთილების ბოლომდე ასე უძრავად იდგა და იცდიდა. ერთხელ დავინახე, როგორი სიყვარულით და სიამაყით გაუბრწყინდა თვალები, როცა როზა მიუახლოვდა (თვითონ როზას გაბრწყინებული თვალები, არასდროს მინახავს), ხელი ჩაკიდა და წავიდნენ. დედა-შვილის ამ შეხვედრის სცენამ, ჩემზე, ისე იმოქმედა, დღემდე, არცერთ ფილმს რომ არ უმოქმედია. მახსოვს, მეორე დღეს როზას კანფეტები მივუტანე და დავმეგობრდით, ოღონდ, ამ დამეგობრების ამბავს სხვებთან არ ვიმჩნევდი. როზას, ამის გამო, საყვედური არასდროს დასცდენია.

ახლა, უსინდისოდ, მესამე პირში უნდა ვთქვა, იმიტომ რომ პირველ პირში თქმა საკუთარ თავს აუცილებლად შემაზიზღებს: კლასელები როზას დასცინოდნენ. მისივე გასაგონად, „ჩვენი დამლაგებლის მოსახელეს“ და „შავიდეიდას გოგოს“ ეძახდნენ. ჩვენს დამრიგებელს არასდროს, არასდროს აუხსნია ჩვენთვის რომ დაცინვა ამაზრზენი საქციელია. არც უთხოვია, არც მოუთხოვია, არც მკაცრად გავუფრთხილებივართ, რომ როზას ასე აღარასდროს მოვქცეოდით.

როზა საუკეთესო მოსწავლე იყო, გაკვეთილები ყოველთვის მომზადებული ჰქონდა, მაგრამ ამის შესახებ ჩვენ ორის გარდა, არავინ იცოდა. იმის შიშით, რომ რაღაც შეეშლებოდა და დასცინებდნენ, დაფასთან არასდროს გამოდიოდა.

ერთხელ როზამ თავის ნახატები მაჩვენა. ჩამოყალიბებული მხატვრის ნახატები! ახლაც მიკვირს, ასეთმა მორიდებულმა, როგორ გაბედა, დამრიგებელს მიუტანა, აჩვენა და ერთი, ყველაზე ლამაზი – აჩუქა. მერე, ის ნახატი მასწავლებელს რომ თავის მაგიდაზე „დარჩა“, მეც დიდი გამბედაობა გამოვიჩინე, უკითხავად ავიღე და ჩანთაში ჩავიდე. ალბათ, იმიტომ გავბედე, რომ დარწმუნებული ვიყავი, არ მოიკითხავდა.

ახლა რომ ვფიქრობ, რა მოხდებოდა, იმ მასწავლებელს გაკვეთილზე ეთქვა: „ბავშვებო, ნახეთ, როზა რა კარგად ხატავს! ყოჩაღ, როზა, ძალიან ნიჭიერი გოგონა ხარ!“ იქნებ ამ ორ ფრაზას როგორ შეეცვალა კლასელების როზასადმი დამოკიდებულება? იქნებ როზამ სწორედ ამ იმედით გაბედა მასწავლებლისთვის თავის ნამუშევრების ჩვენება? ღმერთო, როგორ შეეძლო იმ ქალს, ასეთი გულგრილი ყოფილიყო?!

– როზა! ანა ვარ! – ვეუბნები, – მიცანი?

მახსოვს, ერთხელ დედაჩემის ტელეფონზე საუბარს მოვკარი ყური, თურმე იმიტომ ყარაულობს, რომ ბავშვის მამამ არ მოინდომოს გოგოს სკოლიდან წაყვანა, ეშინია, შვილი არ წაართვასო. მაშინვე მივხვდი, ვისზეც იყო საუბარი.

კი, მიცნო როზამ. ეჭვიც არ მეპარებოდა. ერთი ეგაა, ელისაბედის მასწავლებელი ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი, რეაქცია არ ჰქონდა. რატომ მეგონა, რომ უნდა გახარებოდა?

– ელისაბედიც შენსავით კარგად ხატავს? – ვკითხე და ვიგრძენი, გავწითლდი. რითი განვსხვავდებოდი იმ ჩვენი გულგრილი დამრიგებლისგან? არაფრით.

– არა, ელისაბედი ჭადრაკს თამაშობს.

– ჭადრაკს? – გულწრფელად გამიკვირდა.

– თან იცი როგორ? ძალიან სერიოზულ მოჭადრაკეებს უგებს. დიდ ქალებს და კაცებს.

– არ ვიცოდი...

– საიდან გეცოდინებოდა, ჩემზე იცოდნენ რამე მასწავლებლებმა? – რაღაცნაირად ეღიმება, ტუჩის კუთხეებს, ზემოთ აწევის ნაცვლად, ქვემოთ ქაჩავს. – მე შენ მაინც მყავდი გულის გადასაშლელად, ამას – არავინ.

უცებ ისე შემრცხვა მაშინ ელისაბედზე ხუმრობით გაფიქრებული დედაჩემის ფრაზის გამო, რომ ვიგრძენი – ოფლმა დამასხა.

– დედაშენი, დარწმუნებული ვარ, ბედნიერი წავიდა. შენი დაცვა შეძლო. – რამე სასიამოვნოს თქმა მინდოდა და სხვა ვერაფერი მოვიფიქრე.

– პირიქით, უბედური იყო, რომ ეს „დაცვა“ გამოუვიდა. სინამდვილეში, ეგონა, მამაჩემი ერთხელ მაინც მოვიდოდა ჩემს სანახავად და ამ ბედნიერი წუთის გამოტოვება არ უნდოდა.

ახლა ჩემებურად თუ არ ავღრიალდი, გავსკდები.

– იცი, ანა, ზოგჯერ ვფიქრობ, კლასელები სახელზე რომ დამცინოდნენ... – ესეც მესამე პირში ამბობს, – რა მოხდებოდა, სხვა თუ არაფერი, ის მაინც ეთქვა მასწავლებელს, რომ როზა სხვა ენაზე ვარდს ნიშნავს. იქნებ მერე ისეთი დასაცინიც აღარ მოსჩვენებოდათ, რა ვიცი. სახელი და დედაჩემის სკოლის ეზოში დგომა - მარტო ეს ვიყავი ყველასთვის, სხვა არავინ და არაფერი. ელისაბედის სკოლის ეზოში ფეხს არ ვაბიჯებ, დაფიცებული მაქვს. თითქოს სახელიც კარგი დავარქვი, მაგრამ საშველი არაა. ესეც ჩემს კვალზეა.

– როზა!

თვალით ელისაბედზე ვანიშნებ, გაჩუმდი, გვისმენს-მეთქი. როზამ ისევ თავისი ამოტრიალებული ღიმილით გაიღიმა და ისეთი ფრაზა თქვა, ჩემს წკიპზე შეკავებულ ტირილს მეტი კი არ უნდოდა.

– არ იცნობ, შენ ამას, ანა. ეს ისეთი ბავშვი კი არაა, როგორიც სხვები. ამის ბავშვობა დიდი ხნის დამთავრებულია. ახლა ეს უკვე ჩვენხელაა, გვისმინოს, არა უშავს.

6.

დილით, გაკვეთილების დაწყებამდე ნიკოსთან შევედი.

– რა იყო, ქ-ნო ანნა, სოფლის ავტობუსი ადრე გადის და დასამშვიდობებლად შემოირბინეთ? – წამკბინა.

– წასვლა გადავიფიქრე, ნიკო, ვრჩები.

მართლა გაუხარდა. ეგეთ რამეებს მაშინვე ვგრძნობ.

– ოღონდ, ერთი პირობით. – დავამატე.

– რომ აბაზანის სარკეს კბილის პასტის წვეთებს არ მივაშხეფებ და გამოცვლილ ტანსაცმელს დივანზე უწესრიგოდ არასდროს მივყრი?

– ნწ. – გამეცინა, – რომ ჭადრაკის სასკოლო ჩემპიონატს გამართავ.

– და გამარჯვებულს, თუკი ეს სკოლის დირექტორი გამოდგა – ცოლად გაყვები?

– ნიკო, არ ვხუმრობ, საქმიანი წინადადებით ვარ მოსული. სასკოლო ჩემპიონატი ჭადრაკში – მოსწავლეებს შორის. კარგი?

– იყავნ ნება შენი – სასკოლო ჩემპიონატი ჭადრაკში - მოსწავლეებს შორის. კარგი.

არ ვიცი, რა მოხდა, მთელი დღეა, მარუსასავით ვკისკისებ და ის ჩემი შიშების შავ-შავი შაშვები თუ რაცაა, სულ (დედა-)ბუდიანად მოვგლიჯე და ჯანდაბაში მოვისროლე. არც ეგეთი აბსურდული ყოფილა მარუსას თეორია ღმერთის გამოგზავნილ ენერგიაზე. აქამდე თითქოს ეკალ-ბარდებს მივედ-მოვედებოდი და უცებ გზა გამოჩნდა.

ალბათ, ჩემმა ქვეცნობიერმა, ჩემი და როზას ღმერთთან ერთად, მასწავლებლობა იმიტომ გადამაწყვეტინა, რომ როცა ცხოვრება ბორბალს დიდ წრეზე დაატრიალებდა და იმ ორმოსთან მიმიყვანდა, სადაც ჩემი ბავშვობის სცენა დროის სხვა სარტყელში ისევ მეორდებოდა, შანსი მქონოდა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი გამეკეთებინა, რომ ამ ბორბლის შემდეგ წრეზე, ჩემს მერე მომსვლელს, აქ, ამ წერტილში, კიდევ ერთი ასეთი ორმო აღარ დახვედროდა.

ძილის წინ არათუ არ მიტირია, ძნელი დასაჯერებელი კია, მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ სიმართლეს ვამბობ: მთელ სახლში ერთი, ერ-თა-დერ-თი (!), მხოლოდ საძინებლის ნათურა დავტოვე ანთებული.

დილით ადრე ავდექი. ადრე და მხნედ. ყველა ეპოქის გამოჩენილი ელისაბედი დავგუგლე, გადმოვწერე, ცუდი რამეები წავშალე, კარგები – დავტოვე და ფლეშკით სკოლაში მიმაქვს, ამოსაბეჭდად.

სკოლაში ფეხი შევდგი თუ არა, ტრადიციულად, გულში ვთქვი: ,,გრიშა ძიას გაუმაჯოს!“ და არ ვიცი რა ეტაკა, მარუსამ ჩამავლო ხელი, ჩემს კლასში შემარბენინა, სკამი დამიდგა, თვითონ მერხზე ჩამოჯდა და მეუბნება:

– მიდი აბა, მოყევი შენი ამბები, სანამ არავინაა.

ფიქრებით სხვაგან ვიყავი და უცებ კარგად ვერც გავიაზრე, რა უნდოდა. მალევე გავაცნობიერე, რომ ჩემი წუწუნის მოსმენა, რჩევის მოცემა, ჩემი დამშვიდება – მარუსას ცხოვრების ნაწილი გამხდარიყო. მარუსას ახალი ფუნქცია. დასტური იმისა, რომ ვიღაცისთვის მისი არსებობა უმნიშვნელოვანესი ამბავია. იქნებ, უფროსკლასელი მარუსა, სულაც ფსიქოლოგობაზე ოცნებობდა და არა სიმღერის მასწავლებლობაზე. რას გაიგებ?

– ჰა, მოყევი, როგორ ხარ? – ისე მომჩერებია, თითქოს ერთი სული აქვს, როდის დაიწყება რაღაც, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რიტუალი.

მარუსა, ჩემი თვალებფახულა, კეთილი მარუსა.

ამ წამს მივხვდი, რომ ცალმხრივი დახმარება არ არსებობს. რამდენიმე დღის წინ ვერაფრით დავუშვებდი, რომ ჩემი გაუთავებელი წუწუნის მოსმენა და რჩევების მოცემა, შეიძლება მარუსასთვისაც რამის მიმცემი ყოფილიყო. აბა, რა იცის ელისაბედმა, მისი დახმარების გადაწყვეტილების მიღება, საკუთარი პრობლემის გადაჭრაში როგორ დამეხმარა. რას წარმოიდგენს, მისი პრობლემის მოგვარებით, თავიც რომ უნდა გადავირჩინო. ადამიანები ვძლიერდებით, როცა ვგრძნობთ, რომ ვიღაცას ძალიან ვჭირდებით.

ვუყურებ მარუსას, ჩემს მეგობარ მარუსას, იმის დახმარების სურვილით აციმციმებულ თვალებს ვუყურებ და ვგრძნობ, ახლა ჩემი „კარგად ვარ“ მისთვის „აღარ მჭირდების“ ტოლფასი იქნება.

თავს ფანჯრისკენ ვატრიალებ (რა ლამაზი ხედი ყოფილა, აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე?).

– ეჰ, ჩემი საქმე წასულია, მარუს...

ვეუბნები და ზურგსუკან, ჩემი პატარა მოსწავლეებივით, „ნიჩურიტას“ ვაკეთებ.

ბესო ხვედელიძე

ჯიღეტანტი

„ჰკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჰკვა ცოდნით მოიხმარების“.

კალი იუგა

1980 წელს ჟურნალი „თბილისის ფაუნა“ თბილისის ზოოპარკის შინაურულ ამბებზე ეგეთებს წერდა: „ვეფხვმა როზამ ტიხარი გაანგრია, ლომის გალიაში შეიჭრა და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა... აქამდე მეტად მშვიდმა და თვინიერმა ხარ-ირემმა „კოხტამ“ მეზობელ ვოლიერში პატარა ლამა რქებით დაჭრა. მსგავსადვე მოეპყრო შფოთვაშეყრილი ხარ-ირემი ზოოპარკის მომვლელ ქალს – მრავალშვილიან მაყვალა სრისანიძეს...“ „თბილისის ფაუნაში“ წერდნენ იმაზეც, თუ როგორ დაჭრა ბეჰემოთმა „ტანიამ“ თავისი მეწყვილე „შალუნი“ – „შალუნისა და ტანიას მოცქირალმა ლომმა „კალიგულამ“ გალიის იატაკზე მცირე ხვრელი იპოვა, ღონიერი ბრჭყალებით იატაკს ერთი ფიცარი ააგლიჯა, შემდეგ მეორის აგლეჯვას ცდილობდა, რაც სრულებით საკმარისია იმისთვის, რომ გარეთ გავიდეს...“ მეოცე საუკუნის „ტკბილოთხმოცდაათიანებში“ თბილისის ზოოპარკის მდგომარეობა ბევრმაგად დამძიმდა. ყოვლად ჟღალი სამოქალაქო ომის გადამკიდე, დედაქალაქის ზოოპარკს ყურადღებას აღარავინ აქცევდა. სწორედ იმ პერიოდში შიმშილისგან ბევრმა ცხოველმა გაფშიკა იქ ფეხი. ამურის ვეფხვები, თეთრი დათვი, აზიური ჯიქის ოჯახი, ბენგალური ვეფხვები, ზებრების ოჯახი, აფრიკული კამეჩის წყვილი, ოცელოტის წყვილი – ყველას ამ ავბედითმა პერიოდმა მოუღო ბოლო. ეგ კი არა, ზოოპარკის თანამშრომლები, უსახსრობის გამო, იძულებული იყვნენ, ერთი მკვდარი ცხოველით მეორე (ჯერ კიდევ ცოცხალი) გამოეკვებათ და ეს ყველაფერი თავისი თვალით ენახათ.

***

დედისერთა შოთიკოს ფაუნასადმი უსაზღვრო სიყვარულის ნიჭი პაპის, ცნობილი სოციალისტური შრომის გმირის, ზოოლოგ როსტევან ლომიძისგან დაჰყვა – ასე ვარაუდობდნენ მისი, საბჭოთა ცალგანზომილებიან, მატერიალისტურ გაგებაში ღრმად ჩარჩენილი, მწვავედ დანევროზებული პედაგოგი მშობლები ავთო და თინანო. ბაღის ასაკიდან მოყოლებული რას აღარ მოათრევდა ხოლმე შოთიკო სახლში ოჯახის გულისსახეთქად: კუ, ზღარბი, ზაზუნა, წყლის გველი, მერცხალი, ძაღლის ლეკვი, კნუტი, ციყვი, ბუ, ზღვის გოჭი, გომბეშო – ყოველ მათგანს შოთიკოს ბინაში მონაცვლეობით, ზოგსაც კი, სულაც ერთად ჰქონდა რაღაც პერიოდი გატარებული. თავნება და ცხვირაწეული შოთიკოს გაბრაზებას ბავშვობიდან ყველა ერიდებოდა (ისტერიკული გადაფიჩინება და გულყრა იცოდა სასტიკი), შოთიკოსთან პედაგოგიკურ მიდგომებში ავთოც და თინანოც საკმაოზე მეტად მოიკოჭლებდნენ, შესაბამისად ამ ცხოველ-ფრინველის მასობრივი ექსპანსიის საპროტესტოდ ოჯახში კრინტს ვერავინ ძრავდა.

ერთ გრილ საღამოს, შოთიკომ საიდანღაც საერთოდაც უზარმაზარი, თვალებგადმოკარკლული ხვლიკივით არსებაც კი მიიყვანა სახლში და კივილით აყარა სკამებზე მთელი ოჯახობა. მერე ეს მოზრდილი ხვლიკის ბიძაშვილი, მას და ცნობილ როსტევან პაპას კაი ხანს წყლით სავსე სააბაზანოში ჰყავდათ გამოკეტილი, მშობლები კი, ამ არსების შიშით, მეზობლებში იბანდნენ ტან-პირს. ყველაფერი მას შემდეგ დალაგდა, როდესაც გაირკვა, რომ ეს ხვლიკი კი არა, პაწაწინა ნიანგი იყო, რომელიც შოთიკოს ზოოპარკის ტბორიდან ოსტატურად აეცინცლა. ავთოს და თინანოს დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, შოთიკომ და როსტევან პაპამ აბაზანაში გამოკეტილი ხვლიკისხელა ნიანგი ზოოპარკს ერთად, საზეიმოდ ჩააბარეს და ფეთქებადი ოჯახური ატმოსფეროც მაშინვე განიმუხტა.

სახლში დედ-მამისა და პაპის, ხოლო სკოლაში, პედაგოგთა მთელი დასის ზერელე მცდელობების მიუხედავად, სკოლაში სწავლითაც არ იცლავდა თავს შოთიკო. მთელი თერთმეტი წლის განმავლობაში ერთი

ისეთი მასწავლებელიც კი არ შეხვდა, რომელიც მის მწირ თვალსაწიერს სხვანაირ წყალს დაუსხამდა, გააფართოებდა და უფრო გონივრულ კალაპოტში მოაქცევდა. ამის გამო იყო, რომ სასწავლებლის დამთავრებისას დიდად ვერც კი განარჩევდა ერთმანეთისგან შ-ს და წ-ს, და ძ-ს და ხ-ს. ზოგადსაკაცობრიო ამბებისა და გარე დარგების ხომ საერთოდ არაფერი გაეგებოდა – მთელი მისი გულისყური მხოლოდ ცხოველ-ფრინველისკენ იყო მიპყრობილი პრიმიტიულად. ამ მხრივ სახლის მდებარეობაშიც გაუმართლა შოთიკოს:

ის ხილიანის ხევის პირას მდგარ კორპუსში ცხოვრობდა, საკუთრივ ხევში კი, ცხოველთა ვოლიერებით გადაძეძგილი ზოოპარკი იყო გაშლილი. შოთიკომაც ზეპირად იცოდა ყველა იქაური ბინადრის ავან-ჩავანი. ის ლამის ყოველ საღამოს სცემდა ბოლთას ზოოპარკში კლასელ ძმაბიჭებთან ერთად და სასაცილო პაპიროსებს აგემოვნებდა. ეს იქამდე, ვიდრე ზემო კორპუსის ფანჯრიდან დედა-თინანოს პირმეხი კივილი არ გაჰკვეთდა ფიჭვის სურნელით გაჯერებულ ზოოპარკის ჰაერს და შოთიკოსაც ახსენდებოდა, რომ სახლშიც პატარა ზოოპარკი ელოდა ცისფერი თუთიყუშების, კატის ზოლებიანი კნუტის, დაყრუებული ტერიერის, ჭაღარა ბუს, ოთხი პატარა კუს, უზარმაზარი ზღარბის, დედ-მამისა და როსტევან პაპის სახით.

ცხოვრებაში პირველად რომ გააბოლა პაპიროსი, შოთიკომ მეტად უხერხულად იგრძნო თავი. ბიჭები ერთხმად ახვიხვინდნენ და მისკენ იწყეს თითის შვერა – შოთიკო სერიოზული სახით იდგა და ყოველ მათგანს ატყობდა უცნაურ ცვლილებას, რასაც თავად ვერაფრით გრძნობდა საკუთარ თავში. ასე განმეორდა კიდევ რამდენჯერმე. შოთიკო მუდამ მონუმენტივით სერიოზული იყო. მერე, ერთხელაც ისე მოხდა, რომ შოთიკო ტკივილამდე ფეხებგაპარსულმა უცხოელმა ცოლ-ქმარმა ტურისტმა დააბოლა ზოოპარკში. სულ ორი ნაპასი შეხვდა გადმოწოდებული პაპიროსიდან, თუმცა ესეც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, შოთიკოს ერთი მხარგრძელად გაეღიმა და თვალები ნებიერად მოეხუჭა.

დახუჭულ თვალებში ნამდვილი ჯუნგლისპირეთი ნახა შოთიკომ იქვე დუნედ მოლივლივე, ნიანგებიანი მდინარითურთ. გახევებული იდგა მდინარის პირას. ჭრიჭინების ლაღი ჭრიჭინი კეთილთვისებიანი ჭვალივით დაუდიოდა სხეულში. სადღაც ბაყაყების გუნდი გამოდიოდა. მეტზე ვერ წავიდა წინ შოთიკო იმ ჯერზე. ის იმავე უცხოელებმა მოაფხიზლეს - რა გჭირსო. შოთიკოს მადლობის თქმაც კი დაავიწყდა, იმდენად მოხიბლული იყო ამ აღმოჩენით. უთქმელად გატრიალებული ამაყად გაუყვა ზოოპარკის ხეივანს მდინარე ვერესკენ. ბუჩქებში გამძვრალი ქვაზე ჩამოჯდა და მდინარეს ჩააცქერდა. აქაც დახუჭა თვალი შოთიკომ და ისევ ჯუნგლისპირა მდინარესთან აღმოჩნდა. სურათი არ შეცვლილიყო. შოთიკო ვერაფრით მიხვდა მაშინ, რომ უბრალოდ ნაბიჯი უნდა გადაედგა და ყველაფერი ისე წაეწყობოდა, როგორც თავად მოისურვებდა. თუმცა კი, ადგილზე მდგომმა მაინც დაკვირვებით მოათვალიერა იქაურობა. ერთი, რაც კარგად დაიმახსოვრა, მდინარის ნაპირზე უპატრონოდ მოტივტივე, ბამბუკისგან შეკრული ტივი იყო. იქვე, სველ ლამში ბამბუკის ჯოხიც იყო დარჭობილი. შოთიკომ თვალი გაახილა და პროექციის გაგრძელება შემდეგი მოწევისთვის გადადო. ამის მერე ყველაფერი კალაპოტში ჩადგა.

***

უმაღლესში ჩაბარების დრო რომ მოახლოვდა, შოთიკოს მშობლები და როსტევან პაპა მიხვდნენ, რეპეტიტორებში ფულის ხარჯვა იმავე ფულის მდინარე ვერეში გადაყრის ტოლფასი იქნებოდა. ანდა, სად იყო ასეთი, არაფერში გადასაყრელი ფული. გზაც უცებ მოინახა: ყველაფერი ისევ შოთიკოს ცხოველების მიმართ სიყვარულმა გადაწონა. ზოოვეტი უმაღლეს სასწავლებელთაგან საუკეთესო ვარიანტი აღმოჩნდა ვაჟის გასასტუდენტებლად, მაგრამ იქ ჩასაბარებლადაც მომზადება იყო საჭირო, რაც ისევ ართულებდა საქმეს. ენერგიულმა დედა-თინანომ ტელეფონზე აქეთ-იქით რეკვით საჩვენებელ თითზე კოჟრი გაიჩინა, მაგრამ იმდენი კი გაიგო, რომ დარგობრივად მიახლოვებულ ადგილას ერთწლიანი მუშაობის „სტაჟ-გამოცდილება“ შოთიკოს უგამოცდოდ ჩარიცხავდა ზოოვეტში და სტუდენტად აქცევდა. დიდი დავი-დარაბა ამას უკვე აღარ დასჭირვებია _ ყველაფერი თბილის-ქალაქურად მოგვარდა: სოციალისტური შრომის გმირის, დამსახურებული ზოოლოგის როსტევან ლომიძის სახელმა ყველაფერი გადაწონა და მისი მხრიდან პროტეჟეობაც იოლად გაიწია – შოთიკო ზოოპარკის ცხოველების მომვლელ მუშაკთა შტატში უპრობლემოდ ჩაირიცხა. მალე ამ ამბავს როსტევან პაპაც პირზე მრავლისმეტყველი ღიმილით გადაჰყვა და გაცილებით უკეთეს სამყაროში დაიდო ბინა.

ამის შემდგომ, შოთიკო სახელოვანი როსტევან ლომიძის საქმის „ღირსეულ“ გამგრძელებლად იქცა, რაზეც მოწმობდა ის შავ-თეთრი ფოტო, რომელიც პიანინოს თავზე ეკიდა. იქიდან, რაც უნდა გასაკვირი ყოფილიყო, როსტევან პაპა, რომელსაც შოთიკო ძალიან ჰგავდა, ყოველდღე სულ უფრო ფართოდ უღიმოდა ყველას და თან მქრქალდებოდა. ამას ყველანი ამჩნევდნენ. მამა-ავთანდილი ამ ფაქტს ფოტო-ქაღალდის დაძველებას მიაწერდა, დედა-თინათინი ფოტოგრაფიის მომგონს და თანამედროვე ფოტოგრაფებს წყევლიდა, შოთიკო არაფერს ამბობდა – უბრალოდ როსტევან პაპის გაღიმებულ ფოტოს ხანგამოშვებით, შეთქმულის ღიმილით უკრავდა ხოლმე თვალს, თითქოს მსოფლიოში ყველაზე მეტი ესმოდა და საერთოდ რამე გაეგებოდა.

სამსახურში სიარული შოთიკოს ყოველდღე უწევდა. სამუშაო მარტივი იყო: ზოოპარკში ადრიანად მისულს სწრაფად უნდა გამოეცვალა სამოსი, გადაეცვა სპეციალური უნიფორმა და წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით დაენაწილებინა საკვები არცთუ დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრებისთვის ვოლიერებში.

თავიდანვე გაუიოლდა ამ საქმის შესრულება შოთიკოს. ცხოველ-ფრინველებმა მაშინვე როგორც აშკარად შინაური, ისე მიიღეს ის. შესაბამისად, შოთიკოს ზოოპარკის თითქმის ყველა ცხოველთან ახლო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა: სულ მალე ის უკვე ყველასთან თავისუფლად, თამამად შედიოდა ვოლიერში, უნაწილებდა და უყრიდა ბაგაში კუთვნილ პორციას. გალიაში ცხოვრებისგან დანევროზებულები ცხოველები ფეხის ხმაზეც კი ცნობდნენ თავიანთ ახალ, კეთილ დამპურებელს და მის დანახვაზე, როგორც წესი, უმალ უთვინიერეს არსებებად იქცეოდნენ ხოლმე.

განსაკუთრებული ურთიერთობა შოთიკოს ზოოპარკის ერთადერთ ლომთან აეწყო. მუდამ ამაყად და მედიდურად მიმოსიარულე ცხოველთა მეფე ყოვლად დამცირებული იყო მის ხელში. გალიაში არხეინად შესული შოთიკო მარჯვენა ფეხს ძირს რომ დააბაკუნებდა, ცხოველთა მეფე მაშინვე გალიის კუთხეში იყუჟებოდა და მორჩილად ელოდა, თუ როდის დაუტოვებდა შოთიკო დიდ ჯამში კუთვნილ ულუფას და გავიდოდა გალიიდან. ლომი გრძნობდა, რომ შოთიკო აქ უკვე მასზე უფრო ლომი იყო.

ამავე ლომთან ურთიერთობაში შოთიკო სულ მალე ისე გათავხედდა, რომ მისი გალიის უკანა, ანუ ლომის ხრიოკ სასეირნო ეზოს ზუსტად შუაცენტრში, სადაც ცხოველთა მეფე არცთუ იშვიათად გადიოდა და დარბაისლური ბრდღვინვით დასეირნობდა ხოლმე, მოსაწევი ბალახი დარგო. ლომის ეზოში შესვლას მხოლოდ შოთიკო ბედავდა და მისი ყოველი კუთხე-კუნჭული დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი. მისი დარგული დედალ-მამალი ძირები მალევე ამოიწვერნენ და შოთიკოც წამით არ აკლებდა არცერთს მოვლა-პატრონობას. მცენარეებმა უცებ აიყარეს ტანი. მამალ ძირს სადღაც შუა გზაში თავისი დაემართა: დამტვერვითი ფუნქცია პატიოსნად შეასრულა, ყვავილები გამოიღო და შოთიკომაც ის მაშინვე ძირში მოსხიპა.

ეულად დარჩენილი, განაყოფიერებული დედალი ძირი კი, იმ სიმაღლის გახდა, რომ გაუსაძლის თბილისურ პაპანაქებაში ლომი ხშირად მის ჩრდილში იწვა ხოლმე და ასე ემალებოდა თაკარა მზეს. ლამის მოშინაურებული ცხოველთა მეფის ხათრით შოთიკომ მცენარეს „მეფის და“ დაარქვა. მიუხედავად იმისა, რომ მცენარე ყველა მხრიდან ჩანდა, ლომის სახით მას საპატიოზე საპატიო ყარაული ჰყავდა. შესაბამისად, აბა რომელი ამ მცენარის მოტრფიალე გაბედავდა ცხოველთა მეფის შიშით შიგნით შესვლას, ლომის დობილის გაპუტვას, ან სულაც მთლიანად მოთხრა-მოპარვას. `მეფის და~ სწრაფად იზრდებოდა და შემოდგომის პირზე კაი წებოვანი თავთავებითაც დაიჩუნჩხლა.

***

ქემურ პროექციებში ტივით მდინარის მეორე ნაპირზე კაი ხნის წინ გადასულ შოთიკოს „მეფის დის“ გაბოლება და მერე ამ წარმოსახვებში ნებივრობა ზოოპარკის ეშმაკის ცარიელ ბორბალზე უყვარდა. ასეთად რომ დაიგულებდა ბორბალს (რაც საკმაოდ ხშირი იყო), ერთ-ერთ ცარიელ კალათაში მოკალათებული, მექანიკოს შერმადინს თხოვდა, კალათის უმაღლეს კენწეროში ასვლისას დენი გაეთიშა და ბორბალი საერთოდ გაეჩერებინა. სულ ზემოთა ზღვარზე გაჩერებულ, ოდნავ მოქანავე კალათაში მჯდომი შოთიკო თუთუნგამოყრილ სიგარეტში შეხუჭუჭებულ თავთავის წებოვან ნაგლეჯს ხუთ-ექვს ნაფაზში კლავდა. მერე ერთს გაიღიმებდა, ცხვირს მოიქავებდა და ხელისგულებს იფშვნეტდა.

აქედან და ასეთ მდგომარეობაში თბილისი სულ სხვანაირი, გაცილებით ფერადი, საინტერესო, თავისუფლად მსუნთქავი და თავის ნებაზე მიშვებული ჩანდა. ქალაქის ერთ მხარეს რომ მოინელებდა, მზერა ქვემოთ გადაჰქონდა. იქ წერტილისოდენა ცხოველები იყვნენ გამოკეტილი. მეორე მხარეს, ხევისთავზე, შოთიკოს კორპუსოვანი უბანი იყო გაშლილი. აქედან ყოველი კორპუსის ყველა სართული იოლად იკითხებოდა. ასეთ ურბანულ რეალობასაც რომ მოიბეზრებდა, ფეხებს შეიკეცავდა და თავისი მოკლე ჭკუით – აღმოსავლურ ყაიდაზე ჯდებოდა შოთიკო ცარიელი კალათის სკამზე. თან თვალებს ხუჭავდა და ვიზუალურად ხედავდა სასურველ ამბებს გონებაში.

ამბები შოთიკოსავით ისევ სწორხაზოვანი იყო... იქ შოთიკო საკუთარი თავისთვის სწორედ რომ დიდ მშვიდობაში ნეტარებდა – თავს მუდამ აუცილებლად იმ შორეულ, წარმოსახვითი ჯუნგლების პირას დინჯად მობორიალედ წარმოიდგენდა ხოლმე... მეტს მისი ფანტაზია ვერაფრით წვდებოდა, თუმცა ის ამითაც კმაყოფილი იყო. შოთიკოს ეს ტყიური პროექციები რაღაცნაირი, მარტივი ზოო-სიყვარულით იყო გაჟღენთილი. ნაცნობი და უცნობი ცხოველები ტყიდან კუდის ქიცინით გამოდიოდნენ და შოთიკოც ყველას, როგორც კაი ძველ ნაცნობებს, ისე ექცეოდა. თან მხრებსა და თავზე ჭრელა-ჭრელა ფრინველები ასხდებოდნენ. მათაც შინაურულად ეალერსებოდა შოთიკო და საერთოდ ვერ ხვდებოდა, რომ ეს ჯუნგლებიც, ეს ცხოველ-ფრინველიც და ყველაფერი, რასაც კი გონებაში ხედავდა, მისი შექმნილი იყო და შეეძლო, საკუთარ ნებაზე მოპყრობოდა. წარმოსახვებს რომ მოილევდა, შოთიკო ფეხზე დგებოდა და მექანიკოსის გასაგონად ყვიროდა:

– დამიშვა, შერმადინ! – და მექანიკოსიც ნაცნობი ყვირილის გაგონებაზე ღილაკზე კოჟრიანი თითის დაჭერით ისევ ამოძრავებდა გაჩერებულ ეშმაკის ბორბალს.

***

იმ დღეს ისეთი წინათგრძნობით გაეღვიძა შოთიკოს, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა მომხდარიყო მის ცხოვრებაში. ტრადიციულად აბუზღუნებულ დედ-მამას გულგრილად აუარა გვერდი. აბაზანიდან გამოსული, უჭმელად აპირებდა სამსახურისკენ წასვლას, რომ პიანინოს თავზე ჩამოკიდებულ როსტევან პაპის ფოტოსკენ გაექცა თვალი და ადგილზე გახევდა – ფოტო ცარიელი, ხოლო როსტევან პაპა კი აორთქლებული დახვდა ჩარჩოდან.

– კაპუტ, თქვენი ვეფხისტყაოსანი! – მუთითა ფოტოზე დილიდან საჩხუბარი მიზეზის ძებნაში მობოდიალე ამრეზილ მშობლებს შოთიკომ და მათ რეპლიკებსა და ემოციებს აღარ დალოდებია, ისე გაჰყო თავი ქუჩაში.

სანამ სამსახურამდე მივიდოდა, კიდევ ერთმა უცნაურმა შეგრძნებამ დაუარა – მან აშკარად იგრძნო, რომ როსტევან პაპა ფოტოდან არათუ აორთქლდა, არამედ იმ თავისი ყარაჩოხლურ-დარდიმანდული ღიმილით, შვილიშვილში, ანუ მასში გადმოინაცვლა. ამ შეგრძნებაში რომ გამოიჭირა თავი, შოთიკომ ნაბიჯი შეანელა და უცებ მიხვდა, რომ როსტევან პაპასავით იღიმებოდა და მართლაც მასავით მიაბიჯებდა.

ეს შეგრძნება არავისთვის გაუზიარებია შოთიკოს. იმ დილით ჩვეულებრივად დაფიქსირდა ზოოპარკის მუშაკთა ჟურნალში, გადაიცვა სამუშაო ხალათი, გამოაგორა ცხოველთა საკვების საწყობიდან პროვიზიით დატვირთული ურიკა და ვითომ-არხეინად დაუყვა გალიებს. რაღაც დიდი გაუგებრობა რომ ხდებოდა მის თავს, კი ხვდებოდა, მაგრამ გაუნათლებლობა და მწირი თვალსაწიერი არ აძლევდა საშუალებას, რამეს იოტისოდენათი მაინც მიმხვდარიყო. „მგონი გავრეკე, ამის დედაც...“ – მხოლოდ ეს სიტყვები უტრიალებდა თავში გამუდმებით და ის როსტევან პაპის ღიმილი და სიარულის მანერაც არ ეშვებოდა.

საჭმლის პირველ ჩამოტარებას უცებ მორჩა შოთიკო. გალიათა მეორე რიგში რომ გადაინაცვლა, ცხოველთა მეფე, უფრო სწორად კი, მის ეზოში მდგარი უხვთავთავიანი „მეფის და“ გაახსენდა და ინსტიქტურად იგრძნო, რომ ამ უცნაურობაზე პასუხი იქ და წარმოსახვებში უნდა ეძია. ამიტომ, საკვების მეორე ჩამოტარებაც ცინცხლად შეასრულა. პარალელურად, ლომის ეზოდან ხეს ერთი ზემო თავთავი წააწყვიტა, ძმობილ ლომს ყურისძირი მოფხანა და იქიდან გამოსული სასწრაფოდ ზოოპარკის ეშმაკის ბორბლისკენ გაეშურა.

მექანიკოს შერმადინს, რომელსაც გაპობილ მთვრალს ეძინა ჯიხურში, შოთიკომ ვერაფერი გააგებინა. ამიტომ, თავადვე ჩართო ცარიელი ეშმაკის ბორბალი და პირველივე კალათას შეახტა. თავთავი იქვე ჩაიფშვნა ხელისგულში და ცარიელ პაპიროსში უცებ შეაბზრიალა. მერე ზუსტად ოთხ გულისგამაწვრილებელ ნაფაზში მოკლა პაპიროსი და ნამწვი წკიპურტით მოიშორა.

ქალაქი ისევ ფერებად იყო აჭრილ-აჩეხილი. დასავლეთ ჰორიზონტზე დიდი შავი ღრუბლები ელაგა. შოთიკომ ქვემოთ ჩაიხედა და ცხოველების ვოლიერებს მოავლო მზერა. მიხვდა, რომ დილის უცნაურმა შეგრძნებამ კი არ გაუარა – უფრო მეტიც, უფრო ღრმად გაიდგა მასში ფესვი. შოთიკო საკუთარი პრიმიტიული გუმანით ხვდებოდა, რომ რაღაც ჯერაუხსნელი ხდებოდა. იქვე ისიც გაახსენდა, რომ სიგარეტსაც როსტევან პაპის მანერით ეწეოდა ბავშვობიდან მოყოლებული, ანუ მოწევისას ფილტრს კბილებით ღეჭავდა.

მისდა ბედად, ქვემოთ მიბიჟვინებულ შერმადინს ზუსტად მაშინ გაეღვიძა, შოთას კალათა ეშმაკის ბორბლის კენწეროში რომ მოექცა. თვალმოწირპლულმა შერმადინმა ბორბალი ღილაკზე თითის დაჭერით გააჩერა და ისევ ძილის ღვთაებას ჩაბარდა. შოთიკომ კი, ამ დროს ძველებურ მეთოდს მიმართა და ყურებამდე გაღიმებული, სკამზე ისევ ვითომ-აღმოსავლურად მოკალათდა. მერე თვალი დახუჭა და წარმოსახვაში უმალ ძველებურად ჯჯუნგლების პირას აღმოჩნდა.

ნაცნობმა და უცნობმა ცხოველებმაც ტრადიციულად იწყეს ტყიდან გამოსვლა და შოთიკოზე შინაურულად აგლესვა. ტყის ფრინველმაც იხუვლა და ცისარტყლისფრად დაიხუნძლა მისი გამართული მხრები.

შოთიკო არხეინად, საზეიმო განწყობით მიაბიჯებდა ტყისკენ, როდესაც უცნაური ხმა მოესმა და შორიახლოს მდგარ ხეს შეუმჩნევლად ამოეფარა. ხმა მეორდებოდა და სმენას უსიამოვნოდ ჭრიდა.

ფრთხილად გაიხედა შოთიკომ სამალავიდან და მოშორებით ვიღაც შავცხენიანი კაცი დაინახა. კაცს ხის განივ ტოტზე უკანა ფეხებით დედალი ვეფხვი ჰყავდა ჩამოკიდებული. ვეფხვს ისარი ჰქონდა გულში გარჭობილი და სიკვდილს ებრძოდა. კაცი თავის ხმალს ლესავდა და სწორედ ეს ხმა იყო, შოთიკოს მთელ ტანზე ხაოიან ობობებად რომ აყრიდა.

– რა ხდება, ე? – გადაუჩურჩულა შოთიკომ იქვე მდგარ ჯავშნოსან მარტორქა რინოს.

– ტყავს გააძრობს და შემოიცვამს. – თვალებით უთხრა რინომ და იქვე ატუზულ ჟირაფ ჟირინას ახედა.

– ათავისუფლე მონები... – აუუუუნდა ცრემლისგან მზერა ჟირინას.

– ის მასტი ვინაა? – ისევ ჩურჩულით იკითხა დაზაფრულმა შოთიკომ.

– ფსიქოპათია ვიღაცაა!.. – გაეპასუხა შოთიკოს მხარზე მჯდომი ბარის არწივი თემი და შოთიკოს თმაზე ნისკარტი შეიწმინდა. – ტირის სულ, და ხოცავს ყველას და ყველაფერს... სახელ-გვარსაც არ ეკითხება, ისე...

– ფსიქოპათი რას ნიშნავს? – ჩურჩულით იკითხა შოთიკომ.

– გიჟს, რომლის თავისუფლებაც – ჩიხია... – უპასუხა დიდმა ჭაღარა ზღარბმა ზაზამ.

„ჩიხი რაღაა?“ – უნდოდა ეკითხა შოთიკოს, მაგრამ მოერიდა.

– შენია ეს ყველაფერი! ნურაფრის გეშინოდეს! ათავისუფლე მონები, მიდი, მართე და გაიმარჯვე! – მოესმა ამ დროს სადღაც შიგნიდან პაპა როსტევანის ხმა შოთიკოს და ისე დაფრთხა, რომ იგრძნო – ცოტაც და ჩაისვრიდა.

წარმოსახვიდან უცებ გამოერკვა შოთიკო, მიმოიხედა და თავი გაჩერებულ ეშმაკის ბორბალზე აღმოაჩინა. უკვე საღამოვდებოდა. სამხრეთ-დასავლეთის ცა ქალაქისკენ უყმურ ღრუბლებს მოაფრიალებდა. „ეს რა იყო, ჩემი კაი?“ – შოთიკო კიდევ უფრო უცნაურმა და უცნობმა შფოთმა შეიპყრო. შფოთს გამწოვი ხვრელის ფორმა ჰქონდა და თითქოს სასიცოცხლო ენერგიას ბოლომდე განიწოვდა. ამ დროს, თავისდაუნებურად, ბავშვობისდროინდელმა ისტერიკულმა გადაფიჩინებამაც წამოუარა შოთიკოს, როგორც თავდაცვითმა ინსტიქტმა – ცრემლებმა შადრევანივით იხუვლეს თვალებიდან და უმწეო ცხოველური წკუმუტუნ-ყმუილიც კი დასცდა ლამის კრიჭაშეკრული პირიდან.

„დაბრუნდი უკან და ათავისუფლე მონები! შენია ის ყველაფერი! ნუ გეშინია, ბაბუ!“ – თხოვდა შოთიკოს პაპა როსტევანი შიგნიდან, მაგრამ შოთიკოს უკვე აღარავის ყურისგდების თავი არ ჰქონდა.

„ათავისუფლე მონები, ათავისუფლე მონები...“ – ამ იოლი აზრით ევსებოდა შოთიკოს მთელი სხეული: სისხლი, ძვლები, ხორცი – ყველაფერი ამ იდეით იყო გაჟღენთილი. მაგრამ ვისთვის, როგორ და რატომ უნდა ეშველა, ეს კი უკვე ზუსტად აღარ იცოდა და არც პაპა როსტევანის ხმის ჯეროდა.

კვლავ თვალების დახუჭვა და ძველებურად ტყისპირა წარმოსახვაში დაბრუნება აღარ უცდია შოთიკოს. ეგ რომ ექნა, იქნებ გამოსავალიც ეპოვა და ყველაფერი სხვანაირადაც გაგრძელებულიყო. ერთი კი იყო, მას უკვე უფრო შიში მართავდა, ვიდრე ცოდნა, ინტუიცია, წინათგრძნობა ან ბრძნული ლოგიკა, და როგორც შემდეგში მოიქცა, ეს მისი ყველაზე მარტივი, მიწიერი არჩევანი იყო. საზარელი შიშით აღვსილი ჯერ კალათიდან გადმოიხარა და პარანოიდულ ისტერიკაში ჩავარდნილივით „შერმადინის“ კივილს მოჰყვა, თუმცა მის ძახილს, ისევ შორიდან მოვარდნილი ელ-ჭექისა და გრუხუნის ხმა ფარავდა.

შოთიკო მალევე მიხვდა, რომ ასე ვერავის ვერაფერს გააგონებდა და გაჩერებულ ეშმაკის ბორბლის ლითონის კონსტრუქციას აცახცახებული დააკვირდა. „ათავისუფლე მონები...“ – ისევ ამ იდეით გაჯერებული, ფრთხილად, ნაბიჯ-ნაბიჯ შეუდგა ბორბლიდან ქვემოთ დაშვებას. ერთი-ორჯერ ფეხიც აუსხლტა, მაგრამ ძლიერმა ხელებმა გადაარჩინეს, და აი ასე – ხან სად და ხან როგორ ჩამოკონწიალებული, კაი ნახევარი საათის შემდეგ მაინც დაეშვა ზოოპარკის ასფალტოვან მიწამდე და ზედ საჯდომით ზღართანი გაადინა. ძირს ჩამობრაგვანებული შოთიკოს დანახვაზე ზოოპარკის ცხოველებს სიხარულის ტალღამ დაუარათ და ყველანი ერთბაშად გააქტიურდნენ:

მოუსვენარმა ჰამადრილებმა და სხვა მაიმუნებმა თავიანთ საქანელებზე იწყეს კონწიალი. სხვებმა ხეებზე ხტომას უხშირეს. ძირს მყოფი ბებერი მწვანე ანთარი მიწაზე აკოტრიალდა. მურა დათვები ორ ფეხზე დადგნენ და ადგილზე აბუქნავდნენ. სირაქლემა ემუმ თავის ეზოში ფრთების ფათქუნით იწყო წრეზე სირბილი და ყივილისმაგვარი ხმის გამოცემა. უზარმაზარმა აზავერებმა ერთმანეთთან სიყვარულობანას თამაში შეწყვიტეს. პრჟევალსკის ცხენი, ანტილოპები ელანდი და კუდუ, კამერუნის თხები და აღმოსავლურ-კავკასიური ჯიხვები ადგილზე აკუნტრუშდნენ და ტლინკების ჰაერში სროლა დაიწყეს. ბენგალური ვეფხვი მასკა და ლეოპარდი ლეო თავიანთ გალიებში ნერვიულად აწრიალდნენ. ახმაურდნენ ზოლებიანი აფთრები, გიბონები, აფრიკული ველური ძაღლები, მარტორქები, ზებრები და რუხი მგლები. ზოოპარკში დიდი აურზაური იწყებოდა.

ადრე, მის ჩასაცხრობად საკმარისი იყო, შოთიკო ცხოველთა საკვების საწყობში შესულიყო და იქიდან დიდი შავი ყუთით ცხოველებისთვის საღამოს საჭმელი დოზა გამოეგორებინა. ამჯერად კი, სულ სხვა ზრახვებით იყო შეპყრობილი და მას მხოლოდ ინტუიცია და მარტივი ველური ინსტიქტები მართავდა.

მექანიკოს შერმადინის ჯიხური დაკეტილი და ცარიელი დახვდა. შავღრუბლიანი ცის გუგუნი ჯერ კიდევ შორიდან ისმოდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ მალე საშინელი ღვარცოფი დაიწყებოდა.

„...ათავისუფლე მონები..!“ – გაახსენდა ისევ წარმოსახვის შავცხენიანი ჯეელი. ეს განზრახვა მყარად ჩაიდუღაბა გონებაში შოთიკომ და ცარიელ, ბინდბუნდიან ზოოპარკში მარტოდ დარჩენილი, გალიების გაღებასა და იქიდან ცხოველ-ფრინველთა გარეთ გამოშვებას, ანუ მათ გათავისუფლებას შეუდგა.

ყველაზე ბოლოს, ცხოველთა მეფე გამოუშვა შოთიკომ ვოლიერიდან. „მეფის და“ საერთოდ არ გახსენებია. კანაფის ხისკენ არც გაუხედავს. უკვე მუხლებამდე წყალში მდგომი, ხილიანის აღმართის ერთ-ერთ სველ ბილიკს ფართხა-ფურთხით აუყვა. მდინარე ვერე შავად და სახიფათოდ იწყებდა ადიდებას.

***

ამ ამბიდან ოთხი დღის შემდეგ, ბახტრიონის ქედის მიყრუებულ წვერზე იჯდა შოთიკო, ცხოვრებაში პირველად იღლიაში სქელი წიგნი ამოეჩარა და უკვე დაწყნარებულ მდინარე ვერეს ხეობას თვალებამოწითლებული გასცქეროდა.

რაღაც ძალიან დიდი და მიუტევებელი რომ მოხდა, ამას უკვე მთელი არსებით გრძნობდა. ამ დღეებში თითქოსდა უცებ დაკაცებულიყო შოთიკო. ტრაგედიაში, რომელიც მთელმა მსოფლიომ გულთან მიიტანა და მხოლოდ მდინარე ვერეს კალაპოტიდან გადმოსვლას დაბრალდა, მხოლოდ მან იცოდა, რომ მისი გაუნათლებლობის და უვიცობის გამო, მისივე დიდი წილიც ერია და დამნაშავედ გრძნობდა თავს. მას ხომ სრულიად სხვა რამ ჰქონდა განზრახული. რამდენიმე დღის წინ ის ფიქრობდა, რომ ცხოველების გათავისუფლებით წარმოსახვის ღმერთის დავალებას ასრულებდა.

ქვემოთ ტრაქტორები და ექსკავატორები მუშაობდნენ და მუყაითად წმენდნენ მდინარის ხეობის დალამულ ნაპირებს. დედაქალაქი ჩუმად გლოვობდა მცირე წარღვნის დროს დაღუპულებს. სადღაც იქით, ვეფხვს კაციც კი შეეჭამა ამ გაგანია „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანაში. არ ჩანდა სხვა ცხოველ-ფრინველიც – ნაწილი წყალდიდობას შესწირვოდა, ზოგს კი, უბრალოდ თავისთვის ეშველა და ქალაქის შემოგარენის ტყეებისთვის შეეფარებინა თავი. სამაშველო რაზმები ყველა მიმართულებით ეძებდნენ სხვადასხვა გარეულ და სახიფათო ცხოველს. ნაწილი უკვე ეპოვათ და ისევ უკან, გალიებში დაებინავებინათ. საინფორმაციო გამოშვებები ენას არ აჩერებდნენ და გამუდმებით გადმოსცემდნენ ახალ ამბებს, რომელიმე გარეუბანში აღმოჩენილი და დაჭერილი ცხოველის-ფრინველის შესახებ.

შოთიკო ხვდებოდა, რომ ამის შემდეგ, თავად უნდა ეპოვნა საკუთარი უმეცრების წამალი. ფეხზე წამომდგარმა ჯერ წიგნს დახედა. მერე მონიშნულ გვერდზე გადაშალა და ტუჩების ცმაცუნით წაიკითხა:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები...“

მერე წიგნი ისევ იღლიაში ამოიდო, ყურსაცვამი მოირგო და ვიდრე ცნობილი პაპის, სოციალისტური შრომის გმირის, ზოოლოგ როსტევან ლომიძის ბიჯით დაუყვებოდა გზას სახლისაკენ, ყურში შემდეგი სიმღერის ნაფლეთი ჩაესმა:

Emancipate yourselves from mental slavery;
None but ourselves can free our mind.
Wo! Have no fear for atomic energy,
‘Cause none of them-a can-a stop-a the time.

Bob Marley/ Redemption song

ცხენების გაშვება

I გაკვეთილი: რაზე შეიძლება ილაპარაკოს ხელოვნებამ

არსებობს აუცილებელი ცოდნა და უნარები იმისთვის,რომ ხელოვნებაზე ილაპარაკო. პირველ რიგში ესაა ცოდნა სამყაროს აღსასრულზე და შეკუმშულ დროზე, მის სიმცირეზე, რომელიც უაზროს ხდის ყველა სხვა პროფესიას. დანარჩენ ხელობებს სჭირდებათ გარკვეული დრო და სტაბილურობა. შეკუმშული დრო აცარიელებს ყველა ჩვენს ქმედებას. აქცევს მას ნულოვან ნიშნებად, რომლებიც მხოლოდ მოახლოებული აღსასრულის მანიშნებლები არიან. ჩვენი ყველა ნაბიჯი იმ დროის არარსებობას გვიჩვენებს, რომელიც მთავარის დასანახად შეიძლებოდა გვქონოდა. შესაძლოა, თანამედროვეობაში ხელოვნებას აღარ შეუძლია თქვას რამე ჭეშმარიტი სამყაროს შესახებ, მაგრამ მას აქვს რაღაც სათქმელი თანამედროვე სამყაროზე: მას შეუძლია, აჩვენოს სამყაროს გარდამავალი ხასიათი, მასში დროის უკმარისობა და ასევე იცის, თუ როგორ უნდა გადაილახოს ეს დროის უკმარისობა სუსტი მინიმალური ჟესტების მეშვეობით, რომელსაც ძალიან ცოტა დრო სჭირდება ან სულაც არ სჭირდება დრო.'' რატომ არ მისმენ'' ? გავიგონე ბრაზიანი ხმა და თავი ავწიე. ნაშთი პირდაპირ თვალებში მიყურებდა. შიშისაგან ბოლო თეთრებით ნაყიდი კევი ჩავყლაპე, რომელიც ერთი წამის წინ დავიდე ენაზე. წესიერად გემოც ვერ გავუგე, მგონი მარწყვის იყო.

II გაკვეთილი: საღაც იწყება ნაშთის სევდიანი ამბავი, მაგრამ მოთხრობა სხვა რამეზეა

ცხენები ბრძოლით მოვიპოვეთ, მაგრამ ჯერ ნაშთის ისტორიაა მოსაყოლი. იმ დროსაც კი, როცა უკვე თითქმის ხმამაღლა ვაგინებდით, ნაშთის დანახვაზე ზურგზე ისევ იმ ცივ კედელს ვგრძნობდი, რომელსაც ადრე ვეკვროდი მისი გამოჩენისას. ასეთი წესი იყო და მასწავლებლებმა დაგვავალეს შესრულება. დირექტორი როცა დერეფანში მოდის დაჭერობანას თამაში უნდა შეწყვიტო და კედელთან დადგე.

ნაშთი გიმნაზიის დირექტორი იყო მაშინ, როცა მამა სწავლობდა სკოლაში, შეიძლება ბაბუას დროსაც. ქართულ ლიტერატურას და ხელოვნებას ასწავლიდა. მის გაკვეთილზე სასტიკად გვეკრძალებოდა თავის ხელზე ჩამოყრდნობა. მერხზე დადებაც, რა თქმა უნდა. წარმოსადგენად დიდი არაფერი სირთულეა, მაგრამ როცა იცი, რომ თავის ჩამოდება აკრძალული გაქვს საშინლად გიმძიმდება, ფიქრობ, რომ სადაცაა კისერი მოგტყდება. უფრო კისრის მომგრეხი იყო ნაშთის იგავები, რომელსაც ყველა გაკვეთილზე გვიყვებოდა.

ერთ წელსაც ჩვენს სკოლაში რეფორმები დაიწყო. მოიტანეს ფერადი პუფები დერეფანში დასაწყობად და შეცვალეს დირექტორი. ჩავთვალეთ, რომ ნაშთს საბოლოოდ დავემშვიდობეთ, მაგრამ ორი თვის შემდეგ მთავარ კართან დაგვხვდა. მეათე კლასელებს

ტუქსავდა და გარეთ არ უშვებდა. ისინი ჯიუტად უმეორებდნენ, რომ მასწავლებელმა გაგვიშვა, გვიცდება ქიმიაო. ნაშთი კი არ უჯერებდა.

ცხენების ამბავი სულ რომ არ დამავიწყდეს მოკლედ გეტყვით: დირექტორობიდან გადაყენებული ნაშთი სკოლაში სამეურნეო ნაწილის გამგედ დარჩა, არც არაფერი ევალებოდა იჯდა კართან, მოსწავლეები რომ არ გაპარულიყვნენ.

– კარის კაცი არ მიშვებს – უთხრა მეათე კლასელმა „ქიმიას“. შოთა მასწავლებელი – შეუსწორა მასწავლებელმა. კარის კაცია ეგ – დაზუსტა მეათე კლასელმა.

– წადი რა, რით ვეღარ მოგიშორეთ – უყვირა ჩემმა კლასელმა.

– მოსაფსმელად მაინც არ გინდება გასვლა?– მეთორმეტე კლასელებმა კითხეს.

ამ სკოლაზე როგორ ვილაპარაკო, მმ...მ... – თქვა ნაშთმა მეთორმეტე კლასელების გამოსამშვიდობებელ საღამოზე, სადაც თვითონ მოითხოვა სიტყვა, მაგრამ ვერაფერს მოაბა თავი.

– პენსიაზე უნდა გასულიყო – ქიმიის მასწავლებელი.

– ამდენი წელი ამ სკოლის დირექტორი იყო და ორი სიტყვა არ უნდა ეთქვა? ბოღმიანი კაცი ყოფილა – ქართულის მასწავლებელი.

– თვითონაც თავს იტანჯავს და ჩვენც, აქ ყოფნით – ახალი დირექტორი.

– კვერცხები ხო არ დაგეჭეჭყა? – ჩემი კლასელი ზაზა.

ზაზას კითხვა ნაშთმა გაიგონა, მაგრამ არ შეუმჩნევია, სხვა ფრაზები მის ზურგსუკან ითქვა და ისინი მით უმეტეს არაფრად ჩაუგდია.

ნაშთს რომ პატივს აღარავინ სცემდა შეიძლება მხოლოდ დაქვეითების ბრალი არ იყო. ისედაც უსიამოვნო შესახედი გახდა. ადრე ძალიან ცოტას ლაპარაკობდა ან ისეთ თემებზე, რომელიც გვაბნევდა. ჩუმად და მოკლედ გასცემდა მითითებებს და მთელი დღე ოთახში მუშაობდა, წერდა და კითხულობდა. დაქვეითების შემდეგ უფრო მეტი ლაპარაკი უწევდა და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ არ იცოდა როგორ. ხმას აუწია და სკოლის თეატრის, ახალბედა მსახიობივით ხელოვნურად ლაპარაკობდა, შესამჩნევად ყალბი ჟესტებით. რაც არ უნდა ეთქვა, იფიქრებდი ან გატყუებს ან სისულელეს ამბობსო.

იჯდა კართან გაკვეთილების დამთავრებამდე და მუდმივად ხან მასწავლებლებს ელაპარაკებოდა, ხან მოსწავლეებს. თავიდან მეჩვენებოდა, რომ არ სწყინდა მწარე სიტყვები, მეგონა, რომ ის უბრალოდ მიეჩვია სკოლას, მის ადგილს და არ შეეძლო წასვლა, მაგრამ მალე აფეთქების დრო მოვიდა.

ქართულის მასწავლებელი სულ უბრალო რაღაცაზე გაუბრაზდა კართან მდგარ ნაშთს, რომელიც ხმის გაცემასაც არ აპირებდა, მაგრამ ქართულის მასწავლებელმა უფრო სხვების გასაგონად ხმამაღლა იყვირა, ისე რომ კითხვითი ინტონაციის მიცემაც ვერ მოახერხა: ეს გადმონაშთი როდემდე უნდა იდგეს აქ!

გაბრაზებული ნაშთი სამასწავლებლოში შევიდა, ყველა მასწავლებელი და დირექტორიც ერთად შეკრიბა და გრძელი სიტყვა წარმოთქვა, იმაზე რისიც სჯეროდა. ვერავინ გაიგო. სამაგიეროდ იმდენჯერ ახსენა სიტყვა ნაშთი, რომელსაც შენახვის საპირისპიროდ და მასთან ერთიანობაში განიხილავდა, რომ ამ გამოსვლიდან ორი რამ მიიღო. იმ დღის მერე დაცინვით ყველა უკვე ნაშთას ეძახდა და მეორე დირექტორმა ცალკე გაიყვანა და რაღაც ახალ პოზიციაზე გადაყვანას დაჰპირდა.

ნაშთი ძალიან ნერვიულობდა და ახალი დირექტორის სიტყვებმა ცოტა გაახარა, მოეჩვენა რომ ის უფრო ცოცხალი თვალებით უსმენდა. სხვების უაზრო თვალების ზემოთ აპყრობას ჯობდა მაინც. გამოსვლამდე ორი სიტყვა კიდევ თქვა: განვითარება ძველის უარყოფის გარეშე შეუძლებელია, მაგრამ რაიმეს მოხსნა არ ნიშნავს რაიმეს უნაშთოდ მოსპობას უკვალოდ გაქრობას. აბსოლუტური მოხსნა არაფერია თუ არა მოხსნილის გადასვლა არარაობაში, რაც თავისთავად შეუძლებელია და ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება. ეს რომც შესაძლებელი იყოს, მაშინ ეს ფაქტი მაინც რეგრესული იქნებოდა. შეწყვეტდა განვითარებას, პროგრესს, ძველის უარყოფა, მოხსნა გულისხმობს მისი დადებითი შინაარსის შენარჩუნებას. მოხსნა შენარჩუნებაში გადადის.

ნაშთი ანთებული თვალებით ლაპარაკობდა, ერთი წამით იფიქრა რომ ახალი დირექტორი მიხვდა მის სათქმელს, მაგრამ უცებ სირცხვილისგან მთელი სახე დაეწვა, გაიაზრა, რომ როცა სიტყვა მოხსნას ახსენებდა დირექტორი ამას იგებდა, როგორც თანამდებობიდან მოხსნას, კიდევ დააკვირდა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ახალი დირექტორი სულელად მიიჩნევდა, რომელიც თანამდებობიდან მოხსნაზე მისსავე შემცვლელს ეწუწუნებოდა. ერჩივნა იქვე მომკვდარიყო, ჩქარი ნაბიჯით კარისკენ გაიქცა.

იმას რაც წლების მანძილზე შევქმენით ნაშთად ნუ გადააქცევ, დაიმახსოვრე, შეინახე. ბოლოს ამის თქმა მაინც მოახერხა, პასუხს აღარ დალოდებია. კიბეებზე კი თავისი ყალბი პათეტიკით ჩაილაპარაკა: რაც შემეხება მე, მართლაც ნაშთად ვიქეცი.

III გაკვეთილი: საღამოს ნაშთმა მოგვიყვა ამბავი, რომელიც ავანგარდული ხელოვნების გამოფენაზე შეემთხვა

სად წავიდა ის ხალხი, რომელიც ''შავი კვადრატის'' დანახვისას გულწრფელად იკითხავდა: ჯანდაბა, ამას ხომ ბავშვიც დახატავდა? წარსულში ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ არსებობდნენ.

მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის მოქალაქეები ვიყავით, სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენელი მასწავლებლები გამოფენაზე წავედით. ჩემს ჯგუფში სულ ექვსნი ვიყავით. ერთ–ერთი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ალბათ შუა აზიიდან იყო, სწორედ ეს გულწრფელი კითხვა დასვა. რამაც ჩუმი პანიკა გამოიწვია. უკრაინელმა მასწავლებელმა მაშინვე თვალების ცეცება დაიწყო და რუსი იპოვა და შეთქმულივით გაუღიმა, მერე კი ისე შვებით ამოისუნთქა ლამის სული ამოაყოლა. ბელორუსმაც დაიწყო თვალის ცეცება და მე გამიღიმა. სამივემ კი ერთმანეთს. სომეხს გაუჭირდა შეთქმულის თვალების პოვნა და როცა დანარჩენებს შემოგვხედა უკვე იმდენად დაზაფრული იყო ძლივსღა გაიღიმა. მანაც ამოისუნთქა. ეს ყველაფერი სულ რამდენიმე წამი გაგრძელდა და ერთ–ერთმა მასწავლებელმა ვერავისთვის გაღიმება ვერ მოასწრო.

საღამოს კი ჩემთან მოვიდა ნომერში. მელაპარაკა რუსთაველზე, ქართულ ღვინოზე, ფიროსმანზეც და წასვლის წინ სევდიანად ჩამჩურჩულა : ის შუაზიელი როგორი ბრიყვია, არა?

ახლა ასეთ კითხვას არავინ არ სვამს. მას შემდეგ რაც ეს ხელოვნება ელიტარული გახდა.

არადა, ეს შეკითხვა ყველაზე მნიშვნელოვანია და თუ ოდესმე ჩუმად მაინც არ დაუსვი საკუთარ თავს, ე.ი არც არაფერი გინახავს. ჩვენ გაგების ნაცვლად, შეთქმულება დავგეგმეთ. კითხვების ნაცვლად დათქმები მოვიმარჯვეთ.

სწორედ ამ კითხვით შეიძლება ''შავი კვადრატის'' ავტორის, თვითგაქრობის გაგება..თუ კი ვერ აფასებ ბავშვის ნახატებს, შეუძლებელია ამ ნაწარმოების გაგება.

მათ ვინც სცადეს, რომ ყველა ადამიანი ყოფილიყო ხელოვანი და შეექმნათ ყველაზე დემოკრატიული ხელოვნება, ნაწარმოები ყველასთვის, საბოლოოდ საპირისპირო შედეგი მიიღეს. მათი შემოქმედება დღეს არსებობს მხოლოდ ელიტებისთვის.

IV გაკვეთილი: კარამელი

რაგბი უნდა გვეთამაშა და გამარჯვებულები ცხენებს მივიღებდით. სასწაული იყო, წარმოიდგინე, მერვე კლასში ხარ და შენი ცხენი გეყოლება, რამდენსაც გინდა აჭენებ. პირობები ნაშთმა გაგვაცნო ფიზკულტურის მასწავლებელთან ერთად.

ხუთი ვიყავით და რაგბის თამაშის თითქმის არაფერი გაგვეგებოდა, მაგრამ არც ბევრი წესი იყო ჩვენთვის. ფიზკულტურის მასწავლებელმა აგვიხსნა, რომ წინ პასი არ შეიძლებოდა. დანარჩენი კი მოხერხების ამბავი იყო. ბურთს ჩაბღუჯავდი და წინ ვინც შეგხვდებოდა უნდა მორეოდი. ჯერ ჩვენი პარალელ კლასელები დავნაყეთ, მერე ჩვენი კლასის მეორე გუნდი და ფინალში მეცხრე კლასელებიც ზემოდან მივაყოლეთ. მეორე დღეს ნაშთმა ავტობუსში ჩაგვსვა ხუთივე და ქალაქგარეთ იპოდრომზე წაგვიყვანა. ავტობუსის გაჩერებიდან ცოტა ფეხით ვიარეთ და ცხენები გაგვაცნეს.

ჩემი წინწკლებიანი იყო და კარამელი ერქვა. ოლონდ ჭენების ამბავი მთლად ისე არ გამოვიდა, როგორც ჩვენ გვინდოდა. მხოლოდ ინსტრუქტორის თანდასწრებით შეიძლებოდა. ერთმა ჩემმა კლასელმა საღამოს სერიოზული სახით კითხა ნაშთს. სახლში რა ვაჭამოო. ნაშთმა და ინსტრუქტორმა აგვიხსნეს, რომ ჯერ ცხენებს შინ ვერ წავიყვანდით, რადგან პატარები ვიყავით, მაგრამ ოდესმე აუცილებლად შეგვეძლებოდა მათი წაყვანა. ცხენები თქვენია, სადაც გინდა წაიყვანთ როცა ამის დრო მოვა. მე კარამელს მაგრად ჩავეხუტე. ჩემია და როცა დრო მოვა, სადაც მინდა წაგიყვან, ვუთხარი და ერთხელ კიდევ გავაჭენე.

საღამოს მეჯინიბეებთან ერთად ცხენებს ვაჭამეთ თან კრიტიკული შეკითხვებიც დავსვით იმის შესამოწმებლად რამდენად კარგად უვლიდნენ ცხენებს.

იმ დღის მერე ყოველ შაბათ–კვირას მთელი მაისი იპოდრომზე მივდიოდით ცხენებთან. მათთან ერთად გადავიღეთ ფოტოები და საკლასო ოთახში გამოვაკარით. კარამელზე ვლაპარაკობდი მაშინ როცა გაკვეთილზე ვიჯექი, სკოლის ეზოში, სახლში. მარტო როცა ვრჩებოდი კარამელს ვხატავდი. ორ კვირაში ჩხუბი მოგვივიდა სხვა სკოლელებთან. საქმე ისე წავიდა, რომ უეჭველად ერთმანეთი უნდა

მიგვენაყა და სკოლიდან შორს ქალაქგარეთ, ტყისკენ წავედით. ზაზას ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა, მე თვალი მქონდა ჩალურჯებული ისინიც რა თქმა უნდა უფრო ცუდ დღეში იყვნენ. ჩხუბს რომ მოვრჩით ტყიდან ისევ ქალაქისკენ დავუყევით. თავიდან ჯგუფებად ვიყავით გაყოფილი ისინი გზის მარჯვენა მხარზე ჩვენ მარცხნივ. ქალაქის შემოსასვლელისკენ გზა დავიწროვდა და იმათ წამოვწეიეთ. ცხენი გყოლია? –ვკითხე ერთ–ერთს. იმან ეგრეევე მუშტი შეკრა და კბილებში მომადო. კიდევ ვიჩხუბეთ. ამჯერად ველარ გავარკვიეთ ვინ მოერია.

მაისის ბოლოს დათქმულ დროს ნაშთმა ისევ წაგვიყვანა იპოდრომზე. მაგ დროისთვის უკვე დამოუკიდელად ვაჭენებდით, ინსტურქტორი მოშორებით იდგა და ყურადღებას აღაც გვაქცევდა. როცა მოსაღამოვდა ნაშთმა ყველას დაგვიძახა და უცნაური ლაპარაკი დაიწყო.

– ასე გადაწყდა, რომ ცხენები დედაქალაქის მთავარ იპოდრომზე უნდა გადაიყვანონ – გვითხრა და გამომცდელი სახით შემოგვხედა ყველას.

თავიდან ვერ გავიგეთ და ცოტახანი ჩუმად ვიყავით, მერე ყველამ ერთად ვიკითხეთ: რამდენი ხნით ?

– ცხენები უკვე წამოიზარდნენ და როგორც წესია, ახლა მთავარ იპოდრომზე იცხოვრებენ.

– მოიცა ჩვენი ცხენები რატომ უნდა წაიყვანონ? – ვიკითხე მე

– აკი, თქვენია და... – ჩაერთო ზაზა

–კარამელი ძალიან მიყვარს, ვერ წაიყვანთ–შევეცადე ძალიან მკაცრი ხმით მეთქვა, მაგრამ ისე საწყლად გამომივიდა შემრცხვა.

– თუ კარამელი შენი აღარ იქნება, აღარ გეყვარება? – მკითხა ნაშთმა.

ეგ კისრის მოსაგრეხი კითხვა არ იკმარა და იქვე ბალახზე ჩამოჯდა და ჩვენთვის ძალიან უსიამოვნო ლაპარაკი დაიწყო. ისეთი ტონი ჰქონდა, თავიდანვე მივხვდი, რომ ცხენებს წაგვართმევდნენ, მაგრამ სხვა რა გზა იყო და როგორც შემეძლო მშვიდად ვუსმენდი.

ძვირფასი ქვებით მოვაჭრე – დაიწყო ნაშთმა – მხოლოდ ამ ქვის ღირებულებას ხედავს, მართალია მას შეუძლია მისი ფასი ან მნიშვნელობა სხვა ათას ქვაში გამოიცნოს, მაგრამ მას არ შეუძლია ამ ქვის სილამაზე დაინახოს. საგნებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ ისეთ სულელებად გვაქცია, რომ რაიმე მხოლოდ მაშინ არის ჩვენი, როცა მას ვეუფლებით, როცა ის მხოლოდ ჩვენთვის არსებობს. ნივთებს ვიყენებთ სხვადასხვა აუცილებლობისთვის ან გართობისთვის, ვჭამთ, ვსვამთ, ვატარებთ სხეულზე, ვცხოვრობთ მასში. ერთი სიტყვით, როცა მას მოვიხმართ. ასე ჩვენ ვკარგავთ ყველა გრძნობას და მათ ადგილს მხოლოდ ფლობის სურვილი იკავებს.

გვეგონა ნაშთის ამბავი კიდევ გაგრძელდებოდა. ის ქვებით მოვაჭრე, რაღაც ხათაბალაში გაეხვეოდა და მერე რაღაცას აღმოაჩენდა, მოკლედ რაიმე იგავის მსგავს ველოდით, როგორც სჩვეოდა ხოლმე, მაგრამ ამით დაამთავრა.

– კარამელი ნივთი არაა! თითქმის ვუყვირე.

– მაშინ რატომაა აუცილებელი, რომ შენ გეკუთვნოდეს, იმისთვის რომ გიყვარდეს?

ნაშთის ნათქვამზე აღარ ვფიქრობდით, ერთმანეთს ვუყურებდით და ვცდილობდით რამე მოგვეფიქრებინა. ისეთი სულელური ვერსიები მომდიოდა თავში, რომ ჩემ უტვინობაზე ვბრაზდებოდი. ფაქტი ერთი იყო – ამ ბრძნული ლაპარაკით ცხენებს ვერ დაგვათმობინებდნენ.

ნაშთმა ამჯერად უკვე ყველას გვკითხა: როცა ცხენებს წაიყვანენ აღარ გეყვარებათ?

ჩვენი ცხენებია და არსად გავუშვებთ – ვთქვით და მე კარამელთან მივედი და ჩავეხუტე.

ზაზა უფრო გაბრაზებული იყო და მკაცრად თქვა: მამას ვეტყვი, რომ ცხენებს გვართმევთ. სხვებმაც მხარი აუბეს. მოლაპარაკების გაგრძელებას აღარ ვაპირებდით. მშობლებს ვეტყოდით, რომ ჩვენ ცხენებს უსამართლოდ გვართმევდნენ და ისინი რამეს მოიფიქრებდნენ.

***

იპოდრომიდან ისე წამოვედით, რომ ნაშთისთვის ხმა არ გაგვიცია. არც ავტობუსში ავსულვართ და სირბილით დავუყევით ქალაქისკენ. ნაშთმა ერთი შემოგვძახა, მაგრამ მეორედ აღარ უცდია. უკვე ქალაქში ვიყავით თითქმის ავტობუსი რომ წამოგვეწია. ფანჯრებში ვეძებდი, მაგრამ თვალი აღარ მომიკრავს. სახლში მოსულებს მშობლებმა აგვიხსნეს, რომ ცხენები რა თქმა უნდა, ჩვენი არც არასოდეს ყოფილა. ნაშთმა მთელი თვეების ხელფასი დაახარჯა მის მეზობელ ინსტრუქტორს ამ წარმოდგენის მოწყობაში. მე ხმა ჩამივარდა, რა ჯანდაბაში დაჭირდა ჩვენი მოტყუება ვერ ვიგებდი და მის დასჯაზე ვფიქრობდი. მერე მამაჩემმა დამცინა, მე მეგონა, ხვდებოდი რაშიც იყო საქმე, უკვე დიდი ხარო. მაშინ შემრცხვა და დასჯა გადავიფიქრე, თუმცა იმის შემდეგ ნაშთი სკოლაში აღარც გამოჩენილა.

მეორე დღეს ბიჭებს ვუთხარი, რომ ვხვდებოდი რომ რაგბში გამარჯვებისთვის ცხენებს არავინ გვაჩუქებდა. ეგ ჩვენც კარგად ვიცოდით–მიპასუხეს და იმის მერე ცხენებზე აღარ გვილაპარაკია. იმ ღამით არ დამეძინა და ვნატრობდი იმ დღეს იპოდრომზე სხვა ბიჭები არ ყოფილიყვნენ, მაშინ იქნებ თავს მოვრეოდი და კარამელი გამეშვა. ასე ვერასოდეს გავიგებდი, რომ ის სინამდვილეში ჩემი ცხენი არასოდეს ყოფილა.